



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“გ ა მ თ პ ი ტ ი ბ”

კონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

 თორნიკე შერმადინი

„30“ 12 „2015 წელი

ვგ № N1

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში en 75/00

2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის

შინაარსი

| | |
|---|----|
| აუდიტის მიზანი და მასშტაბი | 4 |
| 1. კომპანიის ზოგადი მიმოხილვა | 6 |
| 2. რეაბილიტაციის გეგმა | 7 |
| 2.1 რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელებული ცვლილებები | 7 |
| 2.2 ძველი ვალდებულებები | 9 |
| 2.3 ძველი სახელფასო ვალდებულებები | 9 |
| 2.4 დაფინანსებული კონცერტი | 10 |
| 2.5 რეკლამის ხარჯი | 10 |
| 2.6 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა | 11 |
| 2.7 ხელფასები და პრემიები | 12 |
| 2.8 მივლინების ხარჯები | 14 |
| 3. შემოსავლები | 17 |
| 3.1 ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეტჩერიზაციდან მიღებული შემოსავლები | 17 |
| 3.2 დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულებები | 18 |
| 3.3 უსასყიდლოდ გადაცემული ფართი | 19 |
| 4. აქტივების მართვა | 20 |
| 4.1 ქონების მითვისება და ძარცვა | 20 |
| 4.2 აღურიცხავი ელექტრო მოწყობილობები | 21 |
| 4.3 დანაკლისები | 21 |
| 4.4 არასრული კომპლექტაციები | 22 |
| 4.5 საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ნაკლები ღირებულებით შეფასებული მოწყობილობები | 23 |
| 4.6 აუქციონები | 26 |
| 4.7 აქტივების შეფასება | 26 |
| 5. შესყიდვები | 27 |
| 6. ინვენტარიზაცია | 32 |
| 7. გარანტირებული სიმძლავრე | 33 |
| 8. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი | 35 |
| 9. ელექტროენერგიის წლიური ბალანსი | 36 |

| | |
|---|----|
| 10. პირდაპირი ხელშეკრულებები და განაცხადები | 37 |
| 11. მიწოდებისა და მოხმარების გეგმები | 38 |
| დანართი N1 | 40 |
| დანართი N2 | 43 |
| დანართი N3 | 49 |
| დანართი N4 | 51 |
| დანართი N5 | 52 |

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „ელექტროსისტემა“ ან „კომპანია“), 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა „ელექტროსისტემის“ მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, „ელექტროსისტემის“ საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ¹“
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- უზრუნველყოფილი კრედიტორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2008 წელს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“
- „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანება (შემდგომში „ბაზრის წესები“)
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
- „ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველის 2011 წლის 7 ნოემბრის N291 ბრძანებით დამტკიცებული დებულება სს „საქართველოს ელექტროსისტემის კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის წესის შესახებ“
- რეაბილიტაციის მმართველის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები

¹ მოქმედებდა 2013 წლის 1 იანვრამდე

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა „ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 წლებში გაწეული საქმიანობა:

- „ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 წლების ბიუჯეტების პროექტების მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა
- საინფორმაციო სისტემების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გარემოს შეფასებას 2011 წლის 1 იანვრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ალფაცენტრსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში - იხ. დანართი N5

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან წაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

„ელექტროსისტემის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან, შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც გულისხმობს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშების აუდიტისაგან.

ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთივის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ „ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს დადგენილ საკანონმდებლო ნორმებთან მიმართებაში.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“.

„ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

აუდიტის ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშში ახსნილი უარყოფითი გავლენები, შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს ყველა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აღვნიშნავთ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შესაძლო უარყოფითი შედეგების ანგარიშში ასახვაზე, რომელიც მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს.

1. კომპანიის ზოგადი მიმოხილვა

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შეიქმნა სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად და წარმოადგენდა მათ სამართალმემკვიდრეს. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბრიდან გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს.

2011 წლის 2 ივნისის მთავრობის დადგენილებით, სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში მოხდა „ელექტროსისტემის“ აქციათა 34%-ის ინვესტირება, რომელიც 2012 წლის ივლისიდან გაიზარდა 100%-მდე, მართვის უფლება კომპანიაზე გაჩნია ენერგეტიკის სამინისტროს.

კომპანიის ძირითადი მიზანია საქართველოს ენერგოსისტემის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოგების მიღება და დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის შედეგად.

„ელექტროსისტემის“ საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კომპანიის საკუთრებაში არსებული ან/და მის ოპერირებაში მყოფი ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემის (ტრანსპორტირება, ტრანზიტი) უზრუნველყოფა;
- საკუთრებაში/ოპერირების ქვეშ მყოფი ელეტროენერგიის გადამცემი ქსელის საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, წარმოების, დისპეჩერიზაციის და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნათა შესაბამისად;
- კომპანიის ელექტროსაქსელო მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების უზრუნველყოფა, მისი შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და პრაქტიკულად განხორციელება;
- ქვესადგურებში და ელექტროგადამცემ ხაზებზე კაპიტალური რემონტების, აღდგენის და ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი პირობების შექმნა;
- მშენებლობის, კაპიტალური რემონტების, აღდგენის, რეკონსტრუქციის, აგრეთვე ელექტროდანადგარების და მოწყობილობების საექსპლოატაციო მომსახურებისათვის საჭირო სამუშაოების საიჯარო და სამეურნეო წარმატება;
- ელექტროენერგიის გადაცემის სრულყოფილი აღრიცხვიანობის ოპტიმიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ენერგოსისტემის შემადგენლობაში მოქმედი წარმოების, გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების ოპერატორი და ოპტიმალური დისპეტჩერული მართვა, ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფა, ელექტროენერგიის სტანდარტების დაცვა და ენერგოსისტემის მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია;
- რეალური დაცვის, სასისტემო ავტომატიკის მუშაობაზე და ავარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლების, დადგენილი საჭიროებისა და დამტკიცებული კომპანიის ბიუჯეტის გათვალისწინებით ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუალებების დაპროექტება, მონტაჟი და ექსპლოატაცია;

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და 2008 წელს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად.

2008 წლის 15 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებულია განჩინება „რეაბილიტაციის შესახებ“. საზოგადოების რეაბილიტაციის მმართველის თანამდებობაზე დაინიშნა კრედიტორთა კრების მიერ არჩეული კანდიდატი სულხან ზუმბურიძე, რომელიც დღემდე იკავებს აღნიშნულ თანამდებობას.

რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად შემუშავებულია მოვალის („ელექტროსისტემის“) და რეაბილიტაციის მმართველის მიერ ერთობლივად.

რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულია „ელექტროსისტემის“ უზრუნველყოფილი კრედიტორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

2. რეაბილიტაციის გეგმა

რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს კომპანიის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებებს და იმ ძირითად ღონისძიებებს, რომლებიც შედეგობრივად უნდა უზრუნველყოფილების საზოგადოების ტექნიკურ და ფინანსურ რეაბილიტაციას და ორგანიზებულ სრულყოფას, რომელთა საფუძველზეც უნდა შედგეს საზოგადოებაში შემუშავებული კონკრეტული გეგმები, პროექტები, ბიუჯეტები და პროგრამები.

რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს „ელექტროსისტემის“ საქმიანობას 2008 წლის ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპანიის მიერ რეაბილიტაციის გეგმაში მოგება-ზარალის უწყისის დაზუსტება ხორციელდებოდა ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფინანსური წლის დასრულების შემდგომ პერიოდში. შესაბამისად ფაქტობრივი მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველი გეგმისგან (2008 წლის საწყისი რეაბილიტაციის გეგმა). რეაბილიტაციის გეგმის დაწყებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულია სულ 24 ცვლილება, მათ შორის 2011, 2012 და 2013 წლებში - 11 ცვლილება.

2.1 რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელებული ცვლილებები

ხშირ შემთხვევაში რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელებული ცვლილებები სათანადოდ არ იყო დასაბუთებული და არ შესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ცვლილების საფუძველი შესაძლოა გახდეს კრედიტორების გადაწყვეტილება თუ მიიჩნევენ, რომ რეაბილიტაციის გეგმის მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელება შეუძლებელია მასში ცვლილების შეტანის გარეშე.

ასევე არის შემთხვევები, როდესაც ბუღალტრულად ვალდებულების აღიარება ხდებოდა რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებამდე.

„სხვა გაუთვალისიწინებელი ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებულია ისეთი კატეგორიის ხარჯები, რომლებიც რეაბილიტაციის გეგმით კლასიფიცირებული იყო ცალკეულ მუხლებად. მაგალითად: 2012-2013 წლებში სასტუმრო, სარესტორნო, საკონფერენციო მომსახურების და ლოგოთი ბრენდირებული სასაჩურო ნივთების დასამზადებლად გაწეულია 145,679 ლარის ხარჯი, საკონსულტაციო მომსახურებაზე 55,623 ლარის ხარჯი. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების კატეგორიიდან მიზანშეწონილია დაფინანსდეს მხოლოდ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებასთან და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გეგმაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, რაც გაზრდიდა კონტროლს გასაწევი ხარჯების მიზანშეწონილობაზე.

რეკომენდაცია N1

„ელექტროსისტემაზ“ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების მოთხოვნა უნდა განხორციელოს მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, ხოლო ვალდებულებები აღიაროს ან/და ხარჯები გაწიოს სათანადო ცვლილების დამტკიცების შემდგომ.

რეკომენდაცია N2

„ელექტროსისტემაზ“ მოახდინოს ხარჯების სათანადო კლასიფიკაცია რეაბილიტაციის გეგმით დამტკიცებული მუხლების შესაბამისად, რათა თითოეული ხარჯი გაწეულ იქნას შესაბამისი მუხლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სხვაობა თავდაპირველ გეგმასა და ფაქტობრივ შესრულებას შორის:

| | 2011 | 2012 | 2013 | | | | | | |
|--|---------------------|---------------------|------------------|---------------------|---------------------|---------------------|---------------------|---------------------|---------------------|
| | გეგმა | ფაქტი | სხვაობა | გეგმა | ფაქტი | სხვაობა | გეგმა | ფაქტი | სხვაობა |
| შემოსავლები | 54,982,836 | 62,373,669 | 7,390,833 | 57,792,795 | 78,418,014 | 20,625,219 | 60,894,706 | 70,895,111 | 10,000,405 |
| დისენტერიზაცია | 13,701,000 | 12,859,452 | (841,548) | 14,401,500 | 14,861,234 | 459,734 | 15,175,500 | 15,210,906 | 35,406 |
| გადაცემა 6/10 33 | 3,403,548 | 7,229,303 | 3,825,756 | 3,577,563 | 7,447,028 | 3,869,465 | 3,769,837 | 7,634,575 | 3,864,738 |
| გადაცემა 35/110 33 | 36,828,288 | 34,786,330 | (2,041,958) | 38,711,232 | 41,729,269 | 3,018,037 | 40,791,744 | 42,080,108 | 1,288,364 |
| სხვა არასამკერაციო შემოსავალი | 1,050,000 | 7,498,584 | 6,448,584 | 1,102,500 | 14,380,483 | 13,277,983 | 1,157,625 | 5,969,522 | 4,811,897 |
| საოპერაციო ხარჯები | (15,429,587) | (13,125,086) | 2,304,501 | (16,218,465) | (14,330,622) | 1,887,843 | (17,090,117) | (15,938,569) | 1,151,547 |
| ეგბ, ქვესადგურა და ს/ც-ის საექსპლუატაციო | | | | | | | | | |
| ხარჯები | (2,861,758) | (1,029,881) | 1,831,876 | (3,008,073) | (1,345,195) | 1,662,877 | (3,169,740) | (1,412,967) | 1,756,773 |
| ტექნიკური პერსონალის ხელფასი | (11,159,499) | (10,885,807) | 273,692 | (11,730,058) | (11,573,099) | 156,960 | (12,360,483) | (13,264,685) | (904,201) |
| კომუნალური მომსახურების ხარჯები | (162,661) | (210,414) | (47,753) | (170,977) | (154,341) | 16,636 | (180,166) | (160,568) | 19,598 |
| საკანცელარიის საქონელი | (29,370) | - | 29,370 | (30,872) | - | 30,872 | (32,531) | - | 32,531 |
| ავტოტრანსპორტის და მანქანა-დანადგარების | | | | | | | | | |
| მომსახურება | (1,197,185) | (996,573) | 200,613 | (1,258,394) | (1,257,987) | 408 | (1,326,026) | (1,100,350) | 225,676 |
| სხვა ხარჯები | (19,114) | (2,411) | 16,703 | (20,091) | - | 20,091 | (21,171) | - | 21,171 |
| ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯები | (13,996,493) | (9,846,927) | 4,149,566 | (14,647,576) | (28,182,749) | (13,535,173) | (15,372,870) | (34,216,057) | (18,843,187) |
| ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი | (5,013,688) | (3,345,400) | 1,668,288 | (5,270,026) | (3,777,728) | 1,492,299 | (5,553,261) | (3,999,716) | 1,553,545 |
| საკანცელარიის საქონელი | (40,894) | (38,185) | 2,710 | (42,985) | (30,888) | 12,098 | (45,296) | (30,521) | 14,775 |
| ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები | (69,682) | (3,506) | 66,176 | (73,245) | - | 73,245 | (77,181) | (1,399) | 75,782 |
| მივლინების ხარჯები | (169,708) | (347,427) | (177,718) | (178,385) | (285,725) | (107,340) | (187,972) | (412,698) | (224,726) |
| დაზღვევის ხარჯები | (914,610) | (507,622) | 406,989 | (961,372) | (575,501) | 385,871 | (1,013,040) | (715,974) | 297,066 |
| კომუნალური მომსახურების ხარჯები | (442,375) | (308,389) | 133,986 | (464,992) | (326,338) | 138,655 | (489,983) | (318,842) | 171,141 |
| სამუშაო ხარჯები | (131,854) | (71,507) | 60,348 | (138,596) | (73,042) | 65,554 | (146,045) | (76,931) | 69,114 |
| წარმომადგენლობოთი ხარჯები | (41,025) | (95,363) | (54,338) | (43,122) | (131,949) | (88,826) | (45,440) | (277,935) | (232,495) |
| საზოგადოებასთან ურთიერთობა | (38,721) | (1,881) | 36,840 | (40,701) | (282,052) | (241,351) | (42,888) | (55,268) | (12,380) |
| სათაო ოფისის რემონტის ხარჯები | (5,594) | (6,798) | (1,204) | (5,880) | (124,105) | (118,225) | (6,196) | (11,279) | (5,082) |
| მომსახურების ხარჯები | (1,549,923) | (1,525,494) | 24,428 | (1,629,167) | (1,554,063) | 75,104 | (1,716,725) | (1,751,785) | (35,060) |
| პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების | | | | | | | | | |
| ხარჯები | (76,922) | (153,206) | (76,284) | (80,854) | (159,781) | (78,926) | (85,200) | (202,803) | (117,604) |
| საკონსულტაციო მომსახურება | (273,954) | (222,903) | 51,051 | (287,961) | (823,162) | (535,201) | (303,437) | (447,512) | (144,075) |
| იურიდიული | (242,048) | (7,089) | 234,958 | (254,423) | (17,261) | 237,163 | (268,097) | (10,921) | 257,176 |
| სხვადასხვა: გადასახადები | (1,185,235) | (2,555,412) | (1,370,177) | (1,181,332) | (2,435,315) | (1,253,983) | (1,182,973) | (2,322,888) | (1,139,915) |
| საბანკო მომსახურების ხარჯები | (3,961) | (2,234) | 1,727 | (4,163) | (1,369) | 2,794 | (4,387) | (1,683) | 2,704 |
| სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები | (1,099,657) | (6,926,073) | 5,826,416 | (1,155,856) | (1,385,590) | (229,734) | (1,217,894) | (10,043,716) | (8,825,821) |
| საეჭვო მოთხოვნების ხარჯები | (2,696,642) | (1,909,269) | 787,373 | (2,834,515) | (10,056,808) | (7,222,293) | (2,986,854) | (7,728,871) | (4,742,017) |
| გადაცდებული კალცებულების ხარჯი | - | (5,212,664) | (5,212,664) | - | (6,142,075) | (6,142,075) | - | (5,805,317) | (5,805,317) |
| მოგება პროცენტების, მოგების გადასახადისა და ცეთა-ამორტიზაციის გამოკლებამდე | 25,556,756 | 39,401,656 | 13,844,900 | 26,926,754 | 35,904,643 | 8,977,889 | 28,431,719 | 20,740,484 | (7,691,235) |
| ცეთა-ამორტიზაცია | (9,797,191) | (31,250,613) | (21,453,422) | (9,021,427) | (32,119,672) | (23,098,245) | (8,504,555) | (31,387,595) | (22,883,040) |
| მოგება პროცენტებისა და მოგების გადასახადის გამოკლებამდე | 15,759,565 | 8,151,043 | (7,608,522) | 17,905,327 | 3,784,971 | (14,120,355) | 19,927,164 | (10,647,111) | (30,574,275) |
| კრედიტებზე დარიცებული საპროცენტო | | | | | | | | | |
| გადასახადები | (4,265,767) | (5,644,002) | (1,378,235) | (3,907,662) | (4,580,973) | (673,311) | (3,549,557) | (4,114,936) | (565,380) |
| მოგება, მოგების გადასახადის გადახდამდე | 11,493,798 | 2,507,041 | (8,986,757) | 13,997,665 | (796,002) | (14,793,666) | 16,377,608 | (14,762,047) | (31,139,655) |
| მოგების გადასახადი | (1,724,070) | - | 1,348,013 | (2,099,650) | 119,400 | 2,219,050 | (2,456,641) | 2,214,307 | 4,670,948 |
| წმინდა მოგება | 9,769,728 | 2,507,041 | (7,262,687) | 11,898,015 | (676,601) | (12,574,616) | 13,920,966 | (13,447,680) | (27,368,647) |

2.2 ძველი ვალდებულებები

უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმაში მიმდინარე კრედიტორული დავალიანების ნაწილში გათვალისწინებულია სს „თელასის“ მიმართ 2004 წლიდან აღიარებული მიმდინარე არაუზრუნველყოფილი კრედიტორული ვალდებულება 706,450 ლარის ოდენობით, რეაბილიტაციის გეგმის² მოთხოვნების თანახმად, მიმდინარე დავალიანებად მხოლოდ ის ვალდებულები უნდა აღიარებულიყო, რომლებიც კრედიტორული დავალიანების დაანგარიშების პერიოდსა (01.10.2008) და რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების დაწყების თარიღამდე (15.11.2008) პერიოდშია წარმოქმნილი. ხოლო მეტ კრედიტორულ დავალიანებას, განიხილავს და ამტკიცებს სასამართლო კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში და აისახება არამიმდინარე არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ნუსხაში.

ფაქტობრივი მდგომარეობით, სს „თელასის“ მიმართ დავალიანება წარმოიშვა 2004 წლამდე და იგი უნდა ასახულიყო არამიმდინარე არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ნუსხაში. თუმცა აღნიშნული ვალდებულება, რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების საპირისპიროდ, რეაბილიტაციის გეგმაში დღემდე არასწორად არის ასახული, როგორც მიმდინარე დავალიანება.

რეკომენდაცია №3

„ელექტროსისტემა“ მიმდინარე დავალიანებად აღიაროს მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია კრედიტორული დავალიანების დაანგარიშების თარიღსა და რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების დაწყების თარიღს შორის, ხოლო ყველა დაარჩენი დააკორექტიროს რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად.

2.3 ძველი სახელფასო ვალდებულებები

კანონმდებლობით³, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების საფუძველზე მოსამართლე ადგენს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) კრედიტორის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ კრედიტორი იურიდიული პირია მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომრი;
- ბ) კრედიტორის მოთხოვნის ოდენობა;
- გ) კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა;
- დ) ვალის მოცულობისა და კრედიტორთა რიგითობის ცვლილება.

ზემოთ აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა „ელექტროსისტემის“ 2008 წლის 1 იანვრამდე დარიცხული და გაუცემელი სახელფასო დავალიანების 2,908,928 ლარის ოდენობის (1886 პირზე) კრედიტორული ვალდებულებების მოთხოვნის მოცულობისა და ცალკეული კრედიტორების ვინაობის განსაზღვრა.

რეაბილიტაციის გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი N5-კრედიტორთა მოთხოვნების ნუსხა, სადაც კრედიტორები დაყოფილია მიმდინარე და არამიმდინარე კრედიტორებად. აღნიშნული დანართის საფუძვლს უნდა წარმოადგენდეს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრი, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი. თუმცა, „ელექტროსისტემის“ პასუხისმგებელი პირების განმარტებით მითითებული ვალდებულებები წარმოშობილი იყო 2005 წლამდე პერიოდში და იმ დროიდან ირიცხებოდა შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე.

ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოდან „ელექტროსისტემის“ სახელზე წარმოდგენილი 2014 წლის 19 სექტემბრის წერილით დასტურდება, რომ 2008 წლის მდგომარეობით, კრედიტორთა პირველი კრების შედეგების მიხედვით მომზადებული ან ცალკე განჩინებით დამტკიცებული კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრი რეაბილიტაციის საქმეში საერთოდ არ მოიპოვება. შესაბამისად, დარღვეულია კანონმდებლობით⁴ დადგენილი მოთხოვნა.

² 7.3 პუნქტი

³ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი

⁴ „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი

2010 წლის 22 მარტს რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც რეაბილიტაციის გეგმას დაემატა ახალი დანართი, სადაც უკვე სახელობითაა დაკონკრეტული სოციალურ დავალიანებებზე (მათ შორის ძველი სახელფასო დავალიანება) ცალკეული ვალდებულებების ოდენობები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ დანართში განსაზღვრული ცალკეული სახელობითი ვალდებულებათა მოცულობები არ არის შედგენილი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების მიხედვით და კომპანიის საფინანსო სამსახურის წარმომადგნელების განმარტებით კრედიტორ თანამშრომელთა სია შედგა რეგიონალური ოფისებიდან სხვადასხვა სახით (სახელფასო უწყისი, საბუღალტრო წიგნში ჩანაწერი და ა.შ.) მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნული ინფორმაციების რეალობისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები „ელექტროსისტემაში“ არ მოიპოვება, გარდა 14 შემთხვევისა, სადაც წარმოდგენილია თავად თანამშრომლების მიერ გასაჩივრების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გასული პერიოდების სახელფასო და მისი თანმდევი გადასახდელების ვალდებულებებში აღიარების დამადასტურებელი სამართლებრივი დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, კომპანიის მიერ ძველი სახელფასო ვალდებულებების (2,529,708 ლარი) მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო თუ არა კანონთან შესაბამისი.

კომპანიას გააჩნდა 2005 წლამდე სახელფასო დავალიანება, რომელიც იბეგრებოდა სოციალური დაზღვევის გადასახადით 31%, რაც ფინანსურ ანგარიშებაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებით გამოქვითულია შესაბამისი პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან და აღიარებულია ხარჯად (შესაბამისად შემცირებულია მოგების გადასახადი), ისევე როგორც სრული სახელფასო დავალიანება. 2011 წლიდან ფინანსთა მინისტრის თანხმობით რეაბილიტაციის გეგმაში შევიდა ცვლილება ძველი სახელფასო დავალიანებებისა და მათთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ეტაპობრივად დაფარვის თობაზე. 2011-2013 წლებში განხორციელდა სახელფასო ვალდებულებების დაფარვა, ამავე პერიოდში ორგანიზაციის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული სოცდაზღვევის 31%-ის ოდენობის ნაცვლად, ბიუჯეტში გადაირიცხა 20% ის ოდენობით. 31%-სა და 20%-ს შორის თანხობრივმა სხვაობამ შეადგინა 306,870 ლარი.

2.4 დაფინანსებული კონცერტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2011 წლის 2 აგვისტოს რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელებული ცვლილებით, შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ მიერ დაგემილი გრანდიოზული კონცერტის „MTV Georgia Live“-ის დასაფინანსებლად „ელექტროსისტემის“ ბიუჯეტიდან გამოიყო 413,000 ლარი.

„ელექტროსისტემის“ მიერ კონცერტის დასაფინანსებელი თანხის გადარიცხვის საფუძვლად არის კომპანიის სახელზე შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ 2011 წლის 7 ივლისს გამოგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მთავრობასთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა გრანდიოზული კონცერტი და სათანადო დონეზე ორგანიზებისათვის საჭირო იყო 250,000 აშშ დოლარი. წერილის საფუძველზე „ელექტროსისტემაში“ ჩატარდა მმართველთა საბჭოს სხდომა. სხდომის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების შეტანა. რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ „ელექტროსისტემას“ „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან“ მიღებული აქვს თანხმობის წერილი. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის გეგმაში განხორციელებული ცვლილების ტექსტურ ნაწილში არ არის დასაბუთებული კონცერტის დასაფინანსებლად ხარჯების გამოყოფის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ხარჯი არ უკავშირდებოდა რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობას, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას⁵.

2.5 რეკლამის ხარჯი

2012 წელს „ელექტროსისტემის“ მიერ გაწეულია 323,945 ლარის ხარჯი, ქვეყანაში 15 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული სარეკლამო კლიპების დამზადებასა და მათ საეთერო სივრცეში განთავსებაზე. ასეთი კატეგორიის ხარჯი არ არის შესაბამისობაში კომპანიის საქმიანობასთან და რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებასთან, ვინაიდან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა სცილდება „ელექტროსისტემის“ საქმიანობის სფეროს და ფაქტობრივად არც ერთი სამართლებრივი დოკუმენტით ასეთი საქმიანობა მისთვის განსაზღვრული არ არის. 2012 წლის 16 და 20 თებერვალს „ელექტროსისტემის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის

⁵ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 51 მუხლი

სამსახურის უფროსმა მოხსენებითი ბარათებით მიმართა რეაბილიტაციის მმართველს „ელექტროსისტემის“ მიერ განხორციელებული და მიძინარე საქმიანობის საზოგადოების ინფორმირების მიზნით 3 ცალი სარკვლამო რეოლის დასამზადებლად 20,000 ლარის და ამ კლიპების რეიტინგულ მედია საშუალებებში განსათავსებლად 232,500 ლარის და 48,700 აშშ დოლარის ელქტროსისტემის ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 თებერვლის N231 განკარგულებით სახელმწიფო „ელექტროსისტემას“ დაევალა რეაბილიტაციის გეგმით გაუთვალისწინებული ისეთი ღონისძიების დაფინანსება, როგორიც იყო საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით სარეკლამო კლიპების დამზადება, მაშინ როცა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათებში კლიპების დამზადების მოტივად მითითებული არგუმენტი რადიკალურად განსხვავდება, მთავრობის განკარგულებაში კლიპების დამზადების მოტივად მოყვანილ არგუმენტებისაგან.

2012 წლის 22 თებერვალს „ელექტროსისტემას“ და შპს „იმედი პროდაქშენს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ვიდეო კლიპის დამზადებაზე 52 წამიანი ქრონომეტრაჟით, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 5,000 ლარი დღგის ჩათვლით.

ანალოგიურად, იმავე თარიღში, სახელმწიფო „ელექტროსისტემამ“ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჩვენი სტუდიასთან“, ორი ვიდეო კლიპის დამზადებაზე 64 და 84 წამიანი ქრონომეტრაჟით, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულებად განისაზღვრა 12,000 ლარი დღგ-ს გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული კლიპების დამზადებაზე მიღება-ჩაბარების აქტები „ელექტროსისტემას“, შპს „იმედი პროდაქშენს“ და შპს „ჩვენი სტუდიას“ შორის გაფორმებულია 2012 წლის 23 თებერვალს, კლიპების დამზადებაზე ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღეს.

კლიპების დამზადება და ეთერში განთავსება განხორციელდა „ელექტროსისტემას“ და მომწოდებელ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების თარიღებამდე.

ზემოაღნიშნული კლიპების სატელევიზიო სივრცეში განთავსება „ელექტროსისტემის“ მიერ განხორციელდა შპს „ჯენერალ მედიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელთა ღირებულებებიც შეადგენდა 48,696 აშშ დოლარს (81,011 ლარს) და 134,007 აშშ დოლარი (222,935 ლარს). ასევე გაფორმდა ხელშეკრულება შპს „რეალტივი საქართველოსთან“ ღირებულებით 3,000 ლარი.

შპს „ჯენერალ მედიასა“ და „ელექტროსისტემას“ შორის 27 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კლიპები ფაქტობრივად სამაუწყებლო კომპანია 2-სა და კომპანია იმედს ეთერში განთავსდა 2012 წლის 8 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით, ხელშეკრულებების გაფორმებამდე და მომსახურების გაწევაზე მიღება-ჩაბარების აქტების და სხვა საანგარიშწორებო დოკუმენტების შედგენამდე რამდენიმე დღით ადრე.

ხაზგასასმელია აღნიშნული კლიპების საეთერო სივრცეში განთავსებაზე ხარჯების გაწევის უფლებამოსილების საკითხი. კლიპების დამზადებაზე „ელექტროსისტემას“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით ჰქონდა მიღებული დავალება, ხოლო კლიპების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის ვალდებულება კომპანიას არ ჰქონდა და მათ განთავსებაზე ხარჯების გაწევა მოხდა უშუალოდ კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

2011 წელს უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმაში გათვალისწინებული იყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ხარჯი 48,027 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივად ხარჯების შეადგინა 323,945 ლარი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, „ელექტროსისტემის“ 2014 წლის 1 დეკემბრის წერილით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა, „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლის დაკორექტირება და ზემოაღნიშნული ვიდეორგოლების ტელე-ეთერში განთავსების მომსახურების ხარჯების გადატანა „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ხარჯების“ მუხლში.

2.6 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2011 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „ელექტორსისტემას“ და თურქეთის მოქალაქეებს - იუსუფ გუნას და ჰაკიმ შიმშეკს - შორის საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე, ღირებულებით 588,236 აშშ დოლარი, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 18 თვით. სახელშეკრულებო ღირებულების გადახდა განხორციელდა საწყის ეტაპზე 40%-ის ოდენობით ავანსის სახით, ხოლო შემდგომ თითოეული (სამი) შუალედური ანგარიშის

წარდგენისას 20-20% ოდენობით. ზემოთ მითითებული ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში მომსახურების ერთ-ერთი პროვაიდერი - ჰაკან შიმშეკი იმავდროულად წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკაში „ელექტროსისტემის“ მიერ დაფუძნებული შვილობილი კომპანიის სს „კარჩალის“ დირექტორს, რომელსაც მიცემული აქვს წარმომადგენლობისა და მართვის უფლებამოსილება და ანაზღაურების სახით დანიშნული აქვს ფირმის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის დაწყებამდე ხელფასი 3,500 აშშ დოლარის ოდენობით გადასახადების გარეშე, ასევე ფირმის წმინდა მოგების 10%.

ფაქტობრივად, 2011-2012 წლებში ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე იუსუფ გუნაის სახელზე გადარიცხულია 500,000 აშშ დოლარი.

„ელექტროსისტემისათვის“ კონსულტანტებს უნდა გაეწიათ შემდეგი სახის მომსახურებები:

- „ბორჩხა-ახალციხის“ 400კვ ურთიერთდამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის თურქეთის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესის დაჩქარება. გაურკვეველია და ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული მექანიზმები თუ როგორ უნდა განხორციელებინა ფიზიკურ პირებს - ჰაკან შიმშეკა და იუსუფ გიუნას ხელშეკრულების „ბორჩხა-ახალციხის“ 400 კვ ურთიერთდამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის თურქეთის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესის დაჩქარება;
- „სსე“/„ენერგოტრანსსა“ და „TEIAS“-ს შორის ურთიერთდამაკავშირებელი ოპერირების ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა;
- თურქეთის რესპუბლიკისა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის დავალიანების წარმოშობის საფუძვლის დადგენა და ამის თაობაზე შემსყიდველისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;
- საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის „ბორჩხა-ახალციხის“ 400კვ ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა და მხარეების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა, ხელშეკრულების ხელმოწერა;
- საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ერთობლივ ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა, მხარეების შეხვედრების მოწყობისა და ხელმოწერის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სახეები ფაქტობრივად იდენტურია საქმიანობის იმ სახეებთან, რომლის განხორციელების უფლებამოსილება განსაზღვრული იყო 2009 წლის 30 ივლისს „ელექტროსისტემის“, შპს „ენერგოტრანსსის“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ მიერ დაფუძნებული ენერგიისა და ელექტროობის ბითუმად ვაჭრობის სააქციო საზოგადოება „კარჩალის“ წესდებით, რომლის დირექტორიც არის ასევე კონსულტანტად დაქირავებული ჰაკან შიმშეკი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროსისტემასა“ და კონსულტანტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების მიხედვით გაწეულ მომსახურებაზე კონსულტანტებისათვის ანაზღაურებული იქნა 588,236 აშშ დოლარი, თუმცა თურქეთის რესპუბლიკაში, თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული „ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანიის სს „კარჩალის“ სადამფუძნებლო დოკუმენტებითაც იდენტური საქმიანობის განხორციელება იყო განსაზღვრული.

2.7 ხელფასები და პრემიები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011, 2012 და 2013 წლებში გაცემული ხელფასისა და პრემიის ოდენობები:

| წელი | თანამშრომლების რაოდენობა | ხელფასი | პრემია |
|------------|-----------------------------|-------------------|------------------|
| 2011 | 1232 | 12,471,453 | 1,873,754 |
| 2012 | 1236 | 13,008,986 | 2,600,453 |
| 2013 | 1278 | 15,054,605 | 2,334,037 |
| სულ | | 40,535,044 | 6,808,244 |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011, 2012 და 2013 წლებში გაცემული ხელფასისა და პრემიის საშუალო ოდენობები თანამდებობრივი რანგების მიხედვით:

| თანამდებობრივი რანგი | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი |
|--|------------------|------------------|------------------|
| მმართველთა საბჭოს წლიური ხელფასი | 721,521 | 710,027 | 775,039 |
| მმართველთა საბჭოს წლიური პრემია | 138,306 | 203,179 | 129,292 |
| მმართველთა საბჭოს თვის საშუალო ხელფასი | 7,961 | 9,513 | 9,420 |
| მენეჯერების წლიური ხელფასი | 1,029,387 | 1,143,385 | 1,228,310 |
| მენეჯერების წლიური პრემია | 214,641 | 295,312 | 213,195 |
| მენეჯერების თვის საშუალო ხელფასი | 4,937 | 5,450 | 5,460 |
| სამსახურის უფროსების წლიური ხელფასი | 1,088,924 | 908,813 | 1,022,170 |
| სამსახურის უფროსების წლიური პრემია | 171,609 | 186,142 | 180,914 |
| სამსახურის უფროსების თვის საშუალო ხელფასი | 2,839 | 2,851 | 2,864 |
| განყოფილების უფროსების წლიური ხელფასი | 861,234 | 972,503 | 1,020,666 |
| განყოფილების უფროსების წლიური პრემია | 134,146 | 188,352 | 166,737 |
| განყოფილების უფროსების თვის საშუალო ხელფასი | 1,626 | 1,825 | 1,832 |
| რიგითი თანამშრომლების წლიური ხელფასი | 8,770,387 | 9,274,259 | 11,008,419 |
| რიგითი თანამშრომლების წლიური პრემია | 1,215,051 | 1,727,470 | 1,643,900 |
| რიგითი თანამშრომლების თვის საშუალო ხელფასი | 747 | 818 | 910 |

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია 2011, 2012 და 2013 წლებში კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრების მიერ მიღებული სარგებლის შესახებ ინფორმაცია:

| მმართველთა საბჭოს წევრები 2011 წელი | ხელფასი | პრემია | ნორმის ზევით ანაზღაურებული მივლინება | ტელეფონი | ჯამი |
|--|----------------|----------------|---|-----------------|----------------|
| ს. ზუმბურიძე | 153,661 | 39,306 | 34,265 | 15,675 | 242,907 |
| გ. შარკოვი | 90,180 | 15,000 | - | 273 | 105,453 |
| ზ. ეზუგბაია | 90,180 | 18,750 | 4,240 | 2,175 | 115,345 |
| მ. პაპუამვილი | 90,180 | 22,500 | 4,431 | 2,781 | 119,892 |
| უ. უჩანეიშვილი | 90,180 | 15,000 | 7,187 | 7,995 | 120,362 |
| ვ. ნინუა | 90,180 | 15,000 | - | 356 | 105,536 |
| მ. სხილაძე | 41,545 | 9,000 | - | 305 | 50,850 |
| თ. ჯუდელი | 37,143 | - | - | - | 37,143 |
| ფ. ტყებუავა | 38,272 | 3,750 | - | 415 | 42,437 |
| გ. საღირაშვილი | - | - | - | - | - |
| გ. გელაშვილი | - | - | - | - | - |
| ჯამი | 721,521 | 138,306 | 50,123 | 29,975 | 939,925 |

| მმართველთა საბჭოს წევრები 2012 წელი | ხელფასი | პრემია | ნორმის ზევით ანაზღაურებული მივლინება | ტელეფონი | ჯამი |
|--|----------------|----------------|---|-----------------|----------------|
| ს. ზუმბურიძე | 168,947 | 62,179 | 23,022 | 8,807 | 262,955 |
| გ. შარკოვი | 90,180 | 24,750 | 1,674 | 1,056 | 117,660 |
| ზ. ეზუგბაია | 90,180 | 24,750 | 5,080 | 2,942 | 122,952 |
| მ. პაპუაშვილი | 90,180 | 28,500 | 1,974 | 1,805 | 122,459 |
| უ. უჩანეიშვილი | 90,180 | 24,750 | 3,143 | 11,342 | 129,415 |
| ვ. ნინუა | 40,090 | 3,750 | - | 140 | 43,980 |
| მ. სხილაძე | 90,180 | 21,000 | 675 | 819 | 112,674 |
| თ. ჯუღელი | - | - | - | - | - |
| ფ. ტყებუჩავა | - | - | - | - | - |
| გ. საღირაშვილი | 50,090 | 13,500 | - | 281 | 63,871 |
| გ. გელაშვილი | - | - | - | - | - |
| ჯამი | 710,027 | 203,179 | 35,568 | 27,193 | 975,966 |

| მმართველთა საბჭოს წევრები 2013 წელი | ხელფასი | პრემია | ნორმის ზევით ანაზღაურებული მივლინება | ტელეფონი | ჯამი |
|--|----------------|----------------|---|-----------------|------------------|
| ს. ზუმბურიძე | 185,784 | 31,707 | 16,290 | 48,620 | 282,401 |
| გ. შარკოვი | 99,810 | 16,600 | 2,047 | 852 | 119,309 |
| ზ. ეზუგბაია | 99,810 | 16,600 | 10,220 | 6,181 | 132,811 |
| მ. პაპუაშვილი | 99,810 | 16,600 | 2,661 | 1,150 | 120,221 |
| უ. უჩანეიშვილი | 99,810 | 16,185 | 13,840 | 12,804 | 142,639 |
| ვ. ნინუა | - | - | - | - | - |
| მ. სხილაძე | 99,810 | 16,600 | 1,135 | 596 | 118,141 |
| თ. ჯუღელი | - | - | - | - | - |
| ფ. ტყებუჩავა | - | - | - | - | - |
| გ. საღირაშვილი | 10,149 | - | - | 44 | 10,193 |
| გ. გელაშვილი | 80,058 | 15,000 | - | 663 | 95,721 |
| ჯამი | 775,039 | 129,292 | 46,192 | 70,910 | 1,021,436 |

კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრებზე არაეკონომიურად გაიწევა ხარჯები ისეთ პირობებში, როდესაც კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში და 2011 წლის ბოლოს მისი მიმდინარე პერიოდის მოგებამ ნაცვლად რეაბილიტაციის პირვანდელი გეგმით გათვალისწინებული 11,493,798 ლარისა შეადგინა 2,506,926 ლარი, ხოლო 2012 წლის და 2013 წლების ზარალი შესაბამისად შეადგენს 676,601 და 13,447,680 ლარს.

2.8 მივლინების ხარჯები

უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის 5.2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად „ელექტროსისტემის“ მიერ მივლინების ხარჯების ანაზღაურების სისტემის სრულყოფისათვის პროცედურები დადგინდა მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის N220 ბრძანებით დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

ქვეყნის შეგნით მივლინებები

კომპანიის რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების⁶ საფუძველზე, მივლინებულ პირებზე ასანაზღაურებელი თანხის ნორმები არ არის შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ნორმატიულ აქტთან, კომპანიის შიდა ადმინისტრაციული აქტით ბინის დაქირავების დამადსტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევებში დამისთევის ნორმად განისზღვრა 25 ლარი, მაშინ როცა ფინანსთა მინისტრის

⁶ 2008 წლის 18 თებერვლის N49

მიერ დამტკიცებული ბრძანებით ქვეყნის შიგნით ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის საფუძველზე.

2011, 2012 და 2013 წლებში ბინის დაქირავების ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის გარეშე კომპანიის მიერ გაწეულია 434,209 ლარის ხარჯი.

ქვეყნის გარეთ მივლინებები

რეაბილიტაციის გეგმის 5.2 პუნქტის მიხედვით - (სახელფასო პოლიტიკა, საპრემიო ფონდი და სხვაგვარი შრომის ანაზღაურება) „საზოგადოების მიერ მივლინების ხარჯების ანაზღაურების სისტემის სრულყოფისთვის შემუშავდება მივლინების ხარჯების ანაზღაურების პროცედურები და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგინდება შესაბამისი ლიმიტები“.

რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის გამოცემული ბრძანებით⁷, **სადღელამისო ნორმები** ყველა თანამშრომლისათვის განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 05/04/2005 წლის N220 ბრძანების შესაბამისად. ხოლო, კომპანიის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარებზე, თავმჯდომარის მოადგილეზე და მმართველთა საბჭოს წევრებზე **სადღელამისო ნორმის ზემოთ დანამატად** განისაზღვრა შესაბამისად 90%, 70% და 50%.

ფინანსთა მინისტრის 05.04.2005 წლის N220 ბრძანებით დადგენილი ნორმების ზემოთ ანაზღაურებული თანხები, არ განიხილება მივლინების ხარჯებად, არამედ ითვლება თანამშრომლის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად.

კომპანიის რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ორივე ზემოთ ხსენებული ბრძანება (29.01.2010 N13, 18.02.2008 N49) არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 05/04.2005 წლის N220 ბრძანებას და რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნებს⁸.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ინფორმაცია წლების მიხედვით მივლინების ნორმის ზევით გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით:

| მივლინება ქვეყნის შიგნით | | | |
|---------------------------------|-----------------------------------|------------------|---------------------|
| წელი | მივლინებების რაოდენობა | ლარი | ნორმის ზევით |
| 2011 | 1,011 | 379,213 | 78,942 |
| 2012 | 2,167 | 655,770 | 222,017 |
| 2013 | 1,581 | 572,641 | 133,250 |
| სულ | | 1,607,624 | 434,209 |

| მივლინება ქვეყნის გარეთ | | | |
|--------------------------------|-----------------------------------|----------------|---------------------|
| წელი | მივლინებების რაოდენობა | ლარი | ნორმის ზევით |
| 2011 | 82 | 335,230 | 57,330 |
| 2012 | 37 | 255,310 | 40,252 |
| 2013 | 39 | 396,080 | 72,479 |
| სულ | | 986,620 | 170,060 |

⁷ 2010 წლის 29 იანვარს N13

⁸ 5.2 პუნქტი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია იმ თანამშრომელთა ჩამონათვალი, რომელთა 2011, 2012 და 2013 წლებში ქვეყნის გარეთ მივლინებისას ნორმის ზევით მიღებული აქვთ თანხები:

| თანამშრომელი | ნორმის ზევით ანაზღაურებული | მივლინებისას სატელეფონო ხარჯი (როუმინგი) | მივლინებისას ტაქსი | ჯამი |
|--------------------------|-------------------------------|---|-----------------------|----------------|
| ს. ზუმბურიძე | 73,577 | 67,627 | 3,662 | 144,867 |
| გ. შარვაში | 3,722 | 534 | 648 | 4,903 |
| ზ. ეზუგბაია | 19,540 | 9,814 | 858 | 30,212 |
| მ. პაპუაშვილი | 9,066 | 4,241 | 261 | 13,567 |
| უ. უჩანეიშვილი | 24,170 | 25,578 | 1,519 | 51,267 |
| ვ. ნინუა | - | - | - | - |
| მ. სხილაძე | 1,810 | - | 150 | 1,960 |
| გ. გილაშვილი | - | 420 | - | 420 |
| ყველა სხვა თანამშრომლები | 38,176 | - | 1,253 | 39,429 |
| სულ | 170,060 | 108,214 | 8,351 | 286,625 |

2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებული ქვეყნის გარეთ მივლინებებიდან 7 შემთხვევაში ანაზღაურებულია ბიზნეს კლასით ფრენა, რაც შეუსაბამობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გაწეული ხარჯის ჯამური ღირებულება შეადგენს 35,582 ლარს, აქედან 1,817 ლარის ღირებულების ბიზნეს კლასის ბილეთის ხარჯი კანონშეუსაბამოდ არის აღიარებული, ვინაიდან აღნიშნულ ხარჯთან დაკავშირებით მივლინება საერთოდ არ განხორციელებულა.

2013 წელს მმართველთა საბჭოს ოთხი წევრი და ლოჯისტიკის აღმასრულებელი მენეჯერი გაემგზავრნენ გერმანიაში (მიუნხენი) საერთაშორისო საფაქტო გამოფენაზე BAUMA 2013, სადაც ჯამურად გაწეულმა მივლინების ხარჯმა 3 დღეში შეადგინა 28,857 ლარი, აღნიშნული მივლინებიდან „ელექტროსისტემისთვის“ მიღებული შედეგი გაურკვეველია.

რეკომენდაცია N4

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, როგორც უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ფინანსთა მინისტრის 05.04.2005 წლის N220 ბრძანებით დადგენილი ღიმიტების ზემოთ ანაზღაურებული თანხების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის, გადაიხდოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველის 29.01.2010 წლის N13 ბრძანება (შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თანამშრომელთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამივლინებო ხარჯის ანაზღაურების შესახებ), რითაც დადგენილია მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელებისა და წევრებისათვის სადღელამისო ნორმებზე დანამატები.

3. შემოსავლები

2011-2013 წლებში „ელექტროსისტემის“ დარიცხული შემოსავლები სულ შეადგენს 268,761,877 ლარს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენლია შემოსავლები წლების მიხედვით:

| შემოსავლის სახეები | 2011 | 2012 | 2013 |
|--|--------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი 10/6 კვ გადამცემი ხაზებიდან | 7,229,303 | 7,447,028 | 7,634,575 |
| შემოსავალი 110/35 კვ გადამცემი ხაზებიდან | 38,200,206 | 39,088,516 | 39,828,200 |
| შემოსავალი 110/35 კვ გადამცემი ხაზებიდან (ექსპორტი) | 4,652,972 | 2,640,753 | 2,251,908 |
| სულ გადაცემიდან შემოსავალი | 50,082,481 | 49,176,297 | 49,714,683 |
| შემოსავლები დისპეტჩერიზაციის მომსახურებიდან | 13,883,614 | 14,069,008 | 14,535,333 |
| შემოსავლები (ექსპორტი) დისპეტჩერიზაციის მომსახურებიდან | 1,395,892 | 792,226 | 675,572 |
| სულ დისპეტჩერიზაციიდან შემოსავალი | 15,279,506 | 14,861,234 | 15,210,905 |
| შემოსავლები იჯარიდან | 74,805 | 85,452 | 136,148 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | - | 169,539 | - |
| სულ საოპერაციო საქმიანობიდან | 65,436,792 | 64,292,522 | 65,061,736 |
| კონტრაქტორზე დარიცხული საურავი | 146,590 | 534,877 | 868,994 |
| მომხმარებელზე დარიცხული საურავი | 128,419 | 130,136 | 69,046 |
| ანაბარზე დარიცხული პროცენტი | 3,080,608 | 5,736,897 | 1,500,605 |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან | - | 34,522 | 123,368 |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგად | - | 1,424,775 | 13 |
| შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობებიდან | 28,081,502 | 10,321,907 | 5,487,556 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 3,994,276 | 8,961,500 | 3,271,350 |
| საბანკო გარანტიიდან თანხების მოხსნა | 73,886 | - | - |
| სულ არასაოპერაციო შემოსავალი | 35,505,281 | 27,144,614 | 11,320,932 |
| სულ შემოსავალი | 100,942,073 | 91,437,136 | 76,382,668 |

3.1 ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეტჩერიზაციდან მიღებული შემოსავლები

„ელექტროსისტემა“ უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემას (ტრანსპორტირებას, ტრანზიტს) და ამავდროულად წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ერთადერთ ლიცენზიანტის. კომპანია გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურებას უწევს დაახლოებით 50 კვალიფიციურ საწარმოს. 2011-2013 წლებში გაწეული მომსახურების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებში მონაწილეობდა აღფა ცენტრის მონაცემები, ხოლო ალფა ცენტრთან დაუკავშირებელი მრიცხველების ჩვენებები აიღებოდა აღრიცხვის ჟურნალიდან. ალფა ცენტრი არის ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც 30 წუთიანი ინტერვალით აწარმოებს აღრიცხვის წერტილებში არსებული მრიცხველებიდან კომერციული მონაცემების გაანგარიშებას, რომლის საფუძველზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები.

- 2011-2013 წლებში „ელექტროსისტემაში“ კვალიფიციური საწარმოების მიერ დაგვიანებით არის წარმოდგენილი გადაცემული და დისპეტჩერიზებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტები, რაც შეუსაბამოა „ბაზრის წესებთან“. 2011 წელს გამოვლინდა დაგვიანების 78 შემთხვევა, 2012 წელს 97, 2013 წელს 62.
- ენერგეტიკის სამინისტროსადმი „ელექტროსისტემის“ მიერ გაგზავნილი ოპერატიული ინფორმაცია ქვეყნის შიგნით ელექტროენერგიის მოხმარების შესახებ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ოპერატიული აღრიცხვის სამსახურში, დისპეტჩერებისგან მიღებული ჩვენებებით შედგენილი მონაცემთა ერთიანი ბაზის საფუძველზე დგება ყოველდღიური ფორმა N1 - ქვეყნის შიგნით ელექტროენერგიის მოხმარების შესახებ. ოპერატიული აღრიცხვის ერთიან მონაცემთა ბაზაში შემავალი ჩვენებები ხშირად არის არაზუსტი, რაც იწვევს ცდომილებებს ფორმა N1-ში. უზუსტობები ფორმა N1-ში ასევე გამოწვეულია მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ჩანაწერების არასწორად გადატანის გამო. მაგალითად: მონაცემთა ბაზაში აფხაზეთის მოხმარების შესახებ

ინფორმაცია განსხვავდება ფორმა N1-ის შესაბამისი ინფორმაციისგან. 2011 წლის 1 იანვარს აფხაზეთის მოხმარება მონაცემთა ბაზის მიხედვით შეადგენს 5,207,400 კვ. სთ.-ს, ხოლო ფორმა N1-ის მიხედვით - 4,559,000 კვ. სთ-ს.

2013 წლის 11 ნოემბერს დამტკიცებული „ელ.ენერგიის გამომუშავების, გადაცემის და მოხმარების ყოველდღიური ბალანსის ფორმირების და სისწორის შემოწმების პროცესის“ მიხედვით, ყოველდღიური ფორმები უნდა მომზადებულიყო ალფა ცენტრიდან ავტომატურ რეჟიმში, ხოლო ალფა ცენტრში ჩაურთველი მრიცხველებიდან - დისპეტჩერებისგან მოპოვებული ჩვენებების საფუძველზე. ზემოაღნიშნული პროცესის დამტკიცების შემდგომ ყოველდღიური ფორმები მომზადებულია დისპეტჩერების მიერ აღებული ჩვენებებიდან, რაც შეუსაბამოა მითითებულ პროცედურასთან.

- მიწოდება-მოხმარების ბალანსს ავტომატურ რეჟიმში გარკვეული უზუსტობებით ამზადებდა ალფა-ცენტრი, რის გამომწვევ მიზეზსაც შემოვლითი ხაზის ხარჯის გაუთვალისწინებლობა წარმოადგენდა. უბალანსობის აღმოფხვრას ახორციელებდა კომერციული აღრიცხვის სამსახური, ალფა ცენტრის მონაცემებთან ერთად შემოვლითი ხაზის ხარჯის გათვალისწინებით. ალფა-ცენტრის მიერ შედგენილ ყოველდღიურ და ყოველთვიურ ბალანსებს შორის არსებობდა შეუსაბამოების შემთხვევები, რაც კომპანიის განმარტებით გამოწვეული იყო პროგრამული ხარვეზით.

3.2 დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულებები

ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების შესახებ სს „თელასთან“, შპს „საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან“, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციასთან“ და შპს „ენერჯი ალიანს გრუპთან“ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების მე-2 მუხლი („დამკვეთის წინასწარი გარანტიები“) შეუსაბამოა „ბაზრის წესებთან“. კერძოდ, „ბაზრის წესების“⁹ მიხედვით, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი („ელექტროსისტემა“) უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია, თუ კვალიფიციურმა საწარმომ მომსახურების გადახდა 5 დღეზე მეტი ვადით დაავიანა. ფაქტობრივი მდგომარეობით, წესების მოთხოვნების საპირისპიროდ, ზოგიერთ შემთხვევაში „ელექტროსისტემის“ მიერ ხელშეკრულებებში ნაცვლად 5 დღის ვადაგადაცილებისა, მითითებულია 10 დღე, რაც ეწინააღმდეგებოდა „ბაზრის წესების“ მოთხოვნებს და შესაბამის კვალიფიციურ საწარმოებს სხვა მომხმარებლებთან მიმართებაში უპირატეს მდგომარებაში აყენებდა.

შპს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“, შპს „ენიმპექსთან“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან“ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების მე-2 მუხლის თანახმად მომსახურების მიმღების მიერ ხელშეკრულებების ამოქმედებიდან არაუმეტეს 10 დღეში და ყველა შემდგომ პერიოდში ხელახლა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ან განახლებული საბანკო გარანტია. ფაქტობრივად, 2011-2013 წლებში აღნიშნული კომპანიების მიერ არცერთ შემთხვევაში წარმოდგენილი/განახლებული არ არის საბანკო გარანტია, რაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ „ელექტროსისტემა“ არ იყენებდა „ბაზრის წესებით“ და ხელშეკრულებებით მინიჭებულ უფლებამოსილებას საბანკო გარანტიის მოთხოვნის შესახებ. კომპანიის მიერ საბანკო გარანტია მოთხოვნილია მხოლოდ ერთხელ „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ 2011 წელს, საბანკო გარანტია მაინც არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია, 10,000 ლარის ოდენობით, არ იყო დაკისრებული.

„ელექტროსისტემა“ უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საბანკო გარანტია, მაგალითად 2012 წელს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მაისის თვის მომსახურების საფასური 243,121 ლარი დაფარულია 18 და 23 ოქტომბერს, შესაბამისად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 118 და 123-ია, 2012 წლის სექტემბრის თვის მომსახურების საფასური 9,825 ლარის ოდენობით „საქახშირისგან“ მიღებულია 2013 წლის იანვარში, ვადაგადაცილების დღეების რაოდენობა 108.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიების მიხედვით 2011, 2012, 2013 წლებში, გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა, რომელზეც არ არის „ელექტროსისტემის“ მიერ მოთხოვნილი საბანკო გარანტია:

⁹ საქართველოს ენერგეტიკის 2006 წლის ენერგეტიკის მინისტრის #77 ბრძანების 25-ე მუხლის 1 პუნქტი

| პირდაპირი მომხმარებელი | 2011 | 2012 | 2013 |
|---|-------------|-------------|-------------|
| კახეთის დისტრიბუცია (ახემა გროუპი) | 7 | 5 | 3 |
| საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია | 12 | 12 | 12 |
| საქართველოს გადახდის განაკვეთი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) | 3 | 6 | 1 |
| ენერგო პრო-ჯორჯია | 12 | 12 | 12 |
| თბილქალაქანათება | 1 | - | - |
| მტკვარი ენერგეტიკა | 2 | - | - |
| ჯორჯიან მანგანეზი | - | 4 | 4 |
| სულ | 37 | 39 | 32 |

2013 წლის 1 ივლისს „ელექტროსისტემასა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრუბუციას“ შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, გაკოტრების რეჟიმში წარმოშობილი ვალდებულების დროულად გადაუხდელობის გამო, პირგასამტებლოს სახით 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დარიცხული საურავის, 86,677 ლარის ოდენობით, საშედავათო განვადების პირობით გადახდასთან დეაკავშირებით. პირველი ჩარიცხვა ნაცვლად 25 ივლისისა, განხორციელებულია სექტემბრის თვეში ორი თვის დაგვიანებით. ხოლო დარჩენილი ნაწილი 69,045 ლარი, ნაცვლად 25 ნოემბრისა, მიღებულია 29 ნოემბერს. განსაზღვრული გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „ელექტროსისტემა“ ვალდებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ ორგანოსთვის მიემართა კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების გასატარებლად, რაც არ განუხორციელებია.

რეკომენდაცია N5

„ელექტროსისტემამ“ კვალიფიციურ საწარმოსთან ხელშეკრულებები გააფორმოს „ელექტროენერგიის სიმძლავრის“ ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაცია N6

„ელექტროსისტემამ“ კვალიფიციურ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს მისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილება სანქციების დაკისრების შესახებ.

3.3 უსასყიდლო და გადაცემული ფართი

„ელექტროსისტემამ“, შპს „დ&გ პრომოუშენისთვის“ სასადილოს მოსაწყობად, თხოვების ფორმით გადაცემულ ფართთან დაკავშირებით 2011, 2012 და 2013 წლებში უარი თქვა მიეღო 117,348 ლარის საიჯარო შემოსავალი და ამასთან ერთად დამატებით აღნიშნულ ფართთან დაკავშირებით გასწია 110,473 ლარის ხარჯი. აღნიშნული ხარჯი არ იყო განსაზღვრული რეაბილიტაციის გეგმით, შესაბამისად დაკავშირებული ხარჯები არის არამიზნობრივი. კომპანიის მენეჯმენტს არ აქვს განსაზღვრული უსასყიდლო ოპერაციიდან მისაღები ეფექტი და არ მოეპოვება ინფორმაცია, რამდენად ექვივალენტურია მათ მიერ გაწეული ხარჯი, იმ მისაღები სარგებლისა, რომელსაც იგი მიიღებდა სასადილოს ფუნქციონირებიდან.

2010 წლის 2 აგვისტოს თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე შპს „დ&გ პრომოუშენზე“ უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემულია 151მ² არასაცხოვრებელი ფართი, რომლის წლიურ საბაზრო ღირებულებად განსაზღვრულია 32,616 ლარი, ხოლო გადაცემული ინვენტარისა და მოწყობილობა-დანადგარების ღირებულება - 6,500 ლარი, რაც საერთო ჯამში შეადგენს 39,116 ლარს.

ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, კვების ობიექტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის გადასახადების გადახდის ვალდებულება აიღო „ელექტროსისტემამ“.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, მოცემულია 2011-2013 წლებში „ელექტროსისტემის“ მიერ სასადილო ფართზე გაწეული ხარჯები და აუდიტორის მიერ შეფასებული იჯარის ღირებულება:

| წელი | იჯარა | დღგ | საშემოსავლო გადასახადი | ცვეთის ხარჯი | კომუნალური გადასახადები | სულ |
|------------|----------------|---------------|---------------------------|-----------------|----------------------------|----------------|
| 2011 | 39,116 | 5,967 | 9,780 | 11,358 | 11,904 | 78,125 |
| 2012 | 39,116 | 5,967 | 9,780 | 11,660 | 12,792 | 79,315 |
| 2013 | 39,116 | 5,967 | 815 | 11,535 | 12,948 | 70,381 |
| სულ | 117,348 | 17,901 | 20,375 | 34,553 | 37,644 | 227,821 |

2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში კომპანიის შემოსავლებიდან ზედმეტად არის გადახდილი 20,375 ლარი საშემოსავლო გადასახადის დასაფარად თანამშრომელთა იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო.

4. აქტივების მართვა

აუდიტის ფარგლებში განხორციელდა კომპანიის ბუღალტრულ პროგრამაში რიცხული ძირითადი აქტივების დადარება ფაქტობრივად არსებულთან, რის შედეგადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი შესაბამობები:

4.1 ქონების მითვისება და ძარცვა

„ელექტროსისტემის“ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის 2013 წლის მონაცემებით, საინვენტარო ნომერ 041122-ზე (ძველი ს/ნ 33647) ქვესადგურ „ქუთაისი 220“-ში რიცხულად ნაჩვენებია 1 კომპლექტი დემონტირებული საპარტო ამომრთველები მარკისა და მოდელის მითითების გარეშე.

2013 წელს აუდიტორულ კომპანია „ფინანსაუდიტმა“ სხვა მოწყობილობებთან ერთად შეაფასა ზემოთ მითითებულ საინვენტარო ნომერზე (041122) რიცხულად ნაჩვენები 1 კომპლექტი დემონტირებული საპარტო ამომრთველები. „ფინანსაუდიტმა“ მიერ წარმოდგენილ იქნა დემონტირებული და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებების გაანგარიშების რეესტრი, სადაც ს/ნ 041122-ზე შეფასებულად ნაჩვენებია 1 კომპლექტი BBH-110 მარკისა და მოდელის დემონტირებული საპარტო ამომრთველები საბაზრო ღირებულებით 4500 ლარი. აღსანიშნავია, რომ „ფინანსაუდიტმა“ მიერ წარმოდგენილი შეფასების რეესტრის აუდიტის შენიშვნის გრაფაში მითითებული იყო, რომ ნაცვლად 1-ისა რეალურად ადგილზეა 9 კომპლექტი.

2014 წელს „ელექტროსისტემაშ“ აუქციონზე გაიტანა „ფინანსაუდიტმა“ მიერ შეფასებული დემონტირებული ელექტრომოწყობილობები, მათ შორის „ელექტროსისტემის“ შესაბამის საბალანსო ანგარიშზე და ს/ნ 041122-ზე რეალურად აღრიცხული 1 კომპლექტი დემონტირებული BBH-110 მარკისა და მოდელის საპარტო ამომრთველები ღირებულებით 4500 ლარი.

აუქციონის შედეგების მიხედვით 2014 წლის 19 ივნისს „ელექტროსისტემასა“ და „შპს „ელიტ მეტალს“ შორის გაფორმებული იქნა დემონტირებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ელიტ მეტალს“ უნდა გაეტანა ქვესადგურ „ქუთაისი 220“-დან მხოლოდ 1 კომპლექტი (3 ცალი) 110 კვ. საპარტო ამომრთველები ღირებულებით 5,500 ლარი.

ფაქტობრივი მდგომარეობით, მიღებული ინფორმაციის თანახმად ქვესადგურ „ქუთაისი 220“-ში 2004-2006 წლებში ს/ნ 041122-ზე დემონტირებული იქნა სულ 36 ცალი ავარიული საპარტო ამომრთველი, რომელიც შპს „ელიტ მეტალზე“ გადაცემულია აღნიშნული აუქციონის ფარგლებში.

„ელექტროსისტემის“ საბუღალტრო ჩანაწერებიდან ჩამოიწერა სამი საპარტო ამომრთველო, ხოლო საწყობიდან გავიდა 36 ცალი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს კომპანიაში ხელმძღვანელობის მიერ დაწერგილ კონტროლის სისუსტეზე, რამაც კომპანია მიიყვანა არსებით ფინანსურ დანაკარგებამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

აუდიტის პერიოდში „ელექტროსისტემას“ განხორციელებული აქცს ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის მომსახურების შესყიდვა. შესყიდვა სამივე წელს განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შსს-ს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან“. მომსახურების ღირებულებები 2011, 2012 და 2013 წლებში შეადგენდა შესაბამისად 1,503,600 ლარს, 1,561,600 ლარს და 1,788,000 ლარს.

დასაცავ ობიექტებში შედიოდა ქ/ს „ნავთლუღი-220“-ის ტერიტორია, საიდანაც დემონტირებული დანადგარებიდან მოპარულ იქნა დაახლოებით 400 კვ ფერადი ლითონი, რაზეც 21.01.2011წ. გაფორმებულია დათვალიერების აქტი. მიყენებული ზარალის ოდენობა შეფასდა 5,200 ლარით. ხელშეკრულების შესაბამისად, ობიექტის მთლიანობის დარღვევის შესახებ დაცვის სამსახურს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა „ელექტროსისტემისა“ და შსს-ს ორგანოებისთვის, რისი წერილობითი დოკუმენტიც არ შემდგარა. ხელშეკრულების შესაბამისად დაცვის სამსახურთან უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა დაცვის სამსახურის მიერ ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა, რაც ასევე არ გაფორმებულა. ხელშეკრულებით განსაზღვრული დამკვეთის უფლებამოსილება სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, დამკვეთს, ანუ „ელექტროსისტემას“ არ გამოუყენებია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტია ხელშეკრულების უზრუნველყოფაზე, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს (30,072 ლარს), „ელექტროსისტემის“ მიერ არ იყო გამოყენებული მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის.

ამასთან ერთად, დაცვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, 2011 წლის 1 აგვისტოს ქ/ს „ნავთლუღი-220“-ის ტერიტორიაზე დემონტირებული მოწყობილობიდან დაფიქსირდა 1,500 ლიტრი სატრანსფორმატორო ზეთის დატაცება. ზარალი შეფასებულია 750 ლარის ოდენობით, რაც ასევე არ არის ანაზღაურებული დაცვის სამსახურის მიერ.

„ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოვლინდა ქ/ს „გარდაბანი 500“-ის ტერიტორიაზე განთავსებული 220 კვ დემონტირებული დენის ტრანსფორმატორების ძარცვა, კერძოდ 60 ერთეული ტრანსფორმატორიდან მოპარულია სატრანსფორმატორო ზეთი და დენის გამომყვანი სპილენძი. მოპარული ზეთის სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 7,260 ლიტრი, ხოლო სპილენძის რაოდენობამ საშუალოდ 1-0,8 მეტრი თითოეული ტრანსფორმატორის მიხედვით. შეფასებული ზარალის ღირებულებამ შეადგინა 117,728 ლარი, რაც დაცვის სამსახურს არ აუნაზღაურებია. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოწყოდებელს საერთოდ არ წარმოუდგენია ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია. მოყვანილი გარემოებები შეუსაბამოა როგორც ხელშეკრულების პირობებთან, ისე შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

„ელექტროსისტემასა“ და სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“ შორის 2011-2013 წლებში, განხორციელებული სახელშეკრულებო ურთიერთობების შედეგად ასანაზღაურებელმა ზარალმა შეადგინა 126,048 ლარი, რომელთან დაკავშირებით „ელექტროსისტემას“ თანხების მიღების მიზნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს. საგულისხმოა, რომ 2011-2013 წლებში სულ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“ „ელექტროსისტემისგან“ მიღებული აქვს 4,853,200 ლარი, თუმცა ფაქტია, რომ დაცვის სამსახურმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. თუმცა, „ელექტროსისტემის“ ხელმძღვანელობის მხრიდან თანხების ამოღების კუთხით ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

4.2 აღურიცხავი ელექტრო მოწყობილობები

„ელექტროსისტემის“ საბალანსო მონაცემებში გამოვლინდა ელექტრომოწყობილობების აღურიცხაობის შემთხვევები:

| ქვესადგური | მირითადი საშუალებები | მარკა და მოდელი | ბუღალტრ. რაოდენ. | ფაქტობ. მდგომ. | სხვაობა |
|---------------|---|-----------------|------------------|----------------|--------------|
| ქუთაისი 220 | საპარტო ამომრთველები | - | 1 კომპლექტი | 12 კომპ. | 11 კომპლექტი |
| ზესტაფონი 500 | 220 კვ. საპარტო ამომრთველი | - | 2 ცალი | 6 ცალი | 4 ცალი |
| გლდანი 220 | საპარტო ამომრთველის კამერა | - | 14 ცალი | 18 ცალი | 4 ცალი |
| გლდანი 220 | 220 კვ დენის ტრანსფორმატორი | - | - | 3 ცალი | 3 ცალი |
| გარდაბანი 500 | 220 კვ. დენის ტრანსფორმატორი | ТФНД-220 | 3 ცალი | 15 ცალი | 12 ცალი |
| ნავთლუღი 220 | ძაბვის ტრანსფორმატორი | НКФ-220 | - | 2 ელემენტი | 2 ელემენტი |
| ნავთლუღი 220 | 110 კვ დენის ტრანსფორმატორი | - | - | 4 ცალი | 4 ცალი |
| ნავთლუღი 220 | 220 კვ დენის ტრანსფორმატორები | - | - | 3 ფაზა | 3 ფაზა |
| მარნეული 220 | II სისტემის 220 კვ. ძაბვის ტრანსფორმატორი | НКФ-220 | 1 ცალი | 1 კომპლექტი | 2 ცალი |

4.3 დანაკლისები

დანართ N3-ში მოცემულია ქვესადგურების ადგილზე დათვალიერებისას, გამოვლენილი ისეთი დანაკლისები, რომელიც ბუღალტრულად ასახულია კომპანიის ბალანსზე სრული კომპლექტაციებით, თუმცა რეალურად ფიქსირდება მაკომპლექტებელი ნაწილების დანაკლისები.

4.4 არასრული კომპლექტაციები

აუდიტის პროცესში განხორციელდა დემონტირებული და ქვესადგურებში დასაწყობებული ელექტროძალური მოწყობილობის ფაქტობრივი მდგომარეობის საქართვის სტანდარტით დადგენილ კომპლექტაციებთან შედარება, რის შედეგადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ N4-ში. დანართში ასახული მონაცემებით დასტურდება, რომ მითითებულ ქვესადგურებში შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მხრიდან არ ხორციელდებოდა ქმედითი ღონისძიებები ელექტროძალური მოწყობილობების დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად, რამაც განაპირობა მოწყობილობების ცალკეული მაკომპლექტებელი ნაწილების დაკარგვა და თავის მხრივ მათი რეალიზაციიდან მისაღები ფინანსური ნაკადების შემცირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ელექტროძალური მოწყობილობების მიმართ დადგენილი არასრული კომპლექტაციის ფაქტები არ ყოფილა ასახული „ელექტროსისტემის“, როგორც საინვენტარიზაციო უწყისის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის მონაცემებში, რის გამოც აუდიტის ჯგუფის მიერ „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ექსპლუატაციის სამსახურის მეშვეობით ზემოთ აღნიშნული ქვესადგურებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ელექტროძალური მოწყობილობების არასრული კომპლექტაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუმცა, ქვესადგურებიდან მოწყობებული ინფორმაციებისა და დოკუმენტების საფუძველზე ვერ განხორციელდა მითითებული დანაკლისების რეალური მიზეზების დადგენა და წლების წინ მომხდარი ოპერაციების ზუსტი იდენტიფიცირება.

4.5 საბაზრო ღირებულებასთან შედარებით წაკლები ღირებულებით შეფასებული მოწყობილობები

2011-2013 წლებში „ელექტროსისტემაში“ დემონტირებული ელექტროძალური მოწყობილობების საბაზრო, სალიკვიდაციო და სამართლიანი ღირებულებების დადგენის მიზნით „ფინანსაუდიტს“ (2011-2013 წელს) ჩატარებული აქვს აუდიტორული მომსახურებები, რის შედეგადაც გამოკვეთილია რიგი ურთიერთგამომრიცხავი და შეუსაბამობების ფაქტები, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონია აღნიშნული მოწყობილობების გასაყიდი სააუქციონო ფასების ფორმირებაზე. კერძოდ,

ქ/ს „ფერო 220“-ში ს/ნ 041075-ზე, (ძველი ს/ნ 33017) როგორც ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამით, ასევე საინვენტარიზაციო უწყისის მონაცემებით აღრიცხულია 1 ცალი 10 კვ. კონდესატორი, რომელიც მოიცავს 80 ცალ რკინის კარადას და 186 ცალ (kc2-10.5-75-2y3 73.0 mfk მარკისა და მოდელის) კონდესატორს. თითოეული კარადის სიმაღლეა 1,76 მ, სიგანე 0,7 მ, სიგრძე-0,8, ხოლო თითოეული კონდესატორის წონა შედგენს 54 კგ-ს (სულ 186 ცალი - 10.044 ტონა). აღსანიშნავია, რომ ეს წონა არ მოიცავს თვითონ კარადების წონას. ასეთი მაშტაბური საუტილიზაციო მასალების შემცველობის პირობებში მითითებული მოწყობილობა 2013 წელს „ფინანსაუდიტს“ შეფასებული აქვს საბაზრო ღირებულებით 10 ლარი და 2014 წელს აუქციონზე გატანილი და რეალიზებულია ამ ღირებულებით.

ანალოგიურად, ქ/ს „ზესტაფონ 500“-ში ს/ნ 040991 აღრიცხული HКФ-500 მარკისა და მოდელის 9 ცალი 500 კვ დემონტირებული მაბვის ტრანსფორმატორები, რომლებიც საქართველოს სტანდარტის მიხედვით შედგება 36 ელემენტისაგან, ამასთან ერთი ცალი შედგება 4 ელემენტისაგან და მისი წონა შეადგენს 4.8 ტონას „ ფინანსაუდიტის“ მიერ შეფასებულია საბაზრო ღირებულებით სულ 900 ლარად და 2014 წელს ამ ღირებულებითაა გატანილი აუქციონზე, ანუ ერთი ცალი 4 ელემენტიანი 500 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი შეფასებულია სულ 100 ლარად(ერთი ელემენტი 25ლარად), რაც არაადეკვატურ და რეალობასთან შეუსაბამო ფასს წარმოადგენს.

მსგავსი ტიპის შეუსაბამობები და დარღვევები გამოვლენილია სხვა ქვესადგურებშიც, სხვადასხვა ელექტროძალური მოწყობილობების შეფასებების შემთხვევებში, რაც დეტალურად არის აღწერილი ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| ქვესადგური | ძირითადი საშუალებები | მარკა და მოდელი | რ- ბა | ერთეული | აუდიტის მასალებით მოპოვებული წონები (ტონა) | ერთსტ & იანგის მიერ განსაზღვრული საუტილიზაციო მეტალი (ტონა) | | ერთსტ & იანგის მიერ განსაზღვრული ჯამური სალიკვიდაციო ღირ-ბა | | ფინანსაუდიტის მიერ განსაზღვრული განსაზღვრული საბაზრო ღირ-ბა | |
|---------------|-----------------------------|--------------------|----------|---------|---|--|----------------------------|--|--------|---|--------|
| | | | | | | შავი | თეთრი მეტალი – რკინა | მეტალი – ალუმინი | 2009 | 2012 | 2013 |
| ფერო 220 | 10კვ კონდესატორები | | - | 1 | ცალი | 10.044 | 3.200 | - | 512.00 | 300 | 10 |
| ზესტაფონი 500 | 500კვ ძაბვის ტრანსფორმატორი | HКФ-500 | 9 | ცალი | 43.200 | 0.125 | 0.015 | 30.50 | 1 | 900 | |
| ზესტაფონი 500 | 220კვ დენის ტრანსფორმატორი | | - | 24 | ცალი | - | 0.100 | 0.050 | 51.00 | 2,490 | 14,400 |
| ზესტაფონი 500 | ძაბვის ტრ-რი 220კვ | | - | 7 | ცალი | 8.400 | - | - | - | 1,990 | 700 |
| ზესტაფონი 500 | 500კვ სახაზო რეაქტორი | РОД-60 | 1 | ცალი | 51.000 | 10.000 | - | 1,600.00 | 210 | 13,000 | |

| | | | | | | | | | | |
|------------------|--|---|----|-----------|--------|----------|-------|-----------|-------|---------|
| ზესტაფონი 500 | 500კვ სახაზო რეაქტორი | РОД-60 | 1 | ცალი | 51.000 | 10.000 | - | 1,600.00 | 210 | 13,000 |
| ზესტაფონი 500 | 220 კვ. საპარამეტრო ამომრთველი | - | 2 | ცალი | | 2.500 | 0.030 | 421.00 | 1,540 | 400 |
| ბათუმი 220 | 110კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 2.500 | 4.500 | 3,550 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 35კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 2.500 | 4.500 | 1,183 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 35კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.830 | 1.500 | 1,183 | 30 | 700 |
| ბათუმი 220 | 35კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.830 | 1.500 | 1,183 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 10კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.830 | 1.500 | 395 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 10კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.280 | 0.500 | 395 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 10კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.280 | 0.500 | 395 | 50 | 700 |
| ბათუმი 220 | 110კვ კონდენსატორის ბატარეა | БК-105-240У1 | 1 | კომპლექტი | 7.172 | 0.280 | 0.500 | 3,550 | 150 | 700 |
| ბათუმი 220 | 10კვ სინქრონული კომპენსატორი | KСВБ 50-11у1 компенсатор синхронный | 1 | ცალი | - | - | - | - | 1 | 300,000 |
| გარდაბანი 220 | 110კვ ორგრაგნილა ტრანსფორმატორი | TMH - 6300/110 | 1 | ცალი | - | 25.000 | 3.000 | 6,100.00 | 8,860 | 8,000 |
| ქუთაისი 220 | 220კვ დემონტირებული დენის ტრანსფორმატორები | - | 7 | ცალი | 14.000 | 1400.000 | - | 224,000.0 | 1,900 | 400 |
| გურჯაანი 110 | 10კვ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა | - | 10 | ცალი | - | - | - | - | 840 | 70 |
| ლისი 220 | ჰაერის კომპრესორი | ВЩ-3/100 | 1 | კომპლექტი | - | 0.060 | - | 9.60 | 660 | 350 |
| ნავთლუდი 220 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "ა" | НКФ-110 | 1 | ცალი | - | 0.350 | 0.020 | 70.00 | 420 | 100 |
| ნავთლუდი 220 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "ბ" | НКФ-110 | 1 | ცალი | - | 0.350 | 0.020 | 70.00 | 420 | 100 |
| ნავთლუდი 220 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "გ" | НКФ-110 | 1 | ცალი | - | 0.350 | 0.020 | 70.00 | 420 | 100 |
| ნავთლუდი 220 | ძაბვის ტრ-რი 500კვ | НКФ-500 | 4 | ელემენტი | 5.250 | 5.000 | 0.250 | 975.00 | 900 | 400 |
| გლდანი 220 | საპარამეტრო ამომრთველის კარადა | BBH-220 | 14 | ცალი | 4.000 | 33.000 | 0.150 | 5,385.00 | 6,360 | 420 |

| | | | | | | | | | | |
|------------|--|---------|----|-----------|--------|--------|-------|----------|-------|-------|
| გლდანი 220 | საპარმო ამომრთველი | BBB-220 | 3 | ცალი | 34.500 | 33.000 | 1.500 | 6,330.00 | 4,910 | 150 |
| გლდანი 220 | 220 კვ. დემონტირებული საპარმო ამომრთველი | BBH-220 | 5 | ცალი | 11.500 | 11.000 | 0.500 | 2,110.00 | 4,910 | 2,500 |
| გლდანი 220 | 110 კვ. დემონტირებული საპარმო ამომრთველი | BBH-110 | 3 | ცალი | 6.220 | 6.100 | 0.120 | 1,060.00 | 2,590 | 1,500 |
| გლდანი 220 | დემონტირებული ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1 | ცალი | 1.410 | 1.350 | 0.060 | 258.00 | 520 | 70 |
| გლდანი 220 | 35კვ ძაბვის | | | | | | | | | |
| გლდანი 220 | ტრანსფორმატორი IVLT 35 კვ -ის II სექციაზე | - | 1 | ცალი | - | - | - | - | 330 | 10 |
| ქსანი 500 | II სისტემის მცლელები 220კვ | PBC-220 | 2 | ცალი | - | 0.060 | - | 9.60 | 520 | 12 |
| ქსანი 500 | ხიდური ამწე-კრანი | - | 1 | ცალი | 15.000 | - | - | - | 10 | 4,500 |
| მენჯი 220 | მეორე სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორი 220კვ. | HKF-220 | 1 | კომპლექტი | - | 2.500 | 0.030 | 421.00 | 740 | 1,800 |
| მენჯი 220 | 10 კვ. დემონტირებული უჯრედების კარადები | K-38 | 6 | ცალი | 10.100 | 10.000 | 0.100 | 1,670.00 | 1 | 30 |
| გორი 220 | 10 კვ. დემონტირებული უჯრედების კარადები | K-37 | 24 | ცალი | 7.536 | 2.000 | - | 320.00 | 740 | 480 |
| ხაშური 220 | 10 კვ დახურული გამანაწილებელი | K-3 | 9 | უჯრედი | 3.000 | 3.000 | - | 480.00 | 3,520 | 150 |
| | მოწყობილობა | | | | | | | | | |

4.6 აუქციონები

„ელექტროსისტემის“ დემონტირებული მოწყობილობების შეფასებები როგორც 2011, ისე 2013 წლებში „ფინანსაუდიტის“ მიერ განხორციელებულია გარკვეული შეუსაბამობებითა და უზუსტობებით, კერძოდ, 2011 წელს შეფასებული მირითადი აქტივების საბაზრო ღირებულებები ერთსა და იგივე საინვენტარო ნომერზე 381 შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდება 2013 წელს იგივე საინვენტარო ნომერზე რიცხული მოწყობილობების საბაზრო ღირებულებებისაგან და მათი ღირებულება 2011 წლის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით შემცირებულია 1,982,224 ლარით. კერძოდ, ქ/ს „ნავთლუღი-220“-ში ს/ნ 68881-ზე რიცხული 97 ერთეული სარელეო დაცვის პანელების ჯამური საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 1,164,000 ლარად (თითოეული 12,040 ლარი), ხოლო მისი ჯამური ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება - 242,500 ლარად.

„ფინანსაუდიტის“ მიერ 2013 წელს იმავე საინვენტარო ნომერზე აღრიცხული სარელეო დაცვის პანელები შეფასდა მხოლოდ 1,365 ლარად, რაც 855 ჯერ ნაკლებია 2011 წელს განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით. „ფინანსაუდიტმა“ წერილით¹⁰ დაადასტურა, რომ 2011 წლის დასკვნაში მოწყობილობების შეფასებაში დაშვებული იყო უზუსტობა. აღნიშნული ელექტროძალური მოწყობილობის საბაზრო ღირებულების 1,162,635 ლარით ზედმეტად შეფასების გამო, „ელექტროსისტემის“ მიერ პირველ ჯერზე გამოცხადებულ აუქციონზე (ორი ლოტი) დემონტირებული ძირითადი საშუალებების სააუქციონო ღირებულება შეცდომით იყო გაზრდილი მითითებული თანხით და შესაბამისად გაზრდილი თანხის ხვედრითმა წილმა მთლიან სააუქციონო ღირებულებაში (7,355,967 ლარი) 15,8% შეადგინა.

თავდაპირველად აუქციონი გამოცხადდა 7,260,000 ლარზე, მათ შორის პირველი ლოტი - 4,800,000 ლარი, და მეორე ლოტი - 2,460,000 ლარი. აღნიშნული აუქციონი 4 ჯერ ჩაიშალა, რადგან არც ერთმა პრეტენდენტმა მონაწილეობა არ მიიღო. მორიგი აუქციონი გამოცხადდა 25%-იანი ფასდაკლებით, რომელიც ასევე არ შედგა. შემდგომი აუქციონი გამოცხადდა 50%-იანი ფასდაკლებით. #1 ლოტის ნაწილში ღირებულებით 2,424,000 ლარი, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯორჯიან ინვესტ გრუპი“, რომელთანაც 2012 წლის 02 ივლისს გაფორმდა N60-7-112-404 ნასყიდობის ხელშეკრულება სხვადასხვა მოდიფიკაციის მხოლოდ ზეთიანი და საპარტნერო ამომრთველების გასხვისებაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სახელშეკრულებო ღირებულებამ საბოლოოდ შეადგინა 2,221,626 ლარი. ამასთან, #2 ლოტის ნაწილში აუქციონი კვლავ არ შემდგარად გამოცხადდა.

4.7 აქტივების შეფასება

- 2011 წლის 18 ივლისს „ელექტროსისტემასა“ და შპს „ჯეი პი ეი ფინანსაუდიტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ბალანსზე რიცხული დემონტირებული მოწყობილობების აუდიტორული შეფასების მომსახურების შესყიდვაზე. შესყიდვა განხორციელდა ფასთა გამოკითხვის საშუალებით და სახელმეწირულებო ღირებულებამ შეადგინა 12,000 ლარი. „ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს სხდომის ოქმით¹¹, საბჭომ დაავალა ტექნიკურ სამსახურს, რომ მოეძიებინა ინფორმაცია რეგიონალურ ქსელებში აღწერილი დემონტირებული დანადგარების შესახებ. მმართველთა საბჭოს წარედგინა მოხსენებითი ბარათი რეგიონალური ქსელებიდან დემონტირებული ტექნიკური დანადგარების სრული ჩამონათვალით 33 გვერდზე, რომელიც იდენტურია შპს „ჯეი პი ეი ფინანსაუდიტთან“ ხელშეკრულების დანართში მოცემული ჩამონათვალის. თუმცა, ორივე ზემოთ მითითებული ჩამონათვალი

¹⁰ 2014 წლის 29 ოქტომბრის #ფა-061 წერილი

¹¹ 2011 წლის 17 ოქტომბრის #6 ოქმი

განსხვავებულია ფაქტობრივი მდგომარეობიდან და იგი არ ედრება იდენტურ საინვენტარო ნომრებზე კომპანიის ბუღალტრულ პროგრამაში რიცხული მოწყობილობების მონაცემებს.

"ფინანსურიდიტმა" „ელექტროსისტემას“ წარუდგინა 2011 წლის 5 სექტემბრით დათარიღებული დემონტირებული მოწყობილობების ინვენტარიზაციის რესტრი, სადაც შეფასებულია 674 დემონტირებული მოწყობილობა, მათ შორის აუდიტორული კომპანიის მიერ შეფასებულია 48 ისეთი ელექტრომოწყობილობა, რომელთა შეფასება ხელშეკრულებით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

დანართი N1-ში მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ისეთი აქტივები, რომელთა შეფასებაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო და არ შეფასებულა და ასევე შეფასებული მოწყობილობები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შეფასებული მოწყობილობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით. იგი არ ედრება იდენტურ საინვენტარო ნომრებზე კომპანიის ბუღალტრულ პროგრამაში რიცხული მოწყობილობების მარკა-მოდელს, რაოდენობას და ძაბვის დატვირთვის მაჩვენებლებს. აუდიტორული კომპანიის მიერ შეფასებულია ფაქტობრივად არარსებული მოწყობილობები. 64 შემთხვევაში სხვადასხვა ქვესადგურებში, შეფასებულია ბუღალტერიაში აღრიცხული მოწყობილობებისგან განსხვავებული მარკის და მოდელის მოწყობილობები, რომელთა შეუსაბამობა ძალზედ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ ზეთის მოცულობის, ფერადი ლითონისა და ჯართის შემცველობის კუთხითაც. აღნიშნული განსხვავებები დეტალურად წარმოდგენილია **დანართ N2-ში**.

5. შესყიდვები

2011-2013 წლებში „ელექტროსისტემა“ შესყიდვების განხორციელებისას ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით¹² დამტკიცებული „ელექტროსისტემის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესით, ასევე 2012 წლის 20 სექტემბრიდან 2013 წლის 22 მარტამდე პერიოდში რეაბილიტაციის მმართველის ბრძანებით¹³ დამტკიცებული „შესყიდვების წესით“.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹⁴ დამტკიცებული „შესყიდვების სპეციალური წესით“¹⁵ გათვალისწინებული იყო წერილობითი ხელშეკრულების გარეშე შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთეული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატებოდა 5,000 ლარს. ასევე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უფლება ჰქონდა შეეძინა ნებისმიერი სახის საქონელი ან მომსახურება წერილობითი ხელშეკრულების გარეშე „შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით“. ნებისმიერი „სპეციალური წესი“ უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის ფუძემდებლურ მოთხოვნებს. მთავრობის მიერ დადგენილი „სპეციალური წესები“ არ შეიცავს ერთგვაროვნების ცნებას, რაც საბოლოო ჯამში აძლევს უფლებას შემსყიდველს წლის განმავლობაში განახორციელოს მასშტაბური შესყიდვები მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილია „სპეციალური წესის“ სრულყოფა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ:

¹² 2010 წლის 27 იანვრის #20, 2012 წლის 24 იანვრის #28 და 2013 წლის 7 მარტის #53 დადგენილებები

¹³ 2012 წლის 20 სექტემბრის #345 ბრძანება

¹⁴ 2013 წლის 7 მარტის #53 დადგენილება

¹⁵ 2010 წლის 27 იანვრის #20 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი

| 2011 წელი | გამარტ. შესყიდვა | ფასთა გამოკითხვა | გამარტ. ელ. ტენდერი | ელ. ტენდერი | კონსოლიდ. ტენდერი | სულ |
|------------------|-----------------------------|-----------------------------|------------------------------------|------------------------|------------------------------|-------------------|
| საქონელი | 1,080,766 | 3,709,359 | 612,372 | 2,177,275 | - | 7,579,772 |
| მომსახურება | 2,060,357 | 396,211 | 286,702 | 280,450 | - | 3,023,720 |
| სამუშაო | 69,695 | - | 76,342 | 5,341,210 | - | 5,487,247 |
| სულ | 3,210,818 | 4,105,570 | 975,416 | 7,798,935 | - | 16,090,739 |

| 2012 წელი | გამარტ. შესყიდვა | ფასთა გამოკითხვა | გამარტ. ელ. ტენდერი | ელ. ტენდერი | კონსოლიდ. ტენდერი | სულ |
|------------------|-----------------------------|-----------------------------|------------------------------------|------------------------|------------------------------|-------------------|
| საქონელი | 1,720,789 | 6,235,285 | 704,038 | 1,542,869 | 1,024,680 | 11,227,661 |
| მომსახურება | 4,097,677 | 1,868,017 | 155,142 | 296,685 | - | 6,417,521 |
| სამუშაო | 8,212,180 | - | 258,291 | 500,534 | - | 8,971,005 |
| სულ | 14,030,646 | 8,103,302 | 1,117,471 | 2,340,088 | 1,024,680 | 26,616,187 |

| 2013 წელი | გამარტ. შესყიდვა | ფასთა გამოკითხვა | გამარტ. ელ. ტენდერი | ელ. ტენდერი | კონსოლიდ. ტენდერი | სულ |
|------------------|-----------------------------|-----------------------------|------------------------------------|------------------------|------------------------------|-------------------|
| საქონელი | 2,142,491 | 19,742,004 | 920,901 | 149,009 | 1,729,572 | 24,683,977 |
| მომსახურება | 3,026,204 | 2,397,321 | 121,410 | 276,810 | 100,317 | 5,922,062 |
| სამუშაო | 115,884 | 260,039 | 84,948 | 1,015,648 | - | 1,476,519 |
| სულ | 5,284,579 | 22,399,364 | 1,127,259 | 1,441,467 | 1,829,889 | 32,082,558 |

- 2011-2013 წლებში განხორციელებული შესყიდვების ანალიზით გამოვლინდა ხელშეკრულებების შესყიდვების გეგმებთან შეუსაბამობის ცალკეული შემთხვევები. კომპანიის განმარტების მიხედვით, აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია თანამშრომლის შეცდომით, ასევე მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელებით.

- ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობების დროულად შეუსრულებლობაზე საჯარიმო სანქციების გამოუყენებლობას, კერძოდ: ფასთა გამოკითხვის საშუალებით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება KPMG GIS Limited-თან გაფორმდა 95,000 აშშ დოლარზე დღგ-ს გარეშე. ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით ღირებულება გაიზარდა 104,000 აშშ დოლარამდე დღგ-ს გარეშე და მომსახურების მოწოდების საბოლოო ვადაც გაგრძელდა 2013 წლის 30 ნოემბრამდე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული ცვლილებისა, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2014 წლის 31 მარტს, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდა 2014 წლის 7 მაისს. თუმცა ხელშეკრულებაში არანაირი ცვლილება არ შესულა, მომსახურების ჩაბარების საბოლოო ვადა არ გადაწეულა და არც საჯარიმო სანქციები მიმწოდებლის მიმართ არ გამოყენებულა.

- „ელექტროსისტემის“ მიერ 2011-2013 წლებში გამოცხადებულია სულ 589 ტენდერი. არ შემდგარი და ჩაშლილი ტენდერების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

| წელი | სულ გამოცხადებული | არ შედგა | შეწყდა | უარყოფითი შედეგით | სულ ჩაშლილი | %-ული წილი |
|-------------|--------------------------|-----------------|---------------|------------------------------|------------------------|-----------------------|
| 2011 | 226 | 86 | 7 | 5 | 98 | 43% |
| 2012 | 158 | 50 | 4 | 0 | 54 | 34% |
| 2013 | 205 | 44 | 4 | 5 | 53 | 26% |

- ხელშეკრულებების შესწავლით გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც 200,000 ლარზე მეტი ღირებულების ხელშეკრულების გაფორმებისას სავალდებულოდ წარმოსადგენი ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან არ არის წარმოდგენილი, ან მისი ვადა არ შეესაბამება ხელშეკრულების მოქმედების ვადას. 2011 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია შპს „ბალდათრემმშენთან“, სახელშეკრულებო

ღირებულება შეადგენს 459,122 ლარს დღგ-ს გარეშე. კანონის მოთხოვნის შესაბამისად მომწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, თუმცა ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მიუხედავად არ მომხდარა წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება.

აუდიტორულ კომპანია „Grant Thornton“-თან აუდიტორული მომსახურების შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 55,500 აშშ დოლარს. ხელშეკრულების შესაბამისად შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას კონტრაქტის პირობის შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენაზე, კონტრაქტის ღირებულების 4% ოდენობით, რაც არ იქნა წარმოდგენილი.

ასევე საკონსულტაციო მომსახურებაზე „ელექტროსისტემის“ მიერ შპს „ერნსტ ენდ იანგთან“ გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 24,500 ევროს, ავანსის სახით გადახდილია 11,564 ევრო, მაშინ როცა საბანკო გარანტია წარმოდგენილია 9,800 ევროზე.

2012 წლის 5 სექტემბერს „ელექტროსისტემასა“ და შპს „აშტომ კონსალტინგ ჯორჯიას“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება 4 ცალი სანათი გენერატორის 6 დღით დაქირავების მომსახურების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6,490 ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული თანხა გადაირიცხა ავანსის სახით ეტაპობრივად 5, 6 და 13 სექტემბერს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველმა უნდა მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ან დაზღვევა წინასწარ გადახდილი თანხის სრული ოდენობით ხოლო „ელექტროსისტემას“ აღნიშნული არ მოუთხოვია. ამასთან ერთად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად მომსახურება გაწეულია 14 სექტემბერს, მაგრამ ვერ იქნა წარმოდგენილი გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი.

გამარტივებული შესყიდვები

- გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით სახელმწიფო „ელექტროსისტემაში“ ი/მ თამაზ ნაზრიშვილთან 2012 წლის 15 თებერვალს, 2012 წლის 6 მარტს და 2012 წლის 10 აგვისტოს გაფორმებულია ხელშეკრულებები გამარტივებული წესით შესყიდვაზე ჯამში 80,789 ლარზე, თუმცა შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

- „35 კვ. ეგბ „ოქტომბრის“ N6 ანძის და 35 კვ. ეგბ „საგავარდოს“ N35 შუალედური ანძის გაბიონით გამაგრების სამუშაოების შესასყიდად ანძებზე გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ მიმოწერა გრძელდებოდა შესაბამისად 68 და 88 დღე და ხელშეკრულებები გაფორმდა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც საგრძნობლად აღემატება გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის ჩასატარებლად საჭირო ვადებს, თუმცა შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული წესით.

- 220 კვ-იანი ორჯაჭვა ელექტრო გადამცემი ხაზი „კოდა-2 ლომთაგორას“ N15 ანძის გაბიონით გამაგრების სამუშაოები „ელექტროსისტემას“ შესყიდვის გეგმით ჰქონდა გათვალისწინებული, თუმცა მისი შესყიდვაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ნაცვლად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის წესით.

ბაზრის კვლევა შესყიდვამდე

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას „ელექტროსისტემაში“ არ ხდება ბაზრის წინასწარი კვლევა და შესყიდვის ობიექტის რეალური ღირებულების დადგენა¹⁶. შედეგად, ხშირ შემთხვევაში ტენდერების ჩასატარებლად განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება საგრძნობლად აღემატება ტენდერის შედეგად მიმწოდებელთან გაფორმებულ სახელშეკრულებო ღირებულებას. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ცდომილება 40-70%-ის ფარგლებშია.

„ელექტროსისტემას“ და შპს „სავარძელს“ შორის საოფისე ავეჯის შესყიდვაზე 2012 წლის 19 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შესყიდულია 3-ადგილიანი ნაჭრის სკამები, ერთეულის ღირებულებით 1,100 ლარი (24 ერთეული) და ნაჭრის სამუშაო სავარძელი ბადიანი ზურგით და

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 9 პ. 6 ქვ. „ე“

სინქრონიზებული დახრის მექანიზმით, სიმაღლეში პწევმატური რეგულირებით, მეტალის 5 გორგოლაჭიზე ერთეულის ღირებულებით 590 ლარი (4 ერთეული). საქონლის მიწოდება მოხდა 2012 წლის დეკემბერში.

ანალოგიური სკამების და სავარძლების საბაზრო ფასთან შედარების მიზნით, იმავე პერიოდში, შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე მოძიებულ იქნა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „სავარძელისგან“ შეძენილი ანალოგიური საქონელი, რომელშიც გადახდილი აქვთ 3-ადგილიანი სკამებზე - 360 და ნაჭრის სამუშაო სავარძელში 388 ლარი ანუ „ელექტროსისტემა“ ანალოგიურ საქონლები გადაიხადა 18,544 ლარით მეტი თანხა.

გათვაღლისწინებულზე მეტი რაოდენობით შესყიდული

„ელექტროსისტემასა“ და შპს „ნიუ მეტალ ჯორჯიას“ შორის 2012 წლის 16 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა ჩატარებულიყო გზის საფარისა და ელ. სადგურის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელზეც შედგენილი პროექტის სამუშაოთა მოცულობების კრებსითი უწყისის მიხედვით უნდა გახარჯულიყო 2,599 მ³ ბალასტი.

ფაქტობრივად, „ელექტროსისტემის“ მიერ შესყიდულია 7,029 მ³ ქვიშა-ხრების ნარევი (ბალასტი). გზის საფარის მოწყობაზე გახარჯულია 5,716 მ³, ხოლო ტერიტორიის კეთილმოწყობაზე - 1,008 მ³, სულ 6,724 მ³ ბალასტი, შესყიდულზე 305 მ³ ბალასტით ნაკლები. ვერ დგინდება თუ სად გაიხარჯა დარჩენილი 305 მ³ ბალასტი.

სულ, საგზაო საფარზე და ელ. სადგურის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე პროექტით გათვაღლისწინებულთან შედარებით ზედმეტად გახარჯულია 4,430 მ³ ბალასტი, რისი ღირებულებაც, ყველა თანმდევი ხარჯების გაუთვალისწინებლად შეადგენს 13,290 ლარს.

ნებართვის გარეშე მშენებლობები

ზოგიერთ შემთხვევაში, „ელექტროსისტემას“ მშენებლობები ნაწარმოები აქვს მშენებლობის ნებართვის გარეშე¹⁷. „საქართველო აზერბაიჯანის 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის“ მშენებლობისა და „სენაკი 1-2 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქციის“ სამუშაოებზე არ არის შესაბამისი ნებართვები, რის გამოც „ელექტროსისტემა“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დაჯარიმდა შესაბამისად 10,000 და 8,200 ლარით.

შეუსრულებელ სამუშაოებზე გადახდილი თანხები

„ელექტროსისტემასა“ და სს „საქენერგორემონტს“ შორის 2007 წლის 20 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებაზე, ღირებულებით 3,347,514 ლარი. აღდგენითი სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 180 კალენდარულ დღეში, თუმცა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამუშაოების დასრულების ვადები დამატებითი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა 13-ჯერ.

გამომდინარე იქიდან, რომ სს „საქენერგორემონტი“ ვერ ახერხებდა აღდგენითი სამუშაოების დასრულებას („ენერგეტიკული რეჟიმის მდგომარეობის გამო“), სახელმწიფო „ელექტროსისტემასა“ და სს „საქენერგორემონტს“, შორის 2013 წლის 28 მაისს გაფორმდა ურთიერთშეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა სს „საქენერგორემონტს“ ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული თანხებიდან ეგბ „კოლხიდა 3“-ზე შეუსრულებელი დარჩა 466,361 ლარის სამუშაო.

„კოლხიდა 3“-ზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით სს „საქენერგორემონტის“ მიერ გაწეული ხარჯები შეფასებულ იქნა 320,891 ლარად დღგ-ს ჩათვლით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „ელექტროსისტემა“ და სს „საქენერგორემონტის“ შეთანხმდნენ ავანსად მიღებული 466,361 ლარიდან გაქვითულიყო „საქენერგორემონტის“ მიერ გაწეული 320,891 ლარის ხარჯი, ხოლო გაქვითულის შემდეგ დარჩენილი თანხა - 145,470 ლარი სს „საქენერგორემონტს“

¹⁷ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგნილების 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი

„ელექტროსისტემისთვის“ უნდა დაებრუნებინა 2013 წლის 29 მაისამდე. აღნიშნული თანხა, თანახმად საბანკო გარანტიისა N681026-2073756, „ელექტროსისტემის“ მიერ „თიბისი ბანკიდან“ გამოთხოვილია 2013 წლის 30 ივნისს N07/04-06/1764 წერილით. 145,470 ლარი ელექტროსისტემას ჩაერიცხა 2013 წლის 3 ივნისს.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ მასალების ფაქტიური ღირებულების ცხრილში 1 ტონა მეხდამცავი გვარლის C-70 ღირებულება განსაზღვრულია 2,710 აშშ დოლარით ანუ 4,320 ლარით (კურსი 1.5941) დღგ-ს გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ „ელექტროსისტემას“ სს „საქაბელი“-დან 1 ტ. გვარლი C-70 2013 წლის 29 მარტს (ექსპერტიზის ბიუროს შეფასებამდე 2 თვით ადრე) შეძენილი აქვს 3,900 ლარად, რაც 420 ლარით ნაკლებია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ 1 ტონა C-70 მეხდამცავი გვარლის ღირებულებაზე და 21 ტონაზე განგარიშებით 8,820 ლარს შეადგენს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.04.2013 წლის N5001366313 დასკვნაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „საქმეში წარმოდგენილია სს „საქენერგორემონტის“ მიერ შედგენილი ცნობა, რომლის თანახმადაც მასალები აფხაზეთში ინახებოდა 2008 წლის მაისიდან, 58 თვის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში საქონლის შესანახად დაქირავებულ დარაჯებზე (4.5 საშტატო ერთეული. ერთეულზე 350 ლარი) ხელფასის სახით გადახდილია 91,350 ლარი¹⁸.

აღსანიშნავია, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელფასის დარიცხვის და გაცემის უწყისები და შეფასება გაკეთებულია „საქენერგორემონტის“ მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 5 აპრილის ცნობის საფუძველზე.

სხვა საკითხები

- 2012 წლის სექტემბერში „ელექტროსისტემამ“ დაასრულა „ადიგენი-ბეჭუმის მიმართულებით ორჯაჭვიანი 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 10,060,976 ლარი (დღგ-ს გარეშე), მათ შორის, ელექტროგადამცემი ხაზის ღირებულებამ - 6,149,594 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ოქტომბირდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით (15 თვე) ზემოაღნიშნულ ელექტროგადამცემ ხაზს გატარებული აქვს 1,442,698 კვტ. სთ ელექტროენერგია, რაც ელექტროგადამცემი ხაზის მხოლოდ 16 საათის გამტარუნარიანობას (90 კვ-ზე განგარიშებით) შეადგენს. ელექტროენერგიის გატარებიდან მიღებულმა ამონაგებმა სულ, 12,477 ლარი შეადგინა, ანუ ელექტროგადამცემი ხაზის ღირებულების მხოლოდ 0,2%.

„ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის გეგმის ცვლილება, რომლითაც დამტკიცებულია „ორჯაჭვიანის“ ნაცვლად „ერთჯაჭვიანი 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ადიგენი-ბეჭუმი“ და 110/35/10 კვ ქვესადგურის მშენებლობის პროექტი“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულია 2012 წლის 27 სექტემბერს, მშენებლობის დასრულების შემდეგ.

- ხშირ შემთხვევაში ჩატარებული ფარული სამუშაოების აქტები ხელმოუწერელია „ელექტროსისტემის“ მხრიდან. ასევე, ხელმოწერილია ისეთი ფარული სამუშაოების აქტები, სადაც არ არის მითითებული საძირკველში ღორღის ფენის დაგების შესახებ, რაც პროექტით აუცილებლობას წარმოადგენს.

რამდენიმე შემთხვევაში ფარული სამუშაოები შესრულებულია „ელექტროსისტემის“ წარმომადგენლების მეთვალყურეობის გარეშე და მათი ჩატარების რეალობა დაუდასტურებელია.

გამარტივებული წესით შესყიდვისას შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას, გათვალისწინებული არ არის შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულებები (მიმწოდებლების

¹⁸ 350*58*4.5

მიერ არ არის წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები), რაც შეუსაბამოა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებთან¹⁹.

ფაქტობრივი ღირებულებების გაუთვალისწინებლად, 2012 წლის ოქტომბრიდან ანაზღაურებულია 818,026 ლარის ოდენობით სამუშაოები:

| მიმწოდებელი | თანხა | მიმწოდებელი | თანხა |
|-----------------------------|---------|-----------------------------|----------------|
| სს "საქენერგორემონტი" | 288,090 | შპს "VTRV" | 9,235 |
| შპს "ფოლადკონსტრუქცია" | 229,401 | შპს "ჯეორათია" | 8,968 |
| შპს "ფოლადკონსტრუქცია" | 97,208 | ი/მ დიმიტრი მამალაძე | 6,000 |
| შპს "ჯეორათია" | 72,001 | შპს „აქვა ტექნიკალ სისტემს" | 4,644 |
| შპს "ჰიდრომშენი XXI" | 44,781 | შპს "ჯეორათია" | 3,558 |
| შპს "უნივერსალ ჯორჯია 2008" | 21,570 | შპს "ჯეორათია" | 1,809 |
| შპს "ხომერიკი და კომპანია" | 17,531 | შპს "ტექნოტერმი" | 1,394 |
| შპს "კომბიტეკი" | 11,837 | სულ | 818,027 |

6. ინვენტარიზაცია

რეგიონებში დემონტირებული ძირითადი სამუალებების ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა იმის გამო, რომ დემონტირებული ძირითადი სამუალებების იდენტიფიცირება კომისიის მიერ ვერ სრულდებოდა. ზეპირი შეთანხმებით, ზემოაღნიშნული დაევალა რეგიონის მენეჯებსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

როგორც აუდიტისთვის წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალებით დასტურდება, „ელექტროსისტემის“ ბალანსზე 2013 წლის ბოლოსთვის ირიცხებოდა 858 ერთეული ისეთი ძირითადი საშუალება რომელთა ნაწილის მოძიება საერთოდ ვერ შეძლო საინვენტარიზაციო კომისიამ, ნაწილი კი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება (163 ერთეული) და მათ აღსაწერად კომისიის წევრები საერთოდ არ იქნენ დაშვებულები. მოსაკვლევ ძირითად საშუალებათა სიაში ირიცხება 105 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, 10 ერთეული შენობა, 61 ერთეული ტრანსფორმატორი, მათ შორის 13 ერთეული ძალოვანი, 182 ერთეული მობილური ტელეფონი, 3 ერთეული მისაკვლელი გზა, 10 ერთეული ელექტროგადამცემი ხაზი, 6 ერთეული ქვესადგური და სხვა ძირითადი საშუალებები.

„ელექტროსისტემის“ იურიდიული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მოსაკვლევი 858 ერთეული ძირითადი საშუალებიდან იდენტიფიცირებულია (სხვა პირების ან ორგანიზაციების მფლობელობაში იმყოფება) მხოლოდ 163 ერთეული. მათ შორის, თბილისის რეგიონული ქსელის საკუთრება 5 ერთეული ადმინისტრაციული შენობა საერთო ფართით 1,050 მ², რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ კერძო პირები და პრივატიზებული საცხოვრებელი სახლი, ზუგდიდის სერვის ცენტრის ბალანსზე რიცხული ორი ახალი ტრანსფორმატორი ღირებულებით 152,678 და 48,845 ლარი, იმერეთის რეგიონული ცენტრის ბალანსზე რიცხული პრივატიზებული ურეკის დასასვენებელი, კახეთის რეგიონული ცენტრის ბალანსზე რიცხული პრივატიზებული ოფისი და 80 მ² საცხოვრებელი კოტეჯი გურჯაანში, სათაო ოფისის ბალანსზე რიცხული კივეთის დასასვენებელი სახლი N1 და სხვა.

¹⁹ „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანების მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

გენერალური ინსპექციის მიერ მოსაკვლევი 695 ერთეული არაიდენტიფიცირებული ძირითადი საშუალებიდან მოკვლეულია მხოლოდ 78 ერთეული, საიდანაც „ელექტროსისტემის“ ბუღალტერიის მიერ საინვენტარო კომისიის დასკვნის საფუძველზე იდენტიფიცირებულად მიჩნეულია და მოსაკვლევი ძირითადი საშუალებების სიიდან ამოღებულია მხოლოდ 45 ერთეული.

ამასთან, სახელმწიფო „ელექტროსისტემის“ გენერალური ინსპექციის წერილებით საფინანსო სამსახურისთვის გადაცემული აქვს ინფორმაცია მათ მიერ მოკვლეული სხვა ძირითადი საშუალებების შესახებ, თუმცა ეს ძირითადი საშუალებები, მიუხედავდ იმისა, რომ თითქმის ორი წელია გასული, დღემდე გადაუმოწმებელია საინვენტარიზაციო კომისიის მიერ და ისევ ირიცხება მოსაკვლევი ძირითადი საშუალებათა სიაში.

7. გარანტირებული სიმძლავრე

ქვეყანაში გარანტირებული სიმძლავრეების გამოყენების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“²⁰ და „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით²¹. გარანტირებული სიმძლავრის დონე და წყაროთა ნუსხა განისაზღვრება 2010 წლის 15 ივლისის N193 მთავრობის დადგენილებითა და მასში შესული შემდგომი ცვლილებებით, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის საფასურს (დღიურ წორმას) და წყაროს მიერ წარმოებული ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“²². „ბაზრის წესებით“²³ განსაზღვრულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად საჭირო სიმძლავრე, რომელიც უნდა მიაწოდონ აღიარებულმა გარანტირებული სიმძლავრის წყაროებმა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს დღიური ტარიფი:

| 1 დღის ტარიფი | 2011 | 2012 | 2013 | ცვლილება |
|----------------------|-------------|-------------|-------------|-----------------|
| აირტურბინა | 55,597 | 30,120 | 30,120 | - 45.8% |
| მე-3 ბლოკი | 20,016 | 20,214 | 20,210 | + 0.97% |
| მე-4 ბლოკი | 21,297 | 21,513 | 21,250 | + 0.22% |
| მე-9 ბლოკი | 59,811 | 59,472 | 58,919 | - 1.5% |

შემდგომ ცხრილში წარმოდგენილია სამი კალენდარული წლის განმავლობაში სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ გარანტირებული სიმძლავრის წყაროებზე დადასტურებული მზადყოფნის დღეებისთვის გადახდილი ჯამური თანხები²⁴.

| ანაზღაურება | 2011 | 2012 | 2013 |
|--------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| აირტურბინა | 22,306,800 | 17,457,458 | 10,270,920 |
| მე-3 ბლოკი | 5,990,898 | 5,097,330 | 7,175,482 |
| მე-4 ბლოკი | 5,380,931 | 7,713,489 | 6,529,379 |
| მე-9 ბლოკი | 18,344,161 | 17,723,865 | 17,778,005 |
| ჯამი | 52,022,790 | 47,992,142 | 41,753,789 |

²⁰ მუხლი 231.

²¹ 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანება, თავი VI.

²² 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილება, მუხლი 2.

²³ მე-17 მუხლის „ბუნებრივი პუნქტი“

²⁴ კომერციული ოპერატორი მზადყოფნის დღეების გაანგარიშებას ახორციელებს ყოველი წლის 1 სექტემბრიდან

- 2011 წლის ოქტომბრის თვეზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ შედგენილ პირველად და კორექტირებულ ინფორმაციაში მითითებული გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეები არ შეესაბამება რეალურად არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ვინაიდან გარანტირებული სიმძლავრის წყაროზე (შპს „ჯიფაურზე“) მზადყოფნის პერიოდად ჩათვლილია ზედმეტი ერთი დღე - 2011 წლის 22 ოქტომბერი, მაშინ როდესაც აირტურბინა განაცხადით იმყოფებოდა შეკეთებაში. შედეგად კომპანიას ზედმეტად აუნაზღაურდა აირტურბინისთვის დადგენილი დღიური ტარიფით განსაზღვრული თანხა - 74,356 ლარი.

2013 წელს ორ შემთხვევაში, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (თბილისესი) კუთვნილ მესამე და მეოთხე ენერგობლოკების ნოემბრის თვის მზადყოფნის განაცხადები მიღებულია 2 დღიანი დაგვიანებით - 18 ოქტომბერს. რაც არ შეესაბამება ნორმატიული აქტის მოთხოვნებს²⁵:

- აუდიტის პერიოდში სისტემის კომერციული ოპერატორისთვის გადასაცემი გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდებისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ყოველთვიური ინფორმაცია 20 შემთხვევაში არ არის გადაცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მიწოდების ვადებში, რაც არ შეესაბამება ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს,²⁶ კერძოდ, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 კალენდარული დღისა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია ესკოს წარუდგინოს დადასტურებული ინფორმაცია იმ წყაროების შესახებ, რომლებიც საანგარიშო პერიოდში იმყოფებოდნენ მზადყოფნაში და ფაქტობრივად გააჩნდათ გარანტირებული სიმძლავრე;

- 3 შემთხვევაში ყოველთვიური ანგარიშები შედგენილია არასწორად. კერძოდ, 2011 წლის ოქტომბრის თვეზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ 4 ნოემბრის პირველად და 16 ნოემბრის კორექტირებულ ინფორმაციაში არასწორად არის ასახული თბილისესის მე-3 ენერგობლოკის მიერ გაცემული ჯამური ელექტროენერგიის მოცულობა, ვინაიდან ანგარიშში ასახული მონაცემი 100,000 კვტს-ით ნაკლებია 1 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოცულობაზე;

- 2013 წლის იანვრის თვის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდებისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ შედგენილ და ესკოსთვის გაგზავნილ ინფორმაციაში დაფიქსირებული არ არის შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ კუთვნილ მე-3 და მე-4 ენერგობლოკების მონაცემებში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობები. კერძოდ: ჯამური მე-3 ენერგობლოკის გამომუშავება აღრიცხულია 3,361,340 კვტ/სთ ელექტროენერგიის ნაკლებობით და მე-4 ენერგობლოკის გამომუშავება აღრიცხულია 3,206,923 კვტ/სთ ნაკლებობით. სულ ანგარიშებში არ იქნა ასახული 6,568,263 კვტ/სთ სალტეზე გაცემული ელექტროენერგია (36,520 ლარი). დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდებისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ შედგენილი და სისტემის კომერციული ოპერატორისათვის გაგზავნილი ინფორმაცია ატარებს ფორმალურ ხასიათს.

²⁵ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77 „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 2.

²⁶ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77 „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 20, პუნქტი 9.

8. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი

„ელექტროსისტემა“ არეგულირებს ქვეყანაში ელექტროენერგიის ექსპორტისა და იმპორტის საკითხებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების მიხედვით²⁷.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია იმპორტისა და ექსპორტის საპროგნოზო და ფაქტობრივი მონაცემები ათას კილოვატ სათებში და მათ შორის გამოვლენილი სხვაობები:

| იმპორტი | (1) | (2) | (3) | სხვაობა | სხვაობა |
|---------|----------|---------------|------------------|----------|----------|
| | ბალანსით | დღიური გეგმით | მიღება-ჩაბარებით | (3)-(1) | (3)-(2) |
| 2011 | 447,500 | 438,503 | 470,977 | 23,477 | 32,474 |
| 2012 | 479,700 | 690,159 | 614,591 | 134,891 | (75,568) |
| 2013 | 522,800 | 464,700 | 484,317 | (38,483) | 19,617 |

| ექსპორტი | (1) | (2) | (3) | სხვაობა | სხვაობა |
|----------|-----------|-----------|---------|-----------|----------|
| 2011 | 1,660,600 | 1,005,968 | 930,594 | (730,006) | (75,374) |
| 2012 | 1,188,700 | 493,960 | 528,151 | (660,549) | 34,191 |
| 2013 | 857,700 | 446,969 | 450,387 | (407,313) | 3,418 |

- პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება და რეგისტრაცია არ ხდება საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. კერძოდ, 173 ხელშეკრულება დარეგისტრირებულია ვადების დარღვევით - რეგისტრაცია გავლილია მას მერე, რაც რეალურად დაწყებული იყო მისი შესრულება, რაც ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტით²⁸ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ყოველდღიური და საათობრივი დაგეგმვა, რომელსაც ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის „ელექტროენერგიის ხელშეკრულების რეგისტრაციისა და კონტროლის“ სამსახური, უნდა ხდებოდეს დამტკიცებული ელექტროენერგიის ბალანსის ფარგლებში, რაც რეალურად არ სრულდება. საპროგნოზო ბალანსის მონაცემები არის საორიენტაციო და ფორმალური ხასიათის. რეგულარულად ხდება მასში გათვალისწინებული მოცულობების გადაჭარბება ან შეუსრულებლობა, რაც შეუსაბამობაშია ელექტროენერგიის ბაზრის წესებთან.

საპროგნოზო ბალანსით განსაზღვრულ ექსპორტ-იმპორტის მოცულობებთან შედარებით 2011-2013 წლებში ხელშეკრულებებით (ჯამური კვტ/სთ) არც საწყის, არც კორექტირებულ ვარიანტებში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული იმპორტისა და ექსპორტის შემდეგი მოცულობები:

| წელი | იმპორტი (კვტსთ) | ექსპორტი (კვტსთ) |
|------|-----------------|------------------|
| 2011 | 32,028,158 | 113,146,925 |
| 2012 | 121,105,542 | 73,442,148 |
| 2013 | 24,800,957 | 229,255,784 |

აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი ავარიული სიტუაციებით, რომლის დროსაც ესკოს ჰქონდა უფლება გადაჭარბებინა საპროგნოზო მოცულობებისთვის.

იმპორტიორები და ექსპორტიორები ვალდებული არიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ელექტროენერგიის იმპორტის და ექსპორტის განაცხადები წარუდგინონ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 4 სამუშაო დღით ადრე. ფაქტობრივად, განაცხადების წარდგენა უმეტეს შემთხვევაში არ

²⁷ 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77, თავი IV1.

²⁸ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 30 აგვისტოს 2006 წლის ბრძანება N77 „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1.

ხდებოდა ნორმატიული აქტით დადგენილ ვადებში, რაც შეუსაბამობაშია ბაზრის წესების მოთხოვნებთან²⁹;

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან კვალიფიცირებული საწარმოების მიერ ექსპორტის განაცხადები 2011 წელს 27 შემთხვევაში დაგვანებით იქნა წარდგენილი, ხოლო 2012 და 2013 წლებში - 7-7 შემთხვევაში;

2011-2013 წლებში დაფიქსირდა 11 შემთხვევა, როდესაც ფაქტობრივად ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა აღემატებოდა განაცხადში მითითებულ მონაცემს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებისთვის, ქვეყანაში დღემდე მოქმედი საკანონმდებლო აქტებით არ არის განსაზღვრული რაიმე სახის ადმინისტრაციული ბერკეტები, რომელიც აღმოფხვირდა ასეთი ტიპის შეუსაბამოებს.

- 2011 წელს ადგილი ქონდა შემთხვევებს, როდესაც შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „თელასი“ და შპს „მტკარი ენერგეტიკამ“ ექსპორტის ხელშეკრულებით თურქეთისა და რუსეთის მიმართულებით განახორციელეს (ხელშეკრულებებში დაფიქსირებული მოცულობების ჯამი 303,032,697 კვტ/სთ) ექსპორტი. აღნიშნული ელექტროენერგია მითითებული კომპანიების მიერ შეძენილი იყო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ენგურჰესის და ვარდნილჰესების ჰიდროელექტროსადგურებიდან. სხვაობა ექსპორტზე გატანილი ელექტროენერგიის თვითდირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის შეადგენდა დაახლოებით 9,221,500 ლარს. სწორი მენეჯმენტის პირობებში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავად განეხორციელებინათ აღნიშნული ელექტროენერგიის ექსპორტი, რაც შესაბამისად მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ენგურჰესისა და ვარდნილჰესის ჰიდროელექტროსადგურების ფინანსურ მდგომარეობას და შედეგად სახელმწიფო დივიდენდის სახით მიიღებდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს.

9. ელექტროენერგიის წლიური ბალანსი

ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წლიური ბალანსის შედგენის წესი განსაზღვრულია „ელექტროენერგიის ბაზრის წესებით“,³⁰ რომლის მიხედვით „ელექტროსასტემა“ კვალიფიციური საწარმოებისგან იღებს დადგენილი ფორმის განაცხადებს ელექტროენერგიის მიწოდება მოთხოვნის შესახებ, ამუშავებს და არაუგიანეს ყოველი კალენდარული წლის 20 ივლისისა სამინისტროს უგზავნის ელექტროენერგიის მომდევნო წლის საპროგნოზო ბალანსს დასამტკიცებლად, თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ეს მოთხოვნა ყველა შემთხვევაში დარღვეულია.

შესაბამისად, აღნიშნული ვადის გადაცილების გამო, სამივე წლის საპროგნოზო გეგმის დამტკიცება ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მოხდა „ბაზრის წესებით“ განსაზღვრული ვადის დარღვევით.

ცხრილში წარმოდგენილია წლიური საპროგნოზო ბალანსით (არაკორეტირებული ძირითადი ბალანსით) დამტკიცებული ელექტროენერგიის მოცულობების შედარება ფაქტობრივ მონაცემებთან³¹:

| მლნ კვტ/სთ | 2010-2011 | | 2011-2012 | | 2012-2013 | | 2013-2014 | |
|------------------|-----------|---------|-----------|---------|-----------|---------|-----------|---------|
| | გეგმა | ფაქტი | გეგმა | ფაქტი | გეგმა | ფაქტი | გეგმა | ფაქტი |
| სულ გამომუშავება | 7,217.4 | 6,952.8 | 10,608.1 | 9,804.6 | 10,591.0 | 9,725.3 | 3,185.8 | 3,380.3 |
| ჰიდროსადგურები | 6,576.9 | 5,720.9 | 8,920.7 | 7,458.3 | 7,912.8 | 7,663.6 | 1,999.3 | 2,539.2 |
| თბოსადგურები | 640.6 | 1,231.9 | 1,687.4 | 2,346.3 | 2,695.9 | 2,061.7 | 1,186.5 | 841.2 |
| სულ იმპერტი | 224.2 | 212.8 | 505.1 | 658.5 | 557.3 | 479.1 | 378.8 | 219.3 |

²⁹ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 30 აგვისტოს 2006 წლის ბრძანება N77 „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 141, პუნქტი 4.

³⁰ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების 30-ე მუხლი

³¹ 2010-2011 წლების ბალანსის მონაცემებიდან ცხრილში შეტანილია 2011 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე პერიოდის მონაცემები, 2013-2014 წლების ბალანსის მონაცემებიდან 2013 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდის მონაცემები

| | | | | | | | | |
|-------------------------|----------------|----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------|----------------|
| სულ რესურსი | 7,441.5 | 7,165.7 | 11,113.2 | 10,463.0 | 11,166.2 | 10,204.0 | 3,564.8 | 3,599.6 |
| ქსელში მიწოდება | 7,311.0 | 7,023.6 | 10,887.3 | 10,227.0 | 10,893.4 | 9,983.9 | 3,465.5 | 3,515.0 |
| მომხმარებლებზე მიწოდება | 5,767.9 | 6,033.8 | 8,931.6 | 9,443.6 | 9,926.6 | 9,455.0 | 3,312.6 | 3,330.0 |
| სულ ექსპორტი | 1,220.8 | 856.4 | 1,475.4 | 597.5 | 486.6 | 340.0 | - | 115.3 |
| სულ მოხმარება | 6,220.7 | 6,309.6 | 9,637.7 | 9,865.7 | 10,679.4 | 9,864.0 | 3,564.8 | 3,484.2 |

10. პირდაპირი ხელშეკრულებები და განაცხადები

შერჩევით შემოწმდა ელექტროენერგიის ერთიან მოხმარებაში 3 ყველაზე მაღალი ხვედრითი წილის მქონე კვალიფიციური საწარმოს (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „თელასის“ და შპს „ჯორჯიან მანგანეზის“) მიერ გენერაციის ობიექტებთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებები, სახელშეკრულებო განაცხადები და განაცხადები საკუთარი მოხმარებისთვის ელექტროენერგიის მიღების შესახებ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შესწავლილი პირდაპირი ხელშეკრულებების და სახელშეკრულებო განაცხადების რაოდენობები:

| (რეგისტრაციის წელი) | სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ | სს „თელასი“ | შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ |
|---------------------|------------------------|-------------|-------------------------|
| 2011 | 177 | 8 | 1 |
| 2012 | 172 | 18 | 4 |
| 2013 | 174 | 23 | 20 |
| სულ | 523 | 49 | 25 |

- ხშირ შემთხვევაში კვალიფიციურ საწარმოებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებები ფორმდება და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ხელშეკრულების მოქმედების დაწყებამდე არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, რაც უმეტეს შემთხვევაში დარღვეულია. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია უარი განაცხადოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე³², თუმცა უარი არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა.

„ბაზრის წესების“ მიხედვით³², პირდაპირი ხელშეკრულება სავალდებულოა სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს ხელშეკრულების მოქმედების დაწყებამდე არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, რაც უმეტეს შემთხვევაში დარღვეულია. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია უარი განაცხადოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე³³, თუმცა უარი არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა.

„ბაზრის წესების“ შესაბამისად³⁴, „ელექტროსისტერი“ ვალდებულია უარი განაცხადოს პირდაპირი ხელშეკრულებების რეგისტრაციაზე თუ სახელშეკრულებო განაცხადში მითითებული მონაცემები და პირობები ეწინააღმდეგება პირდაპირ ხელშეკრულებაში ასახულ მონაცემებსა და პირობებს. შპს „პრაიმ ენერჯის“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის დადებულ ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირ ხელშეკრულებაში³⁵ არაა დაცული ზემოაღნიშნული მოთხოვნა, თუმცა „ელექტროსისტერამ“ არ შეასრულა კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება.

³² საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მე-9 მუხლის 1 პუნქტი

³³ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მე-9 მუხლის 4 პუნქტის ბ)ქვეპუნქტი

³⁴ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მე-9 მუხლის 4 პუნქტის ე)ქვეპუნქტი

³⁵ 2013 წლის 2 მაისის პირდაპირი ხელშეკრულება, რეგისტრაციის ნომერი- 1/989-0, რეგისტრაციის თარიღი- 10.05.2013

„ელექტროსისტემა“ ასევე ვალდებული იყო უარი განაცხადებინა შპს „ენგურჰესსა“ და შპს „მტკვარი ენერგეტიკას“ შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულების³⁶ რეგისტრაციაზე პირდაპირი ხელშეკრულების პირობების სახელშეკრულებო განაცხადთან შეუსაბამობის გამო.

„ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავჯდომარის ბრძანებით³⁷ დამტკიცდა სახელშეკრულებო განაცხადის ფორმა, რომლითაც დადგინდა მოცულობის განსაზღვრის წესი. ერთ-ერთ პუნქტად განისაზღვრა განაცხადში მითითებული სახელშეკრულებო მოცულობიდან გადახრა არაუმეტეს +/−10 პროცენტისა. სახელშეკრულებო განაცხადშის შესწავლისას ცნობილი გახდა, რომ კვალიფიციური საწარმოები ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ სახელშეკრულებო განაცხადით დადგნილი მოცულობის განსაზღვრის წესს და მიუთითებდნენ 10 დან 30 პროცენტამდე ცდომილებას. შეუსაბამობის მიუხედავად ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და კონტროლის სამსახურს ასეთი ხელშეკრულებების რეგისტრაციაზე უარი არ განუცხადება.

საყურადღებოა, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში „ელექტროსისტემის“ მიერ დამტკიცებული ახალი სახელშეკრულებო განაცხადის ფორმიდან ამოღებული იქნა მისაწოდებელი ელექტროენერგიის მოცულობიდან გადახრის შემთხვევაში +/−10% ცდომილების დაცვის რეკომენდაცია.

„ბაზრის წესებით“³⁸ კიდევ ერთ სავალდებულო პირობად, რომელსაც უნდა შეიცავდეს პირდაპირი ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისაწოდებელი ელექტროენერგიის ყოველთვიური და ყოველდღიური საორიენტაციო რაოდენობა. დღიურ საორიენტაციო რაოდენობას, შესწავლილი ხელშეკრულებების და განაცხადების გარკვეული ნაწილი არ შეიცავდა, რაც ასევე რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გამხდარიყო. კერძოდ, შესწავლილი 163 ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებიდან 140 არ შეიცავს დღიურ საორიენტაციო რაოდენობას.

„ბაზრის წესების“³⁹ მიხედვით პირდაპირი ხელშეკრულება და განაცხადი უნდა შეიცავდეს მისაწოდებელი ელექტროენერგიის ერთეულის ფასს. აღნიშნული მოთხოვნა არ არის დაცული „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთარი მოხმარებისა და საექსპორტო განაცხადების ნაწილში. შესწავლილი 483 განაცხადიდან 97 განაცხადში ერთეული კილოვატის ფასი განსაზღვრული არ იყო.

პირდაპირი ხელშეკრულებებისა და განაცხადების რეგისტრაციისას ზემოთ მოყვანილი დარღვევების გაუთვალისწინებლობა აფერხებს „ელექტროსისტემის“, როგორც დისპეტჩერიზაციის ერთადერთი ლიცენზიანტის, კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან დადგენილი მოთხოვნების დაცვით გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულები და განაცხადები წარმოადგენს ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული მართვის და მდგრადობის შენარჩუნების ერთერთ მნიშველოვან მექანიზმს.

11. მიწოდებისა და მოხმარების გეგმები

ელექტროენერგიის ფაქტობრივი მიწოდების შემდგომ პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტან სარეგისტრაციო წარდგენა შეუსაბამობაშია „ბაზრის წესებთან“⁴⁰, ვინაიდან „ელექტროსისტემამ“ ელექტროენერგიის გენერაციის ყოველდღიური და საათობრივი დაგეგმვის დროს დამტკიცებული ელექტროენერგიის ბალანსის გარდა, უნდა იხელმძღვანელოს ასევე პირდაპირი ხელშეკრულებებით დარეგისტრირებული ელექტროენერგიის მოცულობებით.

ასევე, გამოვლინდა, რომ 2011-2013 წლების მიწოდება-მოხმარების გეგმებით ქვეყნის მასშტაბით დამტკიცებული გენერაციის (ქსელში მიწოდების) მოცულობა თვეების ჭრილში 434,485,000 კვტ/სთ-ით აღმატება წლიური საპროგნოზო ბალანსებით დამტკიცებულ მოცულობებს, ასევე ელექტროენერგიის მოხმარების დაგეგმვაც არ ხორციელდება დამტკიცებული ელექტროენერგიის ბალანსის ფარგლებში.

³⁶ 2011 წლის 18 აპრილის პირდაპირი ხელშეკრულება, რეგისტრაციის ნომერი- 1/463-01, რეგისტრაციის თარიღი- 26.04.2011

³⁷ 2010 წლის 3 სექტემბრის N 117 ბრძანება

³⁸ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მე-8 მუხლის 3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი

³⁹ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების მე-8 მუხლის 3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი

⁴⁰ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანების 31-ე მუხლის 1 პუნქტი

„ბაზრის წესებით“ გათვალისწინებულია „ელექტროსისტემის“ მიერ შედგენილი მიწოდებისა და მოხმარების გეგმების შესრულება, თუმცა „ენერგო-პრო ჯორჯიას“, „თელასის“ და „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ფაქტობრივად მოხმარებული ელექტროენერგია თვეების ჭრილში გამოთვლილი მოცულობით ხშირად აღემატება მოხმარების გეგმებით დამტკიცებულ მოცულობებს.

„ელექტროსისტემის ელექტროენერგიის ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და კონტროლის სამსახურის“ დებულებით გათვალისწინებულ ამოცანას წარმოადგენდა მოხმარება-მიწოდების გეგმისა და დამტკიცებული ბალანსის შესრულებაზე კონტროლი. 2013 წლის 18 ნოემბერს დამტკიცებული „მოხმარებისა და მიწოდების გეგმის ფორმირების პროცესის აღწერის“ მიხედვით, თუ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა მეტი იქნებოდა მიწოდებაზე, ელექტროენერგიის ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და კონტროლის სამსახურს უნდა აემოქმედებინა დაუკონტრაქტებელი მოცულობები, დაეკონექტირებინა გეგმა და დაბალანსებული გეგმა გაეგზავნა დასამტკიცებლად, რაც ზემოაღნიშნული პროცესის დამტკიცების შემდგომ არ განხორციელებულა:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კვალიფიციურ საწარმოთა საპროგნოზო ბალანსის ფარგლებს ზევით დამტკიცებული მოცულობები და მოხმარების გეგმებით დამტკიცებული მოცულობის ზევით მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობები კილოვატ საათებში:

| წელი | კვალიფიციური საწარმო | საპროგნოზო ბალანსით დამტკიცებული მოცულობა | მოხმარების გეგმებით დამტკიცებული მოცულობა | ფაქტობრივი მოხმარება | საპროგნოზო ⁴¹ ბალანსის ზევით დამტკიცებული მოცულობა | მოხმარების გეგმების მიხედვით | მოხმარების გეგმებით დამტკიცებული მოცულობის ზევით მოხმარებული ელექტროენერგია |
|------|-------------------------|--|--|-------------------------|--|---------------------------------|---|
| 2011 | ენერგო-პრო ჯორჯია | 3,076,400,000 | 3,780,869,000 | 3,527,645,000 | 704,469,000 | 5,352,000 | |
| | თელასი | 1,962,000,000 | 2,060,293,000 | 2,025,602,000 | 126,948,000 | 45,658,000 | |
| | ჯორჯიან- მანგანეზი | 1,145,500,000 | 1,142,673,000 | 1,121,942,000 | 61,488,000 | 37,216,000 | |
| 2012 | ენერგო-პრო ჯორჯია | 3,671,200,000 | 4,027,935,000 | 3,967,092,000 | 444,451,000 | 8,780,000 | |
| | თელასი | 2,008,800,000 | 2,078,502,000 | 2,022,749,000 | 94,749,000 | 1,444,000 | |
| | ჯორჯიან- მანგანეზი | 1,130,400,000 | 1,165,211,000 | 1,091,041,000 | 65,550,000 | 5,103,000 | |
| 2013 | ენერგო-პრო ჯორჯია | 4,286,000,000 | 4,173,268,000 | 4,170,058,000 | 37,801,000 | 57,990,000 | |
| | თელასი | 2,066,000,000 | 2,035,688,000 | 2,062,867,000 | 44,550,000 | 58,624,000 | |
| | ჯორჯიან- მანგანეზი | 1,217,900,000 | 1,097,892,000 | 1,090,948,000 | 4,512,000 | 27,277,000 | |

⁴¹ სხვაობები გამოყვანილია თვეების ჭრილში და არ წარმოადგენს არითმებიკულ სხვაობას წლიურ მონაცემებს შორის

დანართი N1

| ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტები, რომლებიც არ შეფასებულია | | | | | ფაქტობრივად შეფასებული მოწყობილობები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით | | | | |
|---|--|----------|------|-------------------------|--|---|-----------------|--------|------|
| ქვესადგ. | მოწყობილობის დასახელება | ტიპი | რ-ბა | ბუღ. | ქვესადგ. | მოწყობილობის დასახელება | ტიპი | რ-ბა | ბუღ. |
| დიდუბე 220 | ტ-2-ის მცლელი | PBC-110 | 3გ. | 67450 67451 67452 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი მკპ-110 | მკპ - 110 | 1კომპ. | 1096 |
| გარდაბანი 500 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორის 110 კვ. მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1758 1759 1760 | მარნეული 220 | სახაზო გამთიშველის შუალედური საყრდენი იზოლატორები იის-110 | იის-110 | 1კომპ. | 1084 |
| გარდაბანი 500 | II სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორის 110 კვ. მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1761 1762 1763 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი მკპ-110B | მკპ - 110 | 1კომპ. | 1091 |
| გარდაბანი 500 | ძალოვანი ტრანსფორმატორი #1-ის მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1764 1765 1766 | მარნეული 220 | ზეთიანი ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1092 |
| გარდაბანი 500 | ძალოვანი ტრანსფორმატორი #2-ის მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1767 1768 1769 | მარნეული 220 | სატრ. გამთიშველის შუალედ. საყრდენი იზოლატორები | იის-110 | 1კომპ. | 1087 |
| გარდაბანი 500 | A.T.1-ის 110 კვ, მცლელი A B C ფაზა | PBMT 110 | 3გ. | 1935 1936 1937 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1099 |
| რუსთავი 220 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორის 110 კვ. მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1553 1554 1555 | რუსთავი 220 | ძაბვის ტრანსპორმატორი | ჟკფ - 110-57-У1 | 1კომპ. | 1551 |
| გარდაბანი 500 | I სისტემის ძაბვის ტრანსფორმატორის 110 კვ. მცლელი A B C ფაზა | PBC-110 | 3გ. | 1758 1759 1760 | რუსთავი 220 | ძაბვის ტრანსპორმატორი | ჟკფ - 220 - | 1კომპ. | 1399 |
| დიდუბე 220 | ტ-1-ის დამიწების მცლელი | PBC-35 | 1გ. | 67598 | რუსთავი 220 | ძაბვის ტრანსპორმატორი | ჟკფ - 110-57-У1 | 1კომპ. | 1552 |
| დიდუბე 220 | ტ-3-ის მცლელი | PBC-35 | 3გ. | 67562 67563 67564 | რუსთავი 220 | ძაბვის ტრანსფორმატორის გამთიშველი | ჟრდ 32 - 110 | 1კომპ. | 1550 |
| დიდუბე 220 | ტ-2-ის დამიწების მცლელი | PBC-35 | 1გ. | 67600 | რუსთავი 220 | სახაზო 110 კვ გამთიშველი | ჟრდ 32 - 110 | 1კომპ. | 1462 |
| გარდაბანი 500 | ს.ა Q33 | BHB-500 | 1გ. | 2229 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1090 |
| დიდუბე 220 | ე.გ.ბ. "დიდუბე"-3-ის ზ.ა | BMT-220 | 1გ. | 67433 | მარნეული 220 | შუალედ. საყრდენი იზოლატორები | იის -110 | 1კომპ. | 1078 |
| დიდუბე 220 | ე.გ.ბ. "დიდუბე"-4-ის ზ.ა | BMT-220 | 1გ. | 67426 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1093 |
| ფერო 220 | კოხრა-4 | MMO-110 | 1გ. | 33042 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1097 |
| გლდანი 220 | ეგბ მუხიანაია-2-ის ზ.ა ამომრთველი | BMT-220 | 1გ. | 67873 | მარნეული 220 | შუალედ. საყრდენი იზოლატორები | იის-110 | 1კომპ. | 1085 |
| დიდუბე 220 | ატ-2-ის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67416 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | მკპ - 110 | 1კომპ. | 1094 |
| დიდუბე 220 | ატ-1-ის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67405 | მარნეული 220 | კონდენსატორი "ა" ფაზა | ჟპ - 220 | 1კომპ. | 1189 |
| დიდუბე 220 | ტ-1-ის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67398 | მარნეული 220 | კონდენსატორი "ც" ფაზა | ჟპ - 220 | 1კომპ. | 1190 |

| | | | | | | | | | |
|---------------|---|-------------|-----|-------|--------------|--|-----------|--------|--------|
| დიდუბე 220 | ეგხ "დიდუბე-2"-ის ზ.ა | BMT-110 | 1გ. | 67387 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | МКП - 110 | 1კომპ. | 1098 |
| დიდუბე 220 | ტ-2-ის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67376 | მარნეული 220 | შუალედ. საყრდენი იზოლატორები | NOC - 110 | 3გ. | 1086 |
| დიდუბე 220 | ეგხ "დიდუბე-1"-ის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67365 | მარნეული 220 | ზ/ამომრთველი | МКП - 110 | 3გ. | 1095 |
| დიდუბე 220 | სშა | BMT-110 | 1გ. | 67318 | მარნეული 220 | ძაბვის ტრ-რები | НКФ - 110 | 3გ. | 1167 |
| დიდუბე 220 | შემოვლითი სისტემის ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 1გ. | 67310 | ქუთაისი 220 | ატ1 -ის 10კვ მცლელი A ფაზა | PВП-12 | 1გ. | 3354 3 |
| ზესტაფონი 500 | ე.გ.ხ "დილიკაური" | BVT-110 | 1გ. | 34212 | ქუთაისი 220 | ატ1 -ის 10კვ მცლელი B ფაზა | PВП-12 | 1გ. | 3354 4 |
| ზესტაფონი 500 | ე.გ.ხ "კოხრა-1" | BMT-110 | 1გ. | 34212 | ქუთაისი 220 | ატ1 -ის 10კვ მცლელი C ფაზა | PВП-12 | 1გ. | 3354 5 |
| ზესტაფონი 500 | ე.გ.ხ "ფერო-2" | BMT-110 | 1გ. | 34212 | ნავთლუდი 220 | ატ1-ის I სექციის გამთიშველი | РНД 3-1 | 1კომპ. | 6864 7 |
| | | | 1გ. | | | | | 2გ. | |
| ზესტაფონი 500 | ე.გ.ხ "ულევი-1" | BMT-110 | | 34212 | ნავთლუდი 220 | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველის საყრდენი იზოლატორი ფაზა "ც" | ИОС-110 | 6865 9 | |
| | | | 3გ. | | | | | 1გ. | |
| გარდაბანი 500 | ბლოკი № 1 . 110კვ. დენის ტრანსფორმატორი | TФНД-110 | | 1718 | ნავთლუდი 220 | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველის საყრდენი იზოლატორი ფაზა "ა" | ИОС-110 | 6866 0 | |
| | | | 3გ. | | | | | 1გ. | |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ხ. უდაბნოს დენის 110 კვ. ტრანსფორმატორი | TФНД-110 | | 1722 | ნავთლუდი 220 | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველის საყრდენი იზოლატორი ფაზა "ბ" | ИОС-110 | 6866 1 | |
| | | | 3გ. | | | | | 1გ. | |
| ქუთაისი 220 | ეგხ გეგუთის დენის ტრ-რი | TFZM-110 | 3გ. | 33582 | ნავთლუდი 220 | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6866 2 |
| ქუთაისი 220 | ეგხ უკანეთის დენის ტრ-რი | TFZM-110 | 3გ. | 33633 | ნავთლუდი 220 | სალტეაშორისოს II სექციის გამთიშველი | РНД 3-1 | 1კომპლ | 6866 5 |
| გარდაბანი 500 | | НКФ-110 | 1გ. | 2257 | ნავთლუდი 220 | სალტეაშორისოს I სექციის გამთიშველი | РНД 3 | 1კომპლ | 6866 8 |
| დიდუბე 220 | მ/ს კავშირგაბმულობის დროსელები | P3-600-0,25 | 1გ. | 67384 | ნავთლუდი 220 | ე.გ.ხ. "ალგეთა"-ს II სექციის გამთიშველი | РНД 3-1 | 1კომპლ | 6860 2 |
| ლიისი 220 | მ/ს კავშირგაბმულობის დროსელები | B3-600-0,25 | 1გ. | 68236 | ნავთლუდი 220 | ე.გ.ხ. "ალგეთა"-ს სახაზო გამთიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6860 4 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ხ. ველის #2-ის 220 კვ. დღროსელი ვ ფაზა | არ აქცს | 1გ. | 2058 | ნავთლუდი 220 | ე.გ.ხ. "ალგეთა"-ს შემოვლითი სისტემის გამთიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6860 5 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ხ. ველის #2-ის 220 კვ. დღროსელი С ფაზა | არ აქცს | 1გ. | 2059 | ნავთლუდი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "გ" | НКФ-220 | 1გ. | 6860 9 |

| | | | | | | | | | |
|------------------|--|---------------------|-----|--------------------|------------------|---|-------------|--------|-----------|
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ. ნავთლუდის #2-ის 220 კვ. დროსელი A ფაზა | არ აქცს | 1გ. | 2060 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "ა" | НКФ- 220 | 1გ. | 6861 0 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ. კოდა #2-ის 220 კვ. დროსელი A ფაზა | არ აქცს | 1გ. | 2063 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორი ფაზა "გ" | НКФ- 220 | 1გ. | 6861 1 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ. ლომითა გორას 220 კვ. დროსელი A ფაზა | არ აქცს | 1გ. | 2065 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორის გამოიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6861 2 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ არხი 1-ის 110 კვ.დროსელი C ფაზა | არ აქცს | 1გ. | 1774 | ნავთლუდ ი 220 | ე.გ.ბ. "ნავთლუდი"-ს II სექციის გამოიშველი | РНД 3-1 | 1კომპლ | 6861 8 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ არხი 2-ის 110 კვ.დროსელი C ფაზა | არ აქცს | 1გ. | 1775 | ნავთლუდ ი 220 | ე.გ.ბ. "ნავთლუდი"-ს სახაზო გამთიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6862 0 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ ა.ტ. 1-ის 110 კვ.დროსელი A ფაზა | არ აქცს | 1გ. | 1776 | ნავთლუდ ი 220 | ე.გ.ბ. "ნავთლუდი"-ს შემოვლითი სისტემის გამოიშველი | РНД 3-1 | 1კომპლ | 6862 1 |
| გლდანი 220 | ატ-ა1 | არ აქცს | 3გ. | 67952 | ნავთლუდ ი 220 | ე.გ.ბ. "კუკია"-ს საყრდენი იზოლატორი | ИОС- 110 | 1კომპლ | 6868 1 |
| დიდუბე 220 | ე.გ.ბ. "დიდუბე 3"-ის დენის ტრანსფორმატორი | არ აქცს | 3გ. | 67432 | ნავთლუდ ი 220 | ე.გ.ბ. "კუკია"-ს შემოვლითი სისტემის გამოიშველი | РНД 3-2 | 1კომპლ | 6868 3 |
| დიდუბე 220 | ე.გ.ბ. "დიდუბე 4"-ის დენის ტრანსფორმატორი | არ აქცს | 3გ. | 67425 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორის მცლელი ფაზა "გ" | PBC- 220 | 1გ. | 6861 3 |
| ლისი 220 | 220 kv egx didube-3 m/s droseli | BB- 1250 05Y1 | 2გ. | A-68361 B-68362 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორის მცლელი ფაზა "ბ" | PBC- 220 | 1გ. | 6861 4 |
| გარდაბანი 500 | ე.გ.ბ. ა.ტ.ზ. 110 კვ. დროსელი A ფაზა | არ აქცს | 1გ. | 1777 | ნავთლუდ ი 220 | II სექციის ძაბვის ტრანსფორმატორის მცლელი ფაზა "ა" | PBC- 220 | 1გ. | 6861 5 |

დანართი N2

| გადაეცა შესაფასებლად „ელექტროსისტემის“ მიერ | | | | შეფასდა შპს „ჯეი ბი ეი ფინანსურდიტის“ მიერ | | | ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ფაქტობრივად ირიცხება | | | კომენტარი | | |
|---|---|---------------------------|--------|---|------------------------|--------|---|--|---------------------------------------|--|--|--|
| ჰესადგური | მოწყობილობის დასახელება | ტიპი | რ-ზა | მოწყ. დასახელება | ტიპი | რ-ზა | მოწყ.დასახელება | ტიპი | რ-ზა | | | |
| ქსანი 500 | 220 კვ. II სისტემის მცლელი | PBC-220 | 3 ც | 220 კვ. II სისტემის მცლელი | PBC-220 | 3 ც | 220 კვ. II სისტემის მცლელი | PBC-220 | 2 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობით | | |
| ზესტაფონი 500 | ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 6 კომპ | ე-გ.ხ. „ფერო-1“ და ე-გ.ხ. „კოხრა-4“ ზეთიანი ამომრთველი | BMT-110 | 2 კომპ | 110 კვ. ამომრთველი | მოდელი მითებულ ი არა საპარ ო | 2 ც ზეთია ნი, 5 ც საპარ ო | გადაცემულია 6, შეფასებულია 2 კომპ ზეთიანი ამომრთველი, როდესაც რეალურად მხოლოდ 2 ც ზეთ. ამომრთველი ირიცხებოდა | | |
| გარდაბანი 500 | II სექციის II სასალტე სისტემის 220 კვ. ძაბვის ტრ-რი | HKΦ -220 | 3 ც | II სექციის II სასალტე სისტემის 220 კვ. ძაბვის ტრ-რი | HKΦ -220 | 3 ც | II სექციის II სასალტე სისტემის 220 კვ. ძაბვის ტრანსფორმატორი | HKΦ -220 | 2 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობით | | |
| ნავთლუდი 220 | დაუკომპლექტებულ ბელი გამთიშველი | СИ-45-01 | 5 ც | დაუკომპლექტებულ ი გამთიშველი | СИ-45-01 | 5 ც | ატ-2-ის უჯრედში გამთიშველი | მოდელი მითებული არა | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობით | | |
| ნავთლუდი 220 | T-2-ის 110 კვ-ის უჯრედი დაუკომპლექტებულ ბელი გამთიშველი | СИ-45-01 | 4 ც | T-2-ის 110 კვ-ის უჯრედი დაუკომპლექტებულ ი გამთიშველი | СИ-45-01 | 4 ც | ატ-2-ის უჯრედში გამთიშველი | РНДЗ-1 | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობა და მოდელი | | |
| ნავთლუდი 220 | დაუკომპლექტებულ ბელი გამთიშველი | И-45-01 | 4 ც | დაუკომპლექტებულ ი გამთიშველი | И-45-01 | 4 ც | ტ3-ის უჯრედში გამთიშველი | SHELTON ENGLAND | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობა და მოდელი | | |
| გორი 220 | 220 კვ დროსელი | მოდელი მითებული არა | 6 ც | 220 კვ დროსელი | მოდელი მითებული არა | 6 ც | ელ. გადამცემი ხაზი სურამის 220 კვ. დროსელი ც-ფაზა | ВЧ3 1000- 0,6 | 1 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური რაოდენობა | | |
| გორი220 | 220 კვ სალტის მცლელი | PBM- 220 | 3 ც | 220 კვ სალტის მცლელი | PBM- 220 | 3 ც | 220 კვ სალტის მცლელი | PBC-220 | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | | |
| ნავთლუდი 220 | ე-გ.ხ. „ვენისი 4“-ის ზეთიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „ვენისი 4“-ის ზეთიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | 110 კვ ზეთიანი ამომრთველი | У-110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | | |
| ნავთლუდი 220 | სალტეთაშორის ოს ზეთიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | სალტეთაშორისოს ზეთიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | 110 კვ ზეთიანი ამომრთველი | У-110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | | |
| ნავთლუდი 220 | ატ1-ის ზეტიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | ატ1-ის ზეტიანი ამომრთველი | МКП-110 | 1 კომპ | 110 კვ ზეთიანი ამომრთველი | У-110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | | |

| ნავთლური 220 | ე-გ.ხ. „რუსთავი 1“-ის ზეთიანი ამომრთველი | უ-110 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „რუსთავი 1“- ის ზეთიანი ამომრთველი | უ-110 | 1 კომპ | 110 კვ ზეთიანი ამომრთველი | მქპ-110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
|------------------|---|----------|--------|---|----------|--------|--|---|--------|--|
| ქუთაისი 220 | დენის ტრ-ები | ТФНД-110 | 6 კომპ | დენის ტრ-ები | ТФНД-110 | 6 კომპ | 220 კვ გარე დადგმულიბის დენის ტრ-რი | 3 კომპ. ТФНД-220; 2- ТФМД- 220; 1- IOSK-245 | 6 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელები |
| გარდაბანი 500 | ატ3-ის გამთიშველი | РП - 330 | 1 კომპ | ატ3-ის გამთიშველი | РП - 330 | 1 კომპ | AT.3. –ის სატრანსფორმატორო 330კვ, გამთიშველი A B C ფაზა | РЛНДЗ 2- 330 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ატ1-ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ატ1-ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ატ1-ის სატრანსფორმატორო გამთიშველი | РНДЗ-1 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ატ2-ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ატ2-ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ატ2-ის სატრანსფორმატორო გამთიშველი | РНДЗ-2 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | შსს-ის ა-ის შსს- ის გამთიშველი | РН3-1 | 1 კომპ | შსს-ის ა-ის შსს-ის გამთიშველი | РН3-1 | 1 კომპ | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველი | РНДЗ-1 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ე-გ.ხ. „დიდგორი -1“-ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „დიდგორი -1“- ის გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „დიდგორი -1“- ის გამთიშველი | РНДЗ-2 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| გლდანი 220 | ე-გ.ხ. ვარკეთილი I სისტემის გამთიშველი | РНДЗ-220 | 1 კომპ | ე-გ.ხ. ვარკეთილი I სისტემის გამთიშველი | РНДЗ-220 | 1 კომპ | 220 კვ გამთიშველი სამძულსა ერთი დამიწების დენით | NSA- 245/1600D | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ე-გ.ხ. „კოდა -1“- ის გამთიშველი სახაზო | РНДЗ-1 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „კოდა -1“-ის გამთიშველი სახაზო | РНДЗ-1 | 1 კომპ | 220 კვ გამთიშველი სამძულსა ერთი დამიწების დენით | CBD-E | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ე-გ.ხ. „კოდა -1“- ის გამთიშველი შემოვლითი | РНДЗ-1 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „კოდა -1“-ის გამთიშველი შემოვლითი | РНДЗ-1 | 1 კომპ | 220 კვ გამთიშველი სამძულსა ერთი დამიწების დენით | CBD-E | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | 220 კვ ე-გ.ხ. „დიდგორი -1“- ის სახაზო გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | 220 კვ ე-გ.ხ. „დიდგორი -1“-ის სახაზო გამთიშველი | РН3-2 | 1 კომპ | ე-გ.ხ. „დიდგორი -1“- ის სახაზო გამთიშველი | РНДЗ-2 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| მენჯი 220 | ატ1-ის გამთიშველი | რაზ-2 | 1 კომპ | ატ1-ის გამთიშველი | რაზ-2 | 1 კომპ | ატ1-ის სატრანსფ-რო გამთიშველი | РЛНД-220 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| მენჯი 220 | II სს-ის ძაბვის ტრ-ის გამთიშველი | რაზ-2 | 1 კომპ | II სს-ის ძაბვის ტრ-ის გამთიშველი | რაზ-2 | 1 კომპ | 220 კვ. ძაბვის ტრ-რის გამთიშველი | РЛНД-220 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |

| | | | | | | | | | | |
|------------------|---|-----------------|--------|---|-----------------|--------|--|-------------------|--------|--|
| ხაშური 220 | ატ-1 შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ატ-1 შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ხაშური 220 | ატ-1 I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ატ-1 I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ხაშური 220 | ე-გ.ბ. „წევა I I“ I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ე-გ.ბ. „წევა I I“ I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ხაშური 220 | ე-გ.ბ. „წევა I I“ შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ე-გ.ბ. „წევა I I“ შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელიები |
| ხაშური 220 | ე-გ.ბ. „წევა I I“ სახაზო გამთიშველი | РЛНД-2В- 110 | 1 კომპ | ე-გ.ბ. „წევა I I“ სახაზო გამთიშველი | РЛНД-2В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელიები |
| ხაშური 220 | ეგბ „ტეზერი“ I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ეგბ „ტეზერი“ I სისტემის გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ხაშური 220 | ეგბ „ტეზერი“ შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ეგბ „ტეზერი“ შ.ს. გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ხაშური 220 | ეგბ „წევა I“ შს გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | ეგბ „წევა I“ შს გამთიშველი | РЛНД-1В- 110 | 1 კომპ | 110 კვ. გამთიშველი | РЛНД3-1- 110 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ნავთლური 220 | ტ-1-ის გამთიშველი II სისტემის | РЛН-35 | 1 კომპ | ტ-1-ის გამთიშველი II სისტემის | РЛН-35 | 1 კომპ | ტ-1-ის II სისტემის გამთიშველი | МКП-35 | 1 კომპ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | ეგბ „კოდა I „-ის დ. ტრ-ი | ТФЗМ-220 | 3 ც | ეგბ „კოდა I „-ის დ. ტრ-ი | ТФЗМ-220 | 3 ც | 220 კვ გარე დადგმულობის დენის ტრ-ი | IOSK-245 | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელისა და ძაბვის ქიმიურ ელ.მოწყობილობ |
| გარდაბანი 500 | 110 კვ დენის ტრ-ები | ТФНД-110 | 39 ც | 110 კვ დენის ტრ-ები | ТФНД-110 | 39 ც | 110 კვ დენის ტრ-ები | ТФКД -110 | 39 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელის ტრანსფორმორები |
| ხაშური 220 | 35 კვ სექციის ძაბვის ტრ-ი | PBC-35 | 3 ც | 35 კვ სექციის ძაბვის ტრ-ი | PBC-35 | 3 ც | 35 კვ ინდუსტრიული ძაბვის ტრ-ი | ЗНОМ-35- 65-У1 | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ბაისუბანი | ძალოვანი ტრ- ებიები | TM-1800 | 2 ც | ძალოვანი ტრ-ები | TM-1800 | 2 ც | 35 კვ ორგრაგნილა ტრ-ი | TM-35/10 | 2 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ოლე 2 | ძალოვანი ტრ- ები | TMH-2500 | 1 ც | ძალოვანი ტრ-ები | TMH-2500 | 1 ც | 35 კვ ორგრაგნილა ტრ-ი | TM-35/10 | 1 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ოლე 2 | ძალოვანი ტრ- ები | TMH-2500 | 1 ც | ძალოვანი ტრ-ები | TMH-2500 | 1 ც | 10 კვ საკუთარი მოხმარების ტრ-ი | TM-25/10 | 1 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ლისი 220 | 220 კვ ეგბ დიდუბე-ს მ/ს დროსელი | BB-1250 05Y1 | 4 ც | 220 კვ ეგბ დიდუბე-ს მ/ს დროსელი | BB-1250 05Y1 | 2 ც | 220 კვ მაღალსიხშირული კავშირის გადამდობი(დროსელ ი) | B3-1000 | 4 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |
| ნავთლური 220 | მ/ს კავშირგაბმულო | BB-1250 05Y1 | 3 ც | მ/ს კავშირგაბმულობის | BB-1250 05Y1 | 3 ც | 220 კვ მაღალსიხშირული | B3-1000 | 3 ც | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი |

| ბის დროსელები | | | | დროსელები | | | | კავშირის გადამღვიმები(დროსელ ი) | | | |
|---------------|--|-----------------|------|---|-----------------|-------------------|---|---------------------------------------|--------|---|--|
| გლდანი 220 | მ/ს კავშირგაბმულო ბის დროსელები | BB-1250 05Y1 | 2 ვ | მ/ს კავშირგაბმულობის დროსელები | BB-1250 05Y1 | 2 ვ | 220კპ მაღალისიხშირული კავშირის გადამღვიმები(დროსელ ი) | B3-1000 | 2ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| ნავთლუდი 220 | საყრდენი იზოლატორები | ИОС-110-600 | 4 ვ | საყრდენი იზოლატორები | ИОС-110-600 | 4 ვ | საყრდენი იზოლატორები | SOHK-12-31.5 | 4 ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| ნავთლუდი 220 | დაუკომპლექტები ბელი გამთიშველი | СИ-45-01 | 10 ვ | დაუკომპლექტებელ ი გამთიშველი | СИ-45-01 | 10 ვ | ე.გ.ბ. "რუსთავი 2"-ის უჯრედში გამთიშველი | РНДЗ-1 | 10 ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| ნავთლუდი 220 | 110 კპ. საყრდენი იზოლატორები | ИОС-110-600 | 12 ვ | 110 კპ. საყრდენი იზოლატორები | ИОС-110-600 | 12 ვ | საყრდენი იზოლატორები | ШО-35 | 12 ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| რუსთავი 220 | შუალედური 220 კპ. საყრდენი იზოლატორი A ფაზა | ИОС - 220 | 1 | AT.2. შუალედური 220 კპ. საყრდენი იზოლატორი A ფაზა | ИОС - 220 | | AT.2. შუალედური 220 კპ. საყრდენი იზოლატორი A ფაზა | IOSK - 245 | 1 | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| რუსთავი 220 | ეგბ ველი 2. 220 კპ. მაღალი სიხშირის გადამღვიმების კონდენსატორი A ფაზა | CMP - 220 | 1 | ეგბ ველი 2. 220 კპ. მაღალი სიხშირის გადამღვიმების კონდენსატორი A ფაზა | CMP - 220 | 1 | ეგბ ველი 2. 220 კპ. მაღალი სიხშირის გადამღვიმების კონდენსატორი A ფაზა | ИОС - 220 | 1 | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| მარნეული 220 | კონდენსატორებ ი 110 კპ. | CMP-58-110 | 4 | კონდენსატორები 110 კპ. | CMP-58-110 | 4 | კონდენსატორები 110 კპ. | CM-220 | 4 | გადაცემული და შეფასებულია არარეალური მოდელი | |
| გლდანი 220 | ატ-2-ის მცლელი | PBМГ-220 | 3 ვ | ატ-2-ის მცლელი | PBМГ-220 | 3 ვ | 110კპ მცლელი (განმშებტველი) | PBM-110 | 3 ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური ძაბვის და მოდელის ელ.მოწყობილობა | |
| ნავთლუდი 220 | ატ-2-ის მცლელი | PBМГ-220 | 3 ვ | ატ-2-ის მცლელი | PBМГ-220 | 3 ვ | 110კპ მცლელი (განმშებტველი) | PBM-110 | 3 ვ | გადაცემული და შეფასებულია არარეალური ძაბვის და მოდელის ელ.მოწყობილობა | |
| - | - | - | - | (მარნეული 220)სატრ. გამთიშველის შუალედური საყრდენი 110 კპ. იზოლატორი | ОНС-110 | 1 კომლე ქტი | № 1. ტრ-რის სატრ. ორო გამთიშველის საყრდენი 110 კპ. იზოლატორი | НОС - 110 | 1 კომპ | შეფასებულია არარეალური მოდელი, ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული | |
| - | - | - | - | შუალედური | ИОС - 110 | 1 კომპ | ძაბვის ტრ-რი (II) | РНДЗ 2-110 | 1 კომპ | შეფასებულია არარეალური | |

| საყრდენი იზოლატორი | | | | სექციის) | | | | მოდელი, ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული | | |
|-----------------------|---|---|---|---|-----------|--------|---|--|--------|---|
| - | - | - | - | შუალედური საყრდენი იზოლატორი | OHC-110 | 3 ვ | № 2. ტრ-რის სატრ.გამთიშველის შუალედური საყრდენი 110 ვვ. იზოლატორი | ИОС -110 | 1 კომპ | შეფასებულია არარეალური მოდელი, ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული |
| - | - | - | - | შუალედური საყრდენი იზოლატორი | NOC - 110 | 3 ვ | I სისტემის ძაბვის ტრ-რი | OHC-110 | 1 კომპ | შეფასებულია არარეალური მოდელი, ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული |
| - | - | - | - | შემოვლითი სისტემის განთიშველის საყრდენი იზოლატორი ფაზა A B C | ИОС -110 | 4 ვ | შემოვლითი სისტემის განთიშველის საყრდენი იზოლატორი ფაზა A B C | ИОС -220 | 4 ვ | შეფასებულია არარეალური ძაბვის მქონე მოწყობილობები. ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული |
| - | - | - | - | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველი(ნავთლ ული 220) | РНДЗ-2 | 4 კომპ | შემოვლითი სისტემის შემოვლითი გამთიშველი(ნავთლუ ლი 220) | РНДЗ-1 | 4 კომპ | შეფასებულია განსხვავებული მოდელი. ხელშეკრულებით არ იყო გადაცემული |

დანართი N3

| ქვესაკვეური | დასახელება | მაკომპლექტებილი ნაწილების დანაკლისი | ერთეული | რაოდენობა |
|-----------------------------------|--|---|---------|------------------|
| გარდაბანი 500 | 110 კვ. 220 კვ და 500 კვ გამთიშველები | ალუმინის მუშა დანა | ცალი | 475 |
| გარდაბანი 500 | 110 კვ. 220 კვ და 500 კვ გამთიშველები | სპილენძის მოქნილი კავშირი | ცალი | 611 |
| გარდაბანი 500 | 110 კვ. 220 კვ და 500 კვ გამთიშველები | მუშა დანის სპილენძის საკონტაქტო ელემენტი | ცალი | 535 |
| გარდაბანი 500 | 110 კვ. 220 კვ და 500 კვ გამთიშველები | დამიწების დანის სპილენძის საკონტაქტო ელემენტი | ცალი | 279 |
| რუსთავი 220 | 220 კვ დემონტირებული გამთიშველები | ალუმინის საკონტაქტო დანა | ცალი | 54 |
| რუსთავი 220 | 220 კვ დემონტირებული გამთიშველები | მუშა დანების სპილენძის საკონტაქტო ელემენტი | ცალი | 68 |
| რუსთავი 220 | 220 კვ დემონტირებული გამთიშველები | დამიწების დანების სპილენძის საკონტაქტო ელემენტი | ცალი | 78 |
| რუსთავი 220 | 220 კვ დემონტირებული გამთიშველები | სპილენძის მოქნილი კავშირები | ცალი | 72 |
| ნავთლუდი 220 | 220 კვ გამთიშველი | ალუმინის მუშა დანა | ცალი | 49 |
| ნავთლუდი 220 | 110 კვ გამთიშველის | ალუმინის მუშა დანა | ცალი | 32 |
| ნავთლუდი 220 | 35 კვ გამთიშველის | ალუმინის მუშა დანა | ცალი | 79 |
| ნავთლუდი 220 | გამთიშველის დანების | სპილენძის მოქნილი კავშირები | ცალი | 188 |
| ლისი 220 | 220 კვ გამთიშველი | ალუმინის დანა | ცალი | 88 |
| ლისი 220 | 220 კვ გამთიშველი | სპილენძის მოქნილი კავშირი | ცალი | 172 |
| ბათუმი 220 | დემონტირებული გამთიშველები | მუშა დანების სპილენძის მოქნილი კავშირები | ცალი | 30 |
| თბილისის ოფისი და ქსელის საკუჭნაო | სხვადასხვა მარკისა და მოდელის გამთიშველი | მუშა და დამიწების დაწები, მუშა დანების სპილენძის საკონტაქტო ელემენტები და მუშა დანების სპილენძის მოქნილი კავშირები | ცალი | 25 (გამთიშველის) |
| ნავთლუდი 220 | გამთიშველები | მაკომპლექტებილი ნაწილები | ცალი | - |
| გარდაბანი 500 | 2 კომპლექტი დემონტირებული საპარკო ამომრთველი | ამოდებულია 12 წყვილი (24 ცალი) სპილენძის უძრავი და მოძრავი საკონტაქტო ელემენტები, ასევე ამომრთველების 24 პატარა ეკრანიდან ადგილზე მხოლოდ 1 ცალი პატარა ალუმინის რგოლია დარჩენილი (აკლია 23 ცალი). | ცალი | - |
| გარდაბანი 500 | დემონტირებული გამთიშველი | სპილენძის ეკრანი (რგოლი) | ცალი | 27 |
| გარდაბანი 500 | დემონტირებული გამთიშველი | სპილენძის საკონტაქტო ელემენტი, | წყვილი | 32 |
| გარდაბანი 500 | დემონტირებული გამთიშველი | ალუმინის დამიწების დანა თავისი სპილენძის საკონტაქტო ელემენტებით | ცალი | 11 |
| გარდაბანი 500 | დემონტირებული გამთიშველი | ალუმინის დანის დამიწების სპილენძის საკონტაქტო ელემენტები | ცალი | 49 |
| გარდაბანი 500 | დემონტირებული გამთიშველი | ამძრვის 4,25 კვტ ელექტროძრავი | ცალი | 7 |
| გარდაბანი 220 | 3 კომპლექტი დემონტირებული საპარკო ამომრთველები | რკალმქრობი კამერის სპილენძის საკონტაქტო ელემენტი და ალუმინის ხიდი | წყვილი | 18 |
| გარდაბანი 220 | 110 კვ დენის ტრანსფორმატორი | სხვადასხვა მაკომპლექტებილი ნაწილები | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 8 ცალი დემონტირებული ჰაერშემკრები რესივერის ავზი | ჰაერშემკრები რესივერის ავზი | ცალი | 2 |
| ნავთლუდი 220 | 2 დემონტირებული ჰაერშემკრები რესივერის ავზი | ჰაერშემკრები რესივერის ავზი | ცალი | 2 |
| ნავთლუდი 220 | 2 ცალი დემონტირებული ძაბვის ტრანსფორმატორი | ელემენტები | ცალი | 4 |

| | | | | |
|--------------|--|--|------|----|
| ნავთლუდი 220 | 6 ცალი ძაბვის ტრანსფორმატორი | აღნიშნული ელელქტრომალური მოწყობილობა საერთოდ არ იყო ქვესადგურში | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 6 ცალი ძაბვის ტრანსფორმატორი (ს/ნ 041558) | აღნიშნული ელელქტრომალური მოწყობილობა საერთოდ არ იყო ქვესადგურში | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 1 ცალი ძაბვის ტრანსფორმატორი (ს/ნ 041348) | აღნიშნული ელელქტრომალური მოწყობილობა საერთოდ არ იყო ქვესადგურში | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 1 ცალი ძაბვის ტრანსფორმატორი (ს/ნ 043239) | აღნიშნული ელელქტრომალური მოწყობილობა საერთოდ არ იყო ქვესადგურში | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 3 ცალი 110 ვტ დემონტირებული ძაბვის ტრანსფორმატორი | მაკომპლექტებული ნაწილები | ცალი | - |
| ნავთლუდი 220 | 1 კომპლექტი (6 ელემენტი) ძაბვის ტრანსფორმატორები | ელემენტები | ცალი | 3 |
| ნავთლუდი 220 | 1 კომპლექტი (6 ელემენტი) ძაბვის ტრანსფორმატორები | ელემენტები | ცალი | 3 |
| ნავთლუდი 220 | 4 ცალი დემონტირებული ძაბვის ტრანსფორმატორი (ს/ნ 041337) | ელემენტები | ცალი | 12 |

დანართი N4

| ქვესადგური | დასახელება | ერთეული | შუდალტ-რაოდ. | ფაქტობრივი მდგომარეობა |
|--------------------|--|-----------|--------------|--|
| ქ/ს გორი 220 | 110კვ სამგრაგნილა ტრანსფორმატორი | ცალი | 1 | არ აქვს რადიატორები და შემყვანები |
| ქ/ს გორი 220 | 110კვ სამგრაგნილა ტრანსფორმატორი | ცალი | 1 | არ აქვს რადიატორები და შემყვანები |
| ქ/ს გორი 220 | 10კვ. დემონტირებული უჯრედების კარადები | ცალი | 24 | უჯრედების ცარიელი კარადები |
| ქ/ს გურჯაანი 110 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | არ აქვს კონტაქტები |
| ქ/ს რუსთავი 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | უზეთიოდ, შემყვანების, კოჭის, დენის ტრანსფორმატორების და კამერების გარეშე. |
| ქ/ს რუსთავი 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | არ ინახება 2 ფაზა ამომრთველის შემყვანები, ამძრავები და სპილენძის კოჭები |
| ქ/ს რუსთავი 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | ამომრთველების 1 კომპლექტი უზეთოდ, შემყვანების, კოჭის და დენის ტრანსფორმატორების გარეშე. |
| ქ/ს ლისი 220 | 220კვ საჰაერო ამომრთველი | ცალი | 13 | 13 ცალი საჰაერო ამომრთველის კამერიდან 10 ცალი კამერა არის გამოშიგნული, საკონტაქტო ელემენტების გარეშე |
| ქ/ს მენჯი 220 | 220კვ ზეთიანი ამომრთველი | ცალი | 1 | ამძრავის კოჭას და შემყვანების გარეშე |
| ქ/ს მენჯი 220 | 10კვ. დახურული გამანაწილებელის უჯრედი | ცალი | 6 | 2009 წლიდან ჯართი |
| ქ/ს მენჯი 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | 2 ცალი შემყვანის გარეშე |
| ქ/ს მენჯი 220 | 220კვ ზეთიანი ამომრთველი | ცალი | 1 | ამძრავის კოჭას და შემყვანების გარეშე |
| ქ/ს მენჯი 220 | 220კვ ზეთიანი ამომრთველი | ცალი | 1 | ამძრავის კოჭას და შემყვანების გარეშე |
| ქ/ს მენჯი 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | შემყვანების გარეშე |
| ქ/ს გლდანი 220 | დენის ტრანსფორმატორი დემონტირებული | ცალი | 2 | დასაწყობებულია 2 ცალი 220 ვვ დენის ტრანსფორმატორის ფაიფურის გარსაცმი მეორადი გრაგნილებით. არ აქვს სახურავი, ეკრანი და შემყვანები |
| ქ/ს გლდანი 220 | დემონტირებული საჰაერო ამომრთველი | ცალი | 3 | ადგილზე მხოლოდ დემონტირებული საჰაერო ამომრთველების ამძრავების კორპუსები რესივერებისა და სხვა მკომპლექტებელი ნაწილების გარეშე |
| ქ/ს გლდანი 220 | დემონტირებული ზეთიანი ამომრთველი | ცალი | 1 | ზეთიანი ამომრთველის სადგარი სხვა მაკომპლექტებელი მოწყობ-ის გარეშეა |
| ქ/ს გლდანი 220 | დემონტირებული საჰაერო ამომრთველი 220კვ | ცალი | 5 | დასაწყობებულია მხოლოდ რესივერები - 5 ცალი |
| ქ/ს გლდანი 220 | დემონტირებული საჰაერო ამომრთველი 110კვ | ცალი | 3 | დასაწყობებულია მხოლოდ რესივერები - 3 ცალი |
| ქ/ს გლდანი 220 | დემონტირებული უჯრედის" დენის ტრანსფორმატორი | კომპლექტი | 1 | არ გააჩნიათ ეკრანები, სახურავი და კონტაქტები |
| ქ/ს ხაშური 220 | 10კვ.-ანი. დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა | კომპლექტი | 1 | 3 უჯრედი ხანძრის შედეგად დაზიანებულია, უვარგისია; 4 უჯრედი ნორმალურ მდგომარეობაში; 2 უჯრედი ცარიელ მდგომარეობაშია. |
| ქ/ს ხაშური 220 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | არ აქვს ამძრავის მექანიზმი |
| ქ/ს საგარეჯო-2 110 | 110კვ სამგრაგნილა ტრანსფორმატორი | კომპლექტი | 1 | დამწვარია, გაძარცვულია |
| ქ/ს ბადიაური 110 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | არ აქვს ამძრავი |
| ქ/ს ბადიაური 110 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | არ აქვს შემყვანი |
| ქ/ს საყრდენი 110 | 110კვ ორგრაგნილა ტრანსფორმატორი | ცალი | 1 | აკლია 3 გრაგნილი |
| ქ/ს საყრდენი 110 | 110კვ ზეთიანი ამომრთველი | კომპლექტი | 1 | 1 ცალი გაძარცვულია |
| ქ/ს ხისრა 110 | 110კვ ორგრაგნილა ტრანსფორმატორი | ცალი | 1 | გაძარცვულია, ამოღებულია სპილენძი |
| გორი-220 | ორგრაგნილა ტრანსფორმატორი | ცალი | 1 | "ფინანსაუდიტის" შეფასებით ნაწილობრივ გაძარცვული |

დანართი N5

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციული

სისტემების მიმოხილვა

საინფორმაციო სისტემების მიმოხილვის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა „ელექტროსისტემის“ ინფორმაციული სისტემების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გარემოს შეფასებას 2011 წლის 1 იანვრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღფაცენტრსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში.

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

1.1 PwC საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი

„ელექტროსისტემაში“ 2012 წელს ჩატარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტი. აღნიშნული მომსახურეობა შეასრულა „ფრაისვოთერპაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი“-ს ფილიალმა საქართველოში (შემდგომში PwC). აუდიტორული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 19 ოქტომბერს.

საკონსულტაციო კომპანიამ შეასრულა შემდეგი მომსახურება:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის საერთო განხილვა და ინფრასტრუქტურის ანალიზი
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და გამოყენების შეფასება
- ინფორმაციის დაცულობის აუდიტი
- მონაცემთა შესაბამისობა

1.1.1 ხელშეკრულების შესრულება

ხელშეკრულებით IT აუდიტისათვის ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრავდა, რომ მიმწოდებელს უნდა განეხილა SCADA⁴²-ს ქსელისა და სისტემის კონფიგურაცია; წარმოედგინა საკუთარი შეხედულება, თუ რომელი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი უნდა გაეთვალისწინებინა „ელექტროსისტემას“ SCADA-ს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; შიდა ქსელის შეფასება და სუსტი წერტილების გამოყოფა არაავტორიზებული წვდომის მოდელისა და სხვა მსგავსი მოდელების გამოყენებით.

აუდიტის ანგარიშში აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მხოლოდ მწირე ინფორმაცია მოიპოვება და არ არის წარმოდგენილი სიღრმისაული ანალიზი.

„ელექტროსისტემაში“ ჩატარებული საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ანგარიში არ შეიცავს აუდიტის ანგარიშისათვის აუცილებელი ატრიბუტებს, როგორიცაა შესავალი, რომელშიც განსაზღვრულია აუდიტის ობიექტი, აუდიტის მასშტაბი, აუდიტის ობიექტისა და აუდიტორების პასუხისმგებლობა, დასკვნის ტიპი, ანგარიშის დასასრულს აუდიტორების ხელმოწერები და თარიღი.

აღნიშნულის შესახებ, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ანგარიში ჩაიბარეს წარმოდგენილი სახით და მასში თავიდანვე აკლდა 1.1-1.2 ქვეთავები (ანგარიში იწყება 1.3 ქვეთავიდან). გამომდინარე აქედან, „ელექტროსისტემაში“ ჩაიბარა არასრული და არაჯეროვნად შესრულებული IT აუდიტის ანგარიში.

⁴² Supervisory Control and Data Acquisition-საინფორმაციო სისტემა, რომელსაც იყენებს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.

1.1.2 მომსახურეობის შესყიდვა

საკონსულტაციო მომსახურეობის შეძენა „ელექტროსისტემის“ მიერ მოხდა ფასთა გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. წარმოდგენილ სატენდერო წინადადებებში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პირობითად I და II მიმწოდებლის მიერ მომსახურება შეფასებული იყო 140 500 USD და 133 700 USD ექვივალენტად ლარებში, ხოლო III და PwC-ის მიერ 25 600 USD და 15 000 USD ექვივალენტად ლარებში. წარმოდგენილ ფასთა შორის დიდი სხვაობების გამო, გაურკვეველია, რით იყო განპირობებული ამხელა სხვაობა.

1.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა

„ელექტროსისტემის“ ბიზნეს პროცესის კრიტიკულ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს საინფორმაციო სისტემები. შესაბამისად, აღნიშნული სისტემების გამართული და უწყვეტი მუშაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ბიზნეს მიზნების მიღწევაზე.

საერთაშორისო სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით გათვალისწინებულია, რომ ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისათვის, ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ორგანიზაციამ დანერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რისკების მართვის, საინფორმაციო აქტივების მართვის, ინფორმაციული უსაფრთხოების, ფიზიკური და გარემოს უსაფრთხოების, წვდომის, საინფორმაციო სისტემების შესყიდვის, განვითარებისა და მხარდაჭერის, IT უსაფრთხოებისა და ინციდენტების მენეჯმენტი, უწყვეტი ბიზნეს პროცესისა და კატასტროფის აღდგენის პოლიტიკები.

თუმცა, „ელექტროსისტემა“ არ ფლობს აღნიშნული პოლიტიკების უმრავლესობას (გარდა ინფორმაციული უსაფრთხოებისა, ინციდენტების მართვის, სერვერის სარეზისტრო ასლების წარემოებისა და აღდგენის პოლიტიკებისა). შესაბამისად, „ელექტროსისტემაში“ არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით დადგენილ ნორმებს.

1.2.1 სტრატეგია და დაგეგმვა

„ელექტროსისტემას“ არ გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიული განვითარების ცალკეული გეგმა, თუმცა IT მიმართულება გათვალისწინებულია სამსახურის ერთიან სტრატეგიაში.

რეკომენდაცია N1

არაეფექტური მმართველობასთან დაკავშრებული რისკების შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო გზას წარმოადგენს უმაღლესი მენეჯმენტის მხრიდან IT სტრატეგიის შემუშავება, დამტკიცება და მისი პერიოდული განახლება, რომელიც საშუალებას იძლევა სამომავლოდ განისაზღვროს ბიზნეს პროცესის მხარდასაჭერად საჭირო რესურსები.

ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით კომპანიამ სასურველია შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესაბამისი IT სტრატეგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებს ორგანიზაციის ზოგად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

1.2.2 ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების თანახმად დამტკიცდა „ელექტროსისტემის“ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ თავებს:

- გლობალური პოლიტიკა;
- ანტივირუსული დაცვა;
- ლოკალური ქსელის და მისი ადმინისტრირების პოლიტიკა;

- დომენის მართვა;
- ელექტრონული ფოსტა;
- ინტერნეტი;
- პროგრამული უზრუნველყოფის მართვა;
- ფაილების მიმოცვლა;
- პორტატული მობილური მოწყობილობების ექსპლუატაცია;
- ჩახსნადი და მობილური დისკების, USB ამგგროვებლების გამოყენება;
- მომბმარებლის პოლიტიკა;
- არქივირება, რეზერვული ასლები და მონაცემთა აღდგენა.

როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მენეჯერმა განაცხადა, აღნიშნული პოლიტიკები შეიმუშავეს საკონსულტაციო მომსახურეობის მიღების შემდეგ. კერძოდ, კომპანიის პოლიტიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა PwC-ის მიერ IT აუდიტით გამოვლენილი სისუსტეები და მომზადებული რეკომენდაციები. აუდიტის ანგარიშთან და რეკომენდაციებთან ერთად, PwC-მა „ელექტრონსისტემას“ გადასცა:

- უფლებათა მართვის პოლიტიკა
- საპაროლე პოლიტიკა
- ცვლილებათა მართვის პოლიტიკა

აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და PwC გამოცდილებაზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ „ელექტრონსისტემის“ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა მხოლოდ უფლებათა მართვის პოლიტიკას ფარავს, ხოლო დანარჩენი ორი, საპაროლე და ცვლილებათა მართვის პოლიტიკები მხედველობაში არ იქნა გათვალისწინებული.

2. ალფაცენტრი

2.0 შესავალი

ალფაცენტრი წარმოადგენს „ელექტრონსისტემის“ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება „ელექტრონსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველთა საბჭოს წევრს კომერციულ, მარეგულირებელ და იურიდიულ საკითხებში.

ალფაცენტრის საქმიანობის ფუნქციას წარმოადგენს „ელექტრონსისტემის“ მიერ გაწეული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურეობის, შესაბამისი საფასურის ავტომატურ რეჟიმში დაანგარიშების, დარიცხვის და დარიცხული თანხების ამოღების გზით „ელექტრონსისტემისთვის“ სტაბილური ფულადი შემოსავლების მიღების უზრუნველყოფა. სამსახურის დაქვემდებარებაშია ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, სისტემაში ჩართული მრიცხველებიდან მიიღოს კომერციული ინფორმაცია (მრიცხველის ჩეინებები) 30 წუთიანი შუალედით, ასევე- გადამცემი ქსელის ტექნიკური პარმეტრები (ელენერგიის მახსიათებლები) 5 წუთიანი ინტერვალით. ამასთანავე, დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია განხორციელდეს მონიტორინგი გადამცემ ქსელში ჩართულ ნებისმიერ მრიცხველზე.

საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ალფაცენტრის სამსახურის წარმომადგენლები.

2.1 IT პოლიტიკები და პროცედურები

ერთის მხრივ, ალფაცენტრს არ გააჩნია ფორმალიზებული პოლიტიკები საინფორმაციო სისტემების მართვისა და მხარდაჭერისათვის. როგორც სამსახურის წარმომადგენლები განმარტავენ, სისტემის მართვა ხდება ზეპირსიტყვიერი პროცედურებისა და სამსახურის წარმომადგენლების კომპეტენციაზე დაყრდნობით.

მეორეს მხრივ, რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, ბრძანების თანახმად, „ელექტროსისტემა“ ხელმძღვანელობს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკით, რომლის შესრულებაც სავალდებულოა კომპანიის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის. აღნიშნული პოლიტიკის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მენეჯერი.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებიდან გამომდინარე, ალფაცენტრი არ არსულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი კი - მასზე მინიჭებულ მონიტორინგის უფლებასა და მოვალეობას.

2.2 ალფაცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა

2.2.1 პროგრამული უზრუნველყოფის ზოგადი აღწერა

ალფაცენტრის პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს იმავე დასახელების საინფორმაციო სისტემა - „Альфа ЦЕНТР“, რომელიც „ელექტროსისტემა“ შეიძინა რუსული კომპანია „Эльстер Метроника“-სგან.

2.2.2 საინფორმაციო სისტემაზე წვდომა და პრივილეგიების მენეჯმენტი

ალფაცენტრის თანამშრომლები ძირითადად იყენებენ ადმინისტრატორისა (CNT) და სტუმრის (S1) მომხმარებლებს.

CNT მომხმარებელს გააჩნია უფლებების სრული პაკეტი, რაც გულისხმობს ინფორმაციაზე წვდომას, მის მოდიფიცირებასა და წაშლას. აღნიშნულ მომხმარებელს იყენებს ალფაცენტრის სამსახურის უფროსი და მონაცემთა ბაზის 2 ინჟინერი.

S1 მომხმარებელს გააჩნია მხოლოდ ინფორმაციაზე წვდომის უფლება. აღნიშნულ მომხმარებელს იყენებენ „ელექტროსისტემის“ სხვა სამსახურის წარმომადგენლები. წვდომის უფლების მინიჭება ხდება ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე.

ორივე მომხმარებლის (CNT, S1) შემთხვევაში, საინფორმაციო სისტემის მომხმარებლები იყენებენ საერთო მომხმარებელს. შესაბამისად, არ არის იდენტიფიცირებული თითოეული მომხმარებელი და მათ მიერ შესრულებული ოპერაციები. კერძოდ, მაგალითისათვის, თუ ადმინისტრატორის (CNT) ანგარიშს იყენებს 3 მომხმარებელი, მაშინ პოსტფაქტუმ ანალიზისას შენელია დადგინდეს თუ კონკრეტულად რომელი მომხმარებლის მიერ იყო გამოწვეული ინციდენტი, ან არასანქცირებული ოპერაცია.

არაპერსონიფიცირებული მომხმარებლების გამოყენებისას შეუძლებელია თითოეული მომხმარებლის მიერ შეტანილი ცვლილების აღრიცხვა და კონტროლი. სახეზეა გამოვლენითი კონტროლის სისუსტე.

2.2.3 საპაროლო პოლიტიკა

ალფაცენტრს არ გააჩნია ფორმალური საპაროლო პოლიტიკა. მონაცემთა ბაზის ინჟინრის განმარტებით, სისტემის დაწერგვიდან (2011 წელი) დღემდე რამდენიმეჯერ (2-3ჯერ) შეიცვალა პაროლები სისტემის მომხმარებლებზე.

საპაროლო პოლიტიკის არ არსებობა ზრდის სისტემებზე არასანქცირებული წვდომის და მონაცემთა გამუღავნების/არასანქცირებული ცვლილების რისკს.

რეკომენდაცია N2

აუცილებელია, მონაცემთა ბაზის ინჟინრებმა უზრუნველყონ ალფაცენტრის სისტემური და ადმინისტრატორის მომხმარებლების პაროლების სათანადოდ დადოკუმენტირება და შენახვა, რათა მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლის აღდგენისას შესაძლებელი გახდეს ბაზაზე წვდომა.

2.3 უწყვეტი ბიზნეს პროცესი (BCP) და კატასტროფის შედეგების გამოსწორების გეგმა (DRP)

ალფაცენტრის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგნეს „ელექტროსისტემის“ მიერ გაწეული კომერციული მომსახურეობის აღრიცხვა. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საინფორმაციო სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება.

2.3.1 უწყვეტი ბიზნეს პროცესის მართვა

ალფაცენტრს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა უწყვეტი ბიზნეს პროცესის მართვისათვის. უწყვეტი ბიზნეს პროცესის უზრუნველსაყოფად, ალფაცენტრი იყენებს 4 სინქრონულ სერვერს, რომლებზეც ავტომატურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის მიწოდება, შენახვა და დამუშავება. ტექნიკური გაუმართაობის ან სხვა ინციდენტის შემთხვევაში, თუ რომელიმე სერვერი გაითიშება, სისტემის მუშაობა არ შეწყდება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოთხივე სერვერი ერთდროულად გამოვა მწყობრიდან). თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ ყველა სერვერი გაითიშა, ენერგო ობიექტებზე არსებული მრიცხველების ავტონომიური მეხსიერების ბარათები საშუალებას იძლევა, რომ სისტემის გათიშვის პერიოდში ტექნიკური და კომერციული მაჩვენებლები არ დაიკარგოს. მოგვიანებით, როდესაც სისტემა აღდგება, შესაძლებელია მრიცხველების მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში იმპორტი.

2.3.2 სარეზერვო ასლების პოლიტიკა

ალფაცენტრს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა სარეზერვო ასლების წარმოებისათვის. აღნიშნული პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სიხშირით. მაგალითისათვის, 2011 წელს server 3-ის 12 სარეზერვო ასლი შეიქმნა, 2012 წელს 4 სარეზერვო ასლი, ხოლო 2013 წელს სულ 2 სარეზერვო ასლი.

მონაცემთა ბაზის ინჟინერის სამუშაოს აღწერაში მითითებულია, რომ ინჟინერი პასუხისმგებელია მონაცემთა ბაზის ყოველთვიურ არქივირებით. შესაბამისად, მიუხედავად პოლიტიკებისა და პოცედურების არ არსებობისა, სარეზერვო ასლების (არქივების) მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც უნდა შექმნილიყო.

დამატებით, მიუხედავად ასლების არარეგულარული წარმოებისა, არ ხდება მათი სატესტო რეჟიმში აღდგენა, რათა მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი დარწმუნდეს, რომ შექმნილი სარეზერვო ასლი არაა დაზიანებული და საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია შეძლებს მონაცემების აღდგენას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, არსებობს რისკი იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში კომპანია ვერ შეძლებს ალფაცენტრის არქივის სრულ/საიმედო აღდგენას.

2.3.3 კატასტროფის შედეგების გამოსწორების გეგმა (DRP)

კომპანიას არ გააჩნია კატასტროფის შედეგების გამოსწორების ფორმალური პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ალფაცენტრი იყენებს 4 სხვადასხვა სერვერს, ისინი განთავსებულია ერთსადაიმავე ოთახში, რის გამოც თითოეული მათგანი თანაბრად დაუცველია (მოწყვლადია) ერთიდაიგივე საფრთხეების (უბედური შემთხვევების) მიმართ (მაგალითისათვის მიწისძვრა, ხანძარი, ოთახის დატბორვა და ა.შ). გარდა ამისა, ალფაცენტრს არ გააჩნია სარეზერვო ობიექტი, საიდანაც შესაძლებელი იქნება სისტემის ავარიულ რეჟიმში გამართვა და კატასტროფის შედეგების ლიკვიდაცია.

2.4 საპლიკაციო კონტროლები

2.4.1 ანგარიშგების კონტროლები (Output controls)

ალფაცენტრის პროგრამული ინტერფეისის სიტრანსის კონტროლების ანალიზისას ჩვენი ყურადღება დაეთმო ალფაცენტრის ბიზნეს პროცესის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, ბალანსების ფორმირებასა და მართვას. როგორც ანალიზისას აღმოჩნდა, პროგრამული ინტერფეისის ძირითადი მოდული ვერ უზრუნველყოფს საბალანსო ანგარიშის სათანადო ფორმირებას pdf ფორმატში. კერძოდ, სისტემიდან ინფორმაციის ექსპორტისას საბალანსო ფორმის ტექსტი დამახინჯებულად გადადის pdf დოკუმენტში.



Ààëàí ñî áû é î ò÷åòï î ãðóï í àì 2-ä òðî áí ý 07-2011

ñðø 1

v.4.01.03.01 èç(+) î ñø (+)

ñî ñðøææáí : 08-08-2014 08:37:08

| Í i ãñðàí öèè | | N ñ á 3913012 | | Qutaisi - 220 | | Áàëàí ñ l i ãñðàí öèè | | 01-01-2007 | | 01-01-3000 | |
|--|---------|---------------|-----|---------------|---|------------------------|-------------|--------------------|--|------------|--------|
| Yéái áí ò áàëàí ñá | 12 | N ñð. | 1 | Aàëàí ñ | í á ãðóàéè çèðí áái í áàëàí ñ àéðéáí í é yí áðæè éâðò | | | | | | |
| N ñðàá ñð ãðóï í ù 2-ä òðî áí ý | | | | | | | | | | | |
| òð ñáúáéðá | N ñ á. | í áçâái éá | çí. | N ñð. | ááéñðá. ñ | ááéñðá. ë òðí éçí áðai | ér a | ýéái áí ò áàëàí ñá | éí á ãðóàéè çèðí | | |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (+) | 1 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A + (éâðò+) | 2 | Í i ñðóï éái éáí í ëéññai í áí ðýæí éé | 30 | 220 éâ |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (-) | 2 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A - (éâðò-) | 6 | Í ñðéí í ëéññai í áí ðýæí éý | 30 | 220 éâ |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (+) | 3 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A + (éâðò+) | 2 | Í i ñðóï éái éáí í ëéññai í áí ðýæí éé | 40 | 110 éâ |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (-) | 4 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A - (éâðò-) | 6 | Í ñðéí í ëéññai í áí ðýæí éý | 40 | 110 éâ |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (-) | 5 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A - (éâðò-) | 6 | Í ñðéí í ëéññai í áí ðýæí éý | 60 | 10 éâ |
| Í i ãñðàí öèè | 3913012 | Qutaisi - 220 | (-) | 6 | 01-01-2007 | 01-01-3000 | A - (éâðò-) | 6 | Í ñðéí í ëéññai í áí ðýæí éý | 60 | 10 éâ |

òð ñáúáéðá ñð ãðóï í ù 2-ä òðî áí ý

òð ñáúáéðá ñð ãðóï í ù 2-ä òðî áí ý

òð ñáúáéðá ñð ãðóï í ù 2-ä òðî áí ý

აღნიშნულთან დაკავშირებით, ალფაცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად არსებული პრობლემისა, საბალანსო ფორმის ბეჭდვა შესაძლებელია ხარვეზების გარეშე, რასაც ისინი აქტიურად მიმართავენ. თუმცა, საბალანსო ფორმების ფურცელზე ბეჭდვა, შემდგომ მათი მიმოცვლა, ანალიზი და შენახვა ნაკლებად მოქნილი/არაპროდუქტიულია ელექტრონული ინფორმაცის გამოყენებასთან შედარებით.

2.4.2 დამუშავების კონტროლები (Processing controls)

ალფაცენტრის სააპლიკაციო კონტროლების ანალიზისას აღმოჩდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად ხდება ყოველთვიური ბალანსების კალკულაცია. კერძოდ, ობიექტისათვის ყოველთვიური ბალანსის შედგენა ხდება ყოველდღიური ჯამური მიღება-გაცემის მონაცემებზე დაყრდნობით. დღიური ჯამური მიღება-გაცემა პროგრამის მიერ გამოთვლილია კომერციული ინტერვალის (ნახევარი საათი) მონაცემებზე დაყრდნობით. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტის ყოველთვიურ ბალანსში დღიური ჯამური მიღება-გაცემა (და შესაბამისი უბალანსობის კოეფიციენტი) არ შეესაბამება იმავე ობიექტის დღიური ბალანსის ჯამურ მაჩვენებლებს.

ზემოთ აღნიშნული კონტროლის სისუსტე აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ობიექტის კონკრეტული თვეების ბალანსებში. მაგალითისათვის, წყალტუბო 220-ის 2011 წლის ივლისის თვის ბალანსში 19 ივლისს მითითებულია 803,030.250 (მიღება) და 835,713.4 (გაცემა), ხოლო დღიური ბალანსის ამოღების შემდეგ ირკვევა, რომ იმ დღის ჯამური მიღება იყო 1,352,546.250, გაცემა კი- 1,350,909.400;

თვიური ბალანსიდან ამოღებული დღიური ჯამური მიღება-გაცემა

| | | | | | | | | | | |
|----------|--|----------------|----------------|--------------|-------------|---|------|-----|-----|-----|
| 22-07-11 | | 1 424 593. 500 | 1 262 872. 400 | 161 721. 100 | 11.35 | 1 | 716 | 716 | 0 | 0 |
| 21-07-11 | | 1 165 419. 750 | 1 163 429. 800 | 1 989. 950 | .17 | 1 | 700 | 700 | 0 | 0 |
| 20-07-11 | | 1 614 673. 500 | 1 612 778. 550 | 1 894. 950 | .12 | 1 | 672 | 672 | 0 | 0 |
| 19-07-11 | | 803 030. 250 | 835 713. 400 | - | 32 683. 150 | - | 4.07 | 1 | 580 | 580 |
| 18-07-11 | | 1 572 648. 000 | 1 570 458. 600 | 2 189. 400 | .14 | 1 | 736 | 736 | 0 | 0 |
| 17-07-11 | | 1 268 767. 500 | 1 266 718. 900 | 2 048. 600 | .16 | 0 | 768 | 768 | 0 | 0 |
| 16-07-11 | | 1 348 512. 000 | 1 346 290. 800 | 2 221. 200 | .16 | 1 | 768 | 768 | 0 | 0 |
| 15-07-11 | | 2 060 082. 750 | 2 057 721. 550 | 2 361. 200 | .11 | 1 | 768 | 768 | 0 | 0 |
| 14-07-11 | | 563 384. 250 | 561 641. 700 | 1 742. 550 | .31 | 1 | 682 | 682 | 0 | 0 |

კომერციული ინტერვალით დაანგარიშებული დღიური ჯამური მიღება-გაცემა

| | | | | | | | | |
|---|-------------|----------------|----------------|------------|-----|---|----|----|
| 2 | 00:30-01:00 | 34 254. 000 | 34 224. 250 | 29. 750 | .09 | 1 | 14 | 14 |
| 1 | 00:00-00:30 | 33 214. 500 | 33 186. 800 | 27. 700 | .08 | 0 | 14 | 14 |
| | | 1 352 546. 250 | 1 350 909. 400 | 1 636. 850 | .12 | | | |

ალფაცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზისას გაირკვა, რომ მრიცხველების ჩვენებები პირველადი სახით ინახება მონაცემთა ბაზაში, ხოლო ბალანსების კალკულაცია ხდება პირველად წყაროზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, არასწორი ბალანსების გენერაცია ხდება პროგრამული ინტერფეისის მიერ, რომელიც დაუზუსტებელი გარემოებების გამო, რიგ შემთხვევებში ვერ ახდენს ბალანსების ზუსტად შედგენას.

ალფაცენტრის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, არაზუსტი კალკულაციის მიზეზი პროგრამული წუნია და აღნიშნული უზუსტობების აღმოჩენა მონიტორინგისას ხორციელდება. უფრო კონკრეტულად, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ობიექტზე დაფიქსირდა უბალანსობა (როდესაც სახეზეა ზენორმატიული დანაკარგები), მაშინ ალფაცენტრის წარმომადგენლები დეტალურად სწავლობენ უბალანსობის მიზეზებს. შესაბამისად, თუ ობიექტის ბალანსის გამოთვლისას პროგრამამ შეცდომა დაუშვა, მაგრამ უბალანსობა არ აჭარბებს დაშვებულ ზღვრებს, მაშინ შეცდომა შეუმჩნეველი დარჩება ალფაცენტრის სამსახურის წარმომადგენლებისთვის და არასწორად შედგენელი ბალანსი გამოყენებული იქნება მთლიან საქმიანობაში.

გამომდინარე აქედან, არსებობს მაღალი რისკი, რომ ალფაცენტრის პროგრამა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ბიზნეს მიზნის მიღწევას.

2.5 მონაცემთა ანალიზი

2.5.1 მონაცემების აღწერა

მოპოვებული იქნა „ელექტროსისტემის“ სტრუქტურული ერთეულის, ალფაცენტრის, საინფორმაციო სისტემის სარეზისურო ასლი. აღნიშნული ასლის აღდგენის შემდეგ, მოხდა ინფორმაციის აღწერა, გაანალიზება და აუდიტორული პროცედურების ჩატარება.

ალფაცენტრის სარეზისურო ასლი შეიცავს 2 მირითად კომპონენტს. ესენია, ORACLE-ის მონაცემთა ბაზა და სამომხმარებლო ინტერფეისი - „АльфаЦЕНТР“. მონაცემების დამუშავების მოქნილობისათვის და სიმარტივისთვის აუდიტორული პროცედურები განხორციელდა ORACLE-ის მონაცემთა ბაზაზე.

2.5.2 მრიცხველების რაოდენობრივი ანალიზი

კომპანიის მიერ მოწოდებულ იქნა მრიცხველების 2 რეესტრი. აღნიშნულ რეესტრებში წარმოდგენილია 2011 წლის 1 იანვრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშსწორებო წერტილების რაოდენობა. თითოეული რეესტრი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ქვესადგური/დასახელება, აღრიცხვის კვანძის დასახელება, მრიცხველის N, საანგარიშსწორებო კუთვნილება (შორის) და ალფაცენტრთან კავშირი.

2011 წელს სულ ფიქსირდებოდა 1,771 საანგარიშსწორებო მრიცხველი, რომელთაგანაც 562 იყო ალფაცენტრში ჩართული. 2013 წელს კი - 1639 საანგარიშსწორებო მრიცხველიდან 663 იყო ჩართული ალფაცენტრში.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობთ, ჩატარდა ანალიზი ალფაცენტრის პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებული მრიცხველების რაოდენობრივი შეფასებისათვის. კერძოდ, „ელექტროსისტემის“ მიერ მოწოდებული რეესტრის მონაცემთა ბაზაში იმპორტის შემდეგ ერთმანეთს შედარდა მრიცხველების რაოდენობები. როგორც ანალიზმა აჩვენა, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ალფაცენტრის მონაცემთა ბაზაში კომერციული ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა 12 მრიცხველის შესახებ, რომლებიც „ელექტროსისტემის“ მიერ მოწოდებულ საანგარიშსწორებო მრიცხველების რეესტრში მითითებული იყო როგორც ალფაცენტრში ჩართული მრიცხველები.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით სავარაუდო იყო, რომ ან ალფაცენტრში იყო წაშლილი მრიცხველებთან დაკავშირებული კომერციული ინფორმაცია, ან „ელექტროსისტემის“ მიერ მოწოდებული რეესტრი იყო არაზუსტი. დამატებითი შესწავლისათვის ჩატარდა შემდეგი პროცედურები:

ა. ალფაცენტრის მონაცემთა ბაზის 2011 წლის 6 იანვრის სარეზერვო ასლის აღდგენის შემდეგ, მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი გახდა აღნიშნული პერიოდის მდგომარეობით პირველადი სახით არსებული ინფორმაცია. ანალიზის შემდეგ, დადასტურდა, რომ ამ პერიოდისათვის ბაზაში ფიქსირდებოდა ზემოთ აღნიშნული 12 მრიცხველიდან 7 მრიცხველის კომერციული მონაცემები. შესაბამისად, თუ 2011 წლის დასაწყისში ბაზაში ნამდვილად არსებობდა ეს 7 მრიცხველი, ხოლო მიმდინარე პერიოდისათვის მათი კომერციული მონაცემები არ ირიცხება მონაცემთა ბაზაში, დიდი აღბათობით ადგილი აქვს კომერციული ინფორმაციის დაკარგვას ან განზრახ განადგურებას.

მსგავსად 2011 წლის საანგარიშსწორებო მრიცხველების ანალიზისას, 2013 წლის რეესტრის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ალფაცენტრის მონაცემთა ბაზაში არ ირიცხება 11 მრიცხველის კომერციული მონაცემები. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული კომერციული ინფორმაცია დაკარგულია ან წაშლილია მონაცემთა ბაზიდან.

ბ. „ელექტროსისტემის“ მიერ მოწოდებული მრიცხველების რეესტრების სიზუსტის გადასამოწმებლად, შერჩეული იქნა 40-40 მრიცხველი 2011 და 2013 წლის საანგარიშსწორებო მრიცხველების რეესტრებიდან. კომერციული აღრიცხვის სამსახურის მიერ მოწოდებულ იქნა მრიცხველების შესახებ ინსპექტირების აქტები, რაც ადასტურებს, რომ კონკრეტული მრიცხველი ნამდვილად არსებობდა დროის მოცემულ მონაცემთში და რომ ნამდვილად იმ ობიექტზე ირიცხებოდა, რომელიც რეესტრშია მითითებული. თუმცა, როგორც გაირკვა, 2011 წლის შერჩევაში 40-დან 3 მრიცხველის უნიკალური ნომერი არასწორად იყო მითითებული (მრიცხველი ფიზიკურად სხვა ობიექტზე მდებარეობს), ხოლო 2 მრიცხველის შესახებ აქტები არ არსებობს (ვერ მოიძებნა). რაც შერჩევა 2013 წლის შერჩევას, 5 მრიცხველის ნომერი არასწორად იყო მითითებული, ხოლო 1 მრიცხველის შესახებ ინსპექტირების აქტი ვერ მოიძებნა.

ამასთანავე, ანალიზისას გამოვლინდა, რომ რეესტრებში გვხვდება დუბლირებული ჩანაწერები. ზოგიერთ შემთხვევაში ერთსადაიმავე მრიცხველის უნიკალურ ნომერზე სხვადასხვა ობიექტია მითითებული, ან რეესტრში ორჯერ გვხვდება რიგი სტრიქონებისა. აღნიშნულ რეესტრში მრიცხველების ზუსტი რაოდენობის მნიშვნელობას ხაზს ისიც უსვამს, რომ ალფაცენტრის მონაცემთა ბაზაში დაკარგული/წაშლილი ინფორმაციის აღმოჩენა მოხდა კომერციული აღრიცხვის სამსახურის რეესტრის რაოდენობრივი ანალიზის საშუალებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროსისტემის“ კომერციული აღრიცხვის სამსახური სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით არსებული საანგარიშსწორებო მრიცხველების აღრიცხვას, ხოლო ალფაცენტრი კი - მონაცემების მთლიანობის დაცვას.

შესაბამისად, „ელექტროსისტემის“ მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მიწოდებული იქნა არაზუსტი ინფორმაცია, რის გამოც სახეზეა კანონთან⁴³ შეუსაბამობა.

⁴³ კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის“ შესახებ, მუხლი 23, პუნქტი 2 (ბ) – აუდიტის ობიექტი ვალდებულია „უზრუნველყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე აუდიტის ჩასატარებლად და ჭირო ყველა ინფორმაციით; იგი პასუხისმგებელია ამ ინფორმაციის ნამდვილობაზე, ობიექტურობასა და სისრულეზე“;

2.6 ელექტრონული ინფორმაციის მთლიანობა (სისრულე და სიზუსტე)

2.6.1 კანონმდებლობა

იუსტიციის მინისტრის N72 ბრძანების⁴⁴ თანახმად, ალფაცენტრი ვალდებულია შეინახოს საინფორმაციო ბაზაში არსებული ინფორმაცია 6 წლის მანძილზე. ამასთანავე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის N77 ბრძანების⁴⁵ თანახმად, ალფაცენტრის საინფორმაციო სისტემაში მონაცემები 13 თვის მანძილზე უნდა ინახებოდეს ხელმისაწვდომ ფორმატში, ხოლო 6 წლის მანძილზე არქივების სახით. თუმცა, როგორც მრიცხველების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, ალფაცენტრის მონაცემთა ბაზიდან დაკარგულია კომერციული ინფორმაცია, რაც შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან.

2.6.2 კანონში შეტანილი ცვლილებები

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების თანახმად⁴⁶, იმ შემთხვევებში, როდესაც დროის რომელიმე კონკრეტული პერიოდის სრულად ამსახველ მონაცემებში არსებობს წინააღმდეგობა აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერებსა და ზედა დონის ესკა⁴⁷ სისტემის და მისი შემადგენელი

შუალედური ან/და ქვედა დონის ესკა სისტემ(ებ)ის მონაცემებს შორის, უპირატესობა ენიჭება ზედა დონის ესკა სისტემის, ან/და მისი შემადგენელი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკა სისტემ(ებ)ის მონაცემებს“.

ვინაიდან, კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, დაინტერესებულ მხარეებს შორის გაწეული მომსახურეობის (გადაცემული ენერგიის) რაოდენობის შესახებ დავის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ალფაცენტრის მონაცემებს, სწორედ ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღმოიფხვრას მონაცემთა მთლიანობასთან, სააპლიკაციო კონტროლებთან, ფორმალურ პოლიტიკებთან დაკავშირებული ხარვეზები და რისკები, რათა ალფაცენტრის მონაცემები იყოს სანდო და ხელმისაწვდომი.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორი

დავით შავგულიძე

⁴⁴ „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ, ქ.თბილის, 2010 წლის 31 მარტი.

⁴⁵ 2006 წლის 30 აგვისტო, ქ. თბილისი. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ:

⁴⁶ N77 ბრძანების „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 26, პუნქტი 5

⁴⁷ ელექტროენერგიის და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა;